

პრესომბუდსმენი A3



საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობები A3



ტოპმიოლერის "კოზა ნოსტრა" A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 9 ოქტომბერი, 2006 წელი. №223 (1375) ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge



თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ სამშაბათსა და პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 9/10 | 10/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 22 |
| ბათუმი | 28 | 22 |
| სოხუმი | 26 | 23 |
| ქუთაისი | 28 | 25 |
| გორი | 23 | 21 |
| ონი | 22 | 18 |
| ზუგდიდი | 28 | 25 |
| ახმეტა | 26 | 22 |
| სამტრედია | 28 | 25 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7390 |
| ევრო | 2.2054 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2592 |
| რუბლი | 0.0649 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| საზოგადოება | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |


# სინდისი

## რუსეთი სიცოცხლისთვის საშიშია

ანა პოლიტკოვსკაიას არასდროს ჰქონია რაიმე საერთო არც პოლიტიკურ ინტრიგებთან, არც რაიმე "ფინანსურ ინტერესებთან". მისი გაჩუმება ან მოსყიდვა შეუძლებელი იყო. თავის ჟურნალისტურ და ადამიანურ მოვალეობად იგი სამართლიანობის ძიებას მიიჩნევდა და ამაში შეუვალი იყო. იგი კომპრომისებზე არასდროს მიდიოდა.

მას წლების განმავლობაში ემუქრებოდნენ, და წლების განმავლობაში იგი წერდა სტატიებს, რომელთა გამო იგი შეეძლოთ მოეკლათ. ბოლო დროს მას წინა წლებისგან განსხვავებული არაფერი დაუწერია. როგორც ჩანს, შეიცვალა არა ანა პოლიტკოვსკაიას საქმიანობის სტილი, არამედ ვითარება. და ამ ვითარებაში ადამიანებმა, ვის ინტერესებსაც პოლიტკოვსკაიას სტატიები ეხებოდა, მიიჩნიეს, რომ ანგარიშსწორების დრო დადგა.

დადგა დრო, როდესაც ისედაც შეზღუდული რუსული მედიის საქმიანობა სიცოცხლისთვის საშიში ხდება. ანა პოლიტკოვსკაიას რუსული ჟურნალისტიკის სინდისს უწოდებდნენ.



## ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობა - "ღონღაძის საქმე" რუსეთის ხელისუფლებისთვის

*ცნობილი ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობასთან დაკავშირებით, ექსპერტები და სპეციალისტები ვარაუდებსა და მოსაზრებებს გამოთქვამენ. პოლიტკოვსკაია, რომელიც ჩეჩენთა უფლებების დამცველად მიიჩნეოდა, ჟურნალისტური მოღვაწეობით მუდმივად უქმნიდა დისკომფორტს რუსეთის ხელისუფლებას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ჟურნალისტის მკვლელობა შესაძლოა, კრემლისთვის მუდმივ თავისტკივილად იქცეს, ისევე, როგორც "ღონღაძის საქმე" უკრაინის ყოფილი ხელისუფლებისთვის.*
***"მე არ ვარ მებრძოლი, მე ნამდვილი ჟურნალისტი ვარ,"*** *- აცხადებდა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის მკაცრი კრიტიკით ცნობილი ჟურნალისტი, რომელიც მოსკოვის ცენტრში, საკუთარი სახლის ლიფტში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს.*

მოსკოვის პროკურატურამ Новая газета-ს რედაქციაში დაასრულა ანა პოლიტკოვსკაიას კაბინეტისა და იქ არსებული დოკუმენტების დათვალიერება. გამომძიებლებმა მოკლული ჟურნალისტის კაბინეტიდან ორი ყუთი დოკუმენტები გამოიტანეს; დაკითხეს რედაქციის თანამშრომლები იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი პოლიტკოვსკაიას დაშინებას. სამართალდამცველებმა ამოიღეს სრული ინფორმაცია ბოლო დღეებში ჟურნალისტის მობილურ ტელეფონზე შესული და გამომავალი სატელეფონო ზარების შესახებ. **"ამ ინფორმაციით დავადგენთ იმ ადამიანთა წრეს, რომლებთანაც ბოლო დღეებში ურთიერთობა ჰქონდა მოკლულს,"** - აცხადებენ სამართალდამცველები, რომლებიც ჟურნალისტის მკვლელობის მთავარ ვერსიად მის პროფესიულ საქმიანობას მიიჩნევენ.

გამოძიება მკვლელობის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. მოსკოვის პროკურორის მოადგილის ვიაჩესლავ რასინსკის განცხადებით, **"საქმე განზრახ მკვლელობის მუხლითაა აღძრული და განიხილება შეკვეთილი მკვლელობის ვერსია"**. სამართალდამცველთა განცხადებით, არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მკვლელობა ძარცვის მიზნით მოხდა.


გაგრძელება A4 გვერდზე


## მკვლელობებისა და შოვინიზმის წინააღმდეგ

*ქართველების დევნისა და ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის წინააღმდეგ პროტესტი რუსეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გუშინ მოსკოვში გამართულ აქციაზე ერთად გამოხატეს. "მე ქართველი ვარ" - ასეთი შინაარსის სამკერდე ნიშანი აქციის მრავალმა მონაწილემ გაიკეთა.*

პიკეტში 3 ათასამდე ადამიანთან ერთად არაერთმა ცნობილმა სახემ მიიღო მონაწილეობა - ჟურნალისტებმა ვიქტორ შენდეროვიჩმა, ვლადიმირ პოზნერმა, სერგეი პარხომენკომ, ევგენია ალბაცმა, სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ვლადიმირ რიჟკოვმა, ნაციონალ-ბოლშევიკების ლიდერმა ედუარდ ლიმონოვმა, მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ლიდერმა ნიკიტა ბელიხმა, პარტია "იაბლოკოს" თავმჯდომარის მოადგილემ სერგეი მიტროხინმა და სხვებმა.

**"ადამიანების დევნა ეროვნული ნიშნით და ჟურნალისტების მკვლელობები ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი თვისებებია. ჩვენი ქვეყანა ახლა სწორედ ტოტალიტარული რეჟიმისკენ მიექანება,"** - განაცხადა ჟურნალისტმა ვიქტორ შენდეროვიჩმა.

ქვეყანაში ანტიქართული კამპანიის გაჩაღების პარალელურად, რუსეთის ხელისუფლება საქართველოს საერთაშორისო ინსტიტუტებში დისკრედიტაციას ცდილობს.


გაგრძელება A2 გვერდზე




## "ჰავალას" საფრთხე

### ელის თუ არა რუსეთს ფულის იატაკქვეშა გადარიცხვის სისტემების აღმოცენება

B

*უკანასკნელი დღეების განმავლობაში, რუსეთ-საქართველოს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობის ფონზე, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა საქართველოს წინააღმდეგ შემოიღო რამდენიმე ეკონომიკური სანქცია. საქართველოსთვის ჩაიკეტა რუსეთის საჰაერო სივრცე, შეწყდა საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლა. ამას გარდა, მოსალოდნელია ფინანსური ბერკეტების ამოქმედებაც, კერძოდ, რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შეჩერება.*



## კითხვები საქართველოს პრეზიდენტს

### კიდევ ერთი წარმატება საინფორმაციო ომში

*კვირას "ბი ბი სი"-ს ინგლისურენოვან გადაცემაში ყველა მსურველს მიეცა საშუალება, კითხვა დაესვა საქართველოს პრეზიდენტისთვის. ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლობის პოპულარულ საკვირაო გადაცემაში "თქვი შენი სათქმელი" მიხეილ სააკაშვილს ასობით კითხვა დაუსვეს.*

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მედიაკორპორაცია ჯერ კიდევ 5 ოქტომბერს იუწყებოდა, რომ ყველა მსურველს, ვისაც საქართველო-რუსეთს აშორის არსებული ურთიერთობების შესახებ აზრის გამოთქმა სურდა, საქართველოს პრეზიდენტისთვის კითხვის დასმა შეეძლო.

გადაცემის ანონსს საკმაოდ საინტერესო შესავალი ჰქონდა, კერძოდ, გადაცემა იწყებოდა წანამძღვრით, რომ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი პრეზიდენტ სააკაშვილის მცდელობა იყო, ნატო-ში შესვლით გაენეიტრალებინა რუსეთის გავლენა საქართველოზე. შემდეგ კი მოსდევდა ფორუმის თემა: **"თქვენი აზრით, რომელი ქვეყანაა დამნაშავე ურთიერთობების გაფუჭებაში? რამდენად სერიოზულია ეს პრობლემა? რას აკეთებს საქართველო დაძაბულობის შესანელებლად?"**

კვირას "ბი ბი სი"-ს ინტერნეტ პორტალზე ასობით კითხვა დაგროვდა. ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტი ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას ვერ მოახერხებდა, მით უმეტეს, რომ ამისთვის არც დრო იყო საკმარისი და გადაცემის ფორმატიც არ იძლეოდა ამის საშუალებას. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ კითხვათა უმეტესობაში საქართველოსადმი ღია მხარდაჭერა იყო გამოხატული და ყველაფერში რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, წინასწარ განსაზღვრავდა გადაცემის ხასიათს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით საქართველოში რუსი ჯაშუშების დაკავების შემდეგ, მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებები "თავს ვალდებულად" თვლიან, დეტალურად გააშუქონ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხი. და, რაც მთავარია, მათში საქართველო გაცილებით დადებით კონტექსტშია მოხსენიებული, ვიდრე რუსეთი.

*24 საათი*

## უფროსი ძმის მუქარა

*პოლონეთში დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დღეებში მიმდინარე მოვლენებს. ეს გასაგებიცაა: აქაურ ყველა გაზეთის პუბლიკაციაში აშკარად იგრძნობა სიმპათია და მხარში ამოდგომის სურვილი საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი. სწორედ ერთ-ერთი ასეთია ცნობილი ჟურნალისტის პაველ რეშკას სტატია, სათაურით "უფროსი ძმის მუქარა", რომელიც პოპულარულ გაზეთ "ჟეჩპოსპოლიტაში" დაიბეჭდა.*

ქართველებმა ძალიან გარისკეს, როდესაც რუსეთის სამხედრო დაზვერვის (გრუ-ს) ოთხი ოფიცერი დააპატიმრეს. ყოველი ასეთი შემთხვევისას კრემლი უაღრესი პრინციპულობით მოქმედებს. თბილისის ხელისუფლებამ იცოდა, რომ ამით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბებოდა, მაგრამ ის, რაც ამასთან დაკავშირებით მოსკოვმა მოიმოქმედა, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი სახალხოდ აცხადებს, რომ "საქართველოში ბანდიტიზმი სახელმწიფო დონეზე ავიდა" და ნატო-ს "ახალგაზრდა" წევრებს იმაში ადანაშაულებს, რომ საქართველოს საბჭოური იარაღით ამარაგებენ. რუსულ მედიაში ზიზღის კამპანიაა გაჩაღებული და ჩვენი კოლეგები ამ ორ ქვეყანას შორის შესაძლო ომზე ალაპარაკდნენ. "კომსომოლსკაია პრავდა" საქართველოს შეერთებული შტატების ერთგულ ძაღლს ადარებს, რომელმაც მიიღო ბრძანება "ეცი" და დამჯერედ ეძგერა რუს ოფიცრებს.


გაგრძელება A2 გვერდზე

# პოსტსაარჩევნო პოლემიკა

ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ოპოზიციური პარტიები მას არასამართლიანად და არადემოკრატიულად აფასებენ. საარჩევნო ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ ჩატარებულმა არჩევნებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ნამდვილი სახე.

"თუ საზოგადოებას ეგონა, რომ ოპოზიციურ პარტიებს უფრო მეტი შედეგი უნდა ეჩვენებინათ არჩევნებში, ვიდრე დღეს გვაქვს, ეს იმიტომ, რომ ხალხს ხელისუფლება უფრო პატიოსანი ჰგონია, ვიდრე ის არის. ჩვენი მიზანი იყო, ყველასათვის დაგვენახებინა ხელისუფლების სახე. ოპოზიციას რომ ბოიკოტი გამოგვეცხადებინა, დარწმუნებული ვარ, "ფანტასტიკური" არჩევნები ჩატარდებოდა. აღარ იქნებოდა არც დაუზუსტებელი სიები და არც სხვა სახის პროცედურული დარღვევები. ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა მტკიცედ გამოხატა თავისი ნება და დააფიქსირა, ვინ არის ამ ხელისუფლების ალტერნატივა ქვეყანაში. დღეს ყველაფერი თავიდან იწყება. ჩვენ ამ სასტარტო პოზიციებიდან ვაგრძელებთ მოღვაწეობას," - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციური პარტიების პოლიტიკურ ბრალდებებს აბსურდს უწოდებენ. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ არჩევნები შედგა.

"საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისაც კი არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა, მიეცა საშუალება, საკუთარი პოზიცია გამოეხატა. ყველა პოლიტიკურმა ძალამ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ქართველ ხალხში ნდობა არ დაუკარგავს. თამამად უნდა ითქვას, რომ ჩატარდა სამართლიანი არჩევნები. ჩვენ უახლოეს მომავალში ვაპირებთ, პასუხი გავცეთ საზოგადოებაში გაჩენილ ყველა იმ შეკითხვას, რომელიც ოპოზიციური პარტიების ბრალდებებმა წარმოშვა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დედაქალაქის ყველა საარჩევნო უბანში მიმდინარე საარჩევნო პროცესი ჩაწერილია ვიდეოკამერებზე. თუ ვინმეს რაიმე შეკითხვა აქვს, შეგვიძლია კამერაზე დაფიქსირებული ფაქტებით გავცეთ პასუხი," - აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

მისივე განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩევლების აქტივობა ყველაზე მაღალი იყო.

"საარჩევნო სიაში 3 200 000-მდე მოქალაქე იყო შეყვანილი. ყველა, ვისაც პირადობის მოწმობა გააჩნია, სიაში იყო დარეგისტრირებული. ის, რომ ზოგიერთმა მოქალაქემ სიაში საკუთარი თავი ვერ იპოვა, არ ნიშნავს, რომ არჩევნები გაყალბდა," - განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საია-მ ხელისუფლებას ათასწლეულის მიზნების შესრულება შეახსენა

პროექტის "მომავალი სიღარიბის გარეშე" ფარგლებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 39 ბავშვი დააჯილდოვა.

1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, საია-ს წევრებმა, 1000 ბუშტი გაუშვეს, რომელთაც გამობმული ჰქონდა ე. წ. ათასწლეულის ბარათები. პირობის თანახმად, ვინც იპოვიდა ამ ბარათებს და ორგანიზაციას ფოსტით უკან გამოუგზავნიდა, ისინი უახლოეს მომავალში დაჯილდოვდებოდნენ. ეს ბარათები იპოვა 39 ბავშვმა. 39-ე ბავშვს გუშინ სპეციალური საჩუქრები - სათამაშოები და წიგნები გადაეცათ.

ამ აქციაში გამარჯვებულად გამოვლინდა მე-6 კლასის მოსწავლე ბაღდათის რაიონიდან, 13 წლის თამარ მოდებაძე. მას, საჩუქართან ერთად, ფერადი ტელევიზორიც გადაეცა.

გუშინვე 39-ე ბავშვს გასაფერადებელი ზღაპრის წიგნი გადაეცა. ამ წიგნის უკანა ყდაზე მოცემულია კიდევ ერთი ათასწლეულის ბარათი, რომელსაც უკან მიღების შემთხვევაში, საია დაარეგისტრირებს, გამარჯვებულებს კი 3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, დააჯილდოებს.

2000 წელს საქართველომ აიღო ვალდებულება, 2015 წლისთვის დაძლეული იქნეს საქართველოში სიღარიბის პრობლემა.

საია მთავრობას ამ ორიგინალური ფორმით ათასწლეულის მიზნების შესრულებას ახსენებს. **ინტერპრესნიუსი**

# ხორვატია ევროკავშირს პროცესების დაჩქარებისკენ მოუწოდებს

ხორვატია ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებს ევროკავშირის შესაბამის სამსახურებთან წლის ბოლომდე გამართავს. ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩი აცხადებს.

მინისტრმა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარესთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ხორვატიას ევროკავშირის მოთხოვნების მეტი წილი უკვე შესრულებული აქვს, ნაწილის შესრულებაზე კი მუშაობა მიმდინარეობს. მისივე ინფორმაციით, ხორვატია ევროკავშირში გაწევრიანებას 2009 წლისთვის გეგმავს. თუმცა, მინისტრი გულწრფელად აღნიშნავს, რომ ყველაფერი ევროკავშირზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ ახლახანს ევროკომისიის პრეზიდენტმა დურან ბაროზუმ ევროკავშირს, ახალი წევრების მიღებაზე, "მცირეოდენი პაუზის" გაკეთება ურჩია. თუმცა, ხორვატიის საკითხი ბაროზუმ ცალკე ჩაინიშნა და განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუკი ხორვატიას "რაც შეიძლება მალე" იხილავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. **ჯი-ეიჩ-ენი**

# იაპონია ფხენიანს ემუქრება

იაპონიამ შესაძლოა, ჩრდილოეთ კორეასთან ვაჭრობა სრულად შეწყვიტოს. ამის მიზეზი ფხენიანის მიერ ბირთვული იარაღის შესაძლო გამოცდაა.

ფხენიანის მიერ ივლისში დიდი და საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტის გამოცდის შემდეგ, ტოკიომ მას ეკონომიკური სანქციები გაუმკაცრა, თუმცა ამჯერად საუბარია იმპორტ-ექსპორტის სრულ გაწყვეტაზე.

იგეგმება აგრეთვე აკრძალვების დაწესება ჩრდილოეთ კორეადან მომავალ ყველა გემზე; ასევე ჩრდილოეთ კორეულ ორგანიზაციებს აეკრძალებათ ანგარიშების გახსნა იაპონიაში, თანხის გადაგზავნა იაპონიიდან, ან იაპონიაში.

ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკამ განცხადება ბირთვული იარაღის შესაძლო გამოცდის შესახებ გასულ კვირას გააკეთა და ეს განზრახვა აშშ-დან მომავალი საფრთხით ახსნა.

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ ჩრდილოეთ კორეის ამ განზრახვას "სამწუხარო" უწოდა და განაცხადა, რომ მისი რეალიზაცია "დაუშვებელია". **ინტერპრესნიუსი**

# მკვლელობებისა და შოვინიზმის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს კარელ დე გუხტს მიმართვა გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავებაშია დაინტერესებული.

რუსეთის პირველი პირი ეუთო-ს არწმუნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაჭრას აპირებს.

**"საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლო ქმედებები შეუძლებელია მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღების მიღმა დარჩეს. იმედია, ეუთო პრინციპულ პოზიციას დაიკავებს,"** - აღნიშნულია პუტინის მიმართვაში.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გენოციდს დაიწყებს, რუსეთი თამაშგარე მდგომარეობაში არ დარჩება. ასეთი განცხადება რუსეთის ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა გადაცემა "ვესტის" ეთერში გააკეთა. მისი განცხადებით, რუსეთი არ აპირებს "მეგობარ ქართველ ხალხთან ომს", მაგრამ თუ ეს მაინც მოხდება, რეგიონებში, სადაც მოსახლეობის 90 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა, რუსეთი აუცილებლად ჩაერევა.

იქვე ივანოვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა უკვე დაწყებულია და ეს პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. **"მათი სწრაფად გაყვანა შეუძლებელია, რადგანაც აუცილებელია ტექნიკის მომზადება,"** - განაცხადა ივანოვმა და დასძინა, რომ უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი საქართველოს ტერიტორიას 2008 წლის ბოლოსთვის დატოვებს.



აქციაში, დაახლოებით, 3000 ადამიანი მონაწილეობდა.

რუსეთში საქართველოს მოქალაქეების მიმართ ადამიანის უფლებათა და საკუთრების უფლების დარღვევის ყოველი ფაქტი ევროპის სასამართლოს განსჯის საგანი გახდება. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გაავრცელა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეების მიმართ რეპრესიების გატარებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ შესაბამისი სარჩელები იქნება შეტანილი.

**"რუსეთის ხელისუფლების ხელდასმით და პირდაპირი მითითებით, ამ ქვეყანაში უხეშად და მასობრივად ირღვევა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, უგულებელყოფილია ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული საერთაშორისო და რეგიონული დოკუმენტები, რომელთა მონაწილე თავად რუსეთის ფედერაციაცაა,"** - ნათქვამია განცხადებაში.

სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს საქართველოს მოქალაქეთა, მათ შორის ქალებისა და ბავშვების დაკავება და რუსეთიდან დეპორტაცია მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობის გამო. საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი სკოლებიდან საქართველოს მოქალაქე ყველა თანამშრომელი და მოსწავლე დაითხოვეს.

**"ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისგანაც კი ისმის მოწოდებები, "გაიწმინდოს" რუსეთის სავაჭრო ობიექტები ჩამოსულებისაგან და დაცული იქნეს "ძირძველი მოსახლეობის" უფლებები. რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწყებულ კამპანიას უკვე შეუერთდნენ ფსევდო-პატრიოტული და ნეონაცისტური ორგანიზაციები, რომლებიც მიესალმნენ კრემლის ნაბიჯებს და აქტიურად ჩაებნენ ქართველების წინააღმდეგ გაშლილ შოვინისტურ ისტერიაში, ეთნიკურ წმენდაში, რითაც მოვლენები სულ უფრო უმართავ ხასიათს იძენს,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება ამ ქმედებებს რასისტულს უწოდებს და მსოფლიო დემოკრატიულ თანამეგობრობას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, სათანადო შეფასება მისცენ რუსეთის ხელისუფლების ქსენოფობიურ გამოვლინებებს და მკაცრად მოითხოვონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უხეში და მასობრივი დარღვევების აღკვეთა.

*24 საათი*

# უფროსი ძმის მუქარა

პირველი გვერდიდან

კრემლი მთავარი პროპაგანდისტი მიხეილ ლეონტიევი ძარღვებს იგლეჯს: "საქართველო ჩვენი წყალობით და ჩვენ ხარჯზე ცხოვრობს: ჩვენს გაზსა და ელექტროენერგიას მოიხმარს". თანაც გვახსენებს, რომ "რუსეთში საქართველოს ბევრი მოქალაქე ცხოვრობს". მართლაც, რუსეთში ისეთი ატმოსფეროა შექმნილი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათით (ასეთი ადამიანების რიცხვი კი მართლაც ძალიან დიდია) შესაძლოა კასტეტებით შეიარაღებული "დაუდგენელი პირები" დაინტერესდნენ.

არ ვამტკიცებ, რომ ამჟამინდელი კრიზისი რუსეთ-საქართველოს შორის ომს გამოიწვევს, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რესპუბლიკების არმიები, რომელთა "პროვოცირებასაც" საქართველოს სპეცნაზი მოახდენს, მთელი ძალით უპასუხებენ ამას არტილერიის, თვითმფრინავებისა და ტანკების გამოყენებით, რომელთაც არავითარი გამოსაცნობი ნიშნები არ ექნებათ. მათ ამგვარი გამოცდილება უკვე მიიღეს 90-იანი წლების დასაწყისში საქართველო-აფხაზეთის ომის დროს.

მაგრამ საქმე მხოლოდ საქართველოს როდი ეხება. რუსეთის ხელისუფლებას დაქვემდებარებულ მასმედიაში უკვე ჩანს ტრიუმფის ნიშნები უნგრეთში განვითარებული დემონსტრაციებისა და პოლონეთში არსებული პოლიტიკური კრიზისის გამო. "აღმოსავლეთ ევროპა - ერთი შეხედვით ასეთი წმინდა და მოწესრიგებული - სკანდალებშია გახვეული," - სიხარულს ვერ ფარავს კრემლის ერთგული პოლიტოლოგი ვიაჩესლავ ნიკონოვი.

დრო გადის, რუსეთი კი ვერ ახერხებს მოიშოროს უფროსი ძმის მენტალობა. ეს უფროსი ძმა იღვიძებს მაშინ, როდესაც რუსეთი თავს ძლიერად გრძნობს. ამიტომ ის, რაც ხდება საქართველოში, ჩვენც - ნატოს "ახალგაზრდა" და "სტაჟიან" წევრებსაც გვეხება. არ შეიძლება საქართველოს, რომელმაც თავისი მომავალი დასავლეთს მიანდო, ბედის ანაბარა მიტოვება.

# არჩევნები ფოთში

ქეთინო ჟაკობია
*ფოთიდან*

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები ფოთში სხვა რეგიონების იდენტურია. ქალაქის საკრებულოს 15 მანდატიდან 14 "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატებმა გადაინაწილეს. ხუთივე მაჟორიტარი დეპუტატი მმართველი პარტიის წარმომადგენელია. ოპოზიციური სპექტრიდან დეპუტატობა მხოლოდ ერთმა, "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ბლოკის წევრმა და კონსერვატიული პარტიის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გოჩა დოლბაიამ შეძლო. 34 400 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა 14 804-მა მიიღო. 70-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის თანახმად პროცენტული მაჩვენებელი ასე გადანაწილდა: ნაციონალური მოძრაობა-საქართველოს გამთლიანება და აღმშენებლობის სია-76%; "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" - 17%; "თოფაძე-მრეწველები" - 4%; სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზა - 3%;

წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პარტიები ძალთა არათანაფარდობაზე, არათანაბარ პირობებსა და არჩევნების მოსალოდნელ გაყალბებაზე მიანიშნებდნენ. "გვაქვს ინფორმაცია, რომ ნაციონალებს ფოთში 10 ათასი ყალბი ბიულეტენი გამზადებული აქვთ," - ამბობდა "საქართველოს გზის" სიის მე-2 ნომერი ვეფხვია ცომაია. სადავო გახდა ამომრჩეველთა ერთიანი სიაც. 34 400 ამომრჩევლის, ფოთისთვის უპრეცედენტო ფაქტის ფონზე თითოეულ უბანში ათეულობით მცხოვრებს ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდა. მოქალაქეებს, რომელთა გვარებიც 29 სექტემბერს გამოკრულ სიებში არ აღმოჩნდა, საოლქომ ვერაფერი მოუხერხა. წლების წინათ გარდაცვლილები, ქალაქიდან წასულები და ისინი, ვისაც მითითებულ მისამართზე არასოდეს უცხოვრიათ, მიახლოებითი გათვლით, რამდენიმე ათასს გაუტოლდა. მმართველ პარტიასთან ერთად საოლქომ პრეტენზიები ცესკო-სა და იუსტიციის სამინისტროზე გადაამისამართა. "ეს ის სიაა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებისას "მოქალაქეთა კავშირმა" შეადგინა. მაშინ ჩემი სავარაუდო მხარდამჭერები სიებიდან შეგნებულად ამოიღეს," - განუცხადა "24 საათს" ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა რომან მელიამ.

წინასაარჩევნო პერიოდში ფოთელი ნაციონალების კანდიდატთა აგიტატორი ადგილობრივი ხელისუფლება გახდა. თვითმმართველობის შენობაში სამუშაო საათებში არც ერთი თანამდებობის პირი პრაქტიკულად არ იმყოფებოდა. მათი პოვნა საარჩევნო შტაბში ან რომელიმე კანდიდატის პრეზენტაციაზე იყო შესაძლებელი. "ხელისუფლების წარმომადგენელი ვარ და მმართველ პარტიას ვუჭერ მხარს," - ასე ხსნიდა კანონდარღვევას ქალაქის მერი ივანე საღინაძე, რომელიც მოსახლეობასთან ულტიმატუმით საუბარსაც არ ერიდებოდა. "ან ნაციონალები, ან სიბნელე, უმუშევრობა, დანგრეული ქუჩები" და ა.შ; სტრატეგია, "პრეზიდენტიც ასე დადის კანდიდატებთან," - კი ხელისუფლების არგუმენტად იქცა.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილმა სამმა პიროვნებამ კანდიდატურა მოხსნა. ოფიციალურ კომენტარს ისინი ან არ თანხმდებოდნენ, ან ნაციონალების სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას იმიზეზებდნენ. პრივატული საუბრებიდან კი ირკვეოდა, რომ კანდიდატურის მოხსნა ზეწოლამ განაპირობა.

ფაქტია, მხოლოდ ერთი ოპოზიციონერი, კონსერვატორების ფოთელი თავმჯდომარე, გოჩა დოლბაია საკრებულოში ვერაფერს შეცვლის. ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივ თავმჯდომარესთან ახლო ურთიერთობიდან გამომდინარე, ქალაქში დიდი ხანია, მისთვის მანდატის წინასწარ დაბევებაზე საუბრობენ. წინასაარჩევნო კამპანიისას იგი პოზიციასთან ერთად ოპოზიციასაც აქილიკებდა. თუ დოლბაია არჩევნებამდე მოსალოდნელ გაყალბებაზე აკეთებდა აქცენტს, არჩევნების მომდევნო დღეს უკვე დემოკრატიულობასა და სამართლიანობაზე საუბრობდა. მისი საარჩევნო შტაბის წარმომადგენლებმა 5 ოქტომბერს დაფიქსირებული დარღვევა სარჩელით არ გაამაგრეს და "ჯენტლმენურად შევთანხმდით" - აუხსნეს "24 საათს". ბლოკის პირველ ნომერზე ფაქტობრივად სამმა პარტიამ, "კონსერვატიულმა", რესპუბლიკურმა" და "ახალმა მემარჯვენეებმა" იმუშავა. სავარაუდოდ სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა "თოფაძე-მრეწველებთან" და "საქართველოს გზასთან" შედარებით მისი უპირატესობა.

საარჩევნო კოდექსი საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომის სამჯერ გაცდენისთვის კომისიის წევრის უფლება-მოსილების შეწყვეტის საშუალებას იძლევა. გაცდენების მიუხედავად საოლქოს თავმჯდომარეს არავინ გაუთავისუფლებია.

70-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზაალ კუჭუხიძის განმარტებით, არჩევნების დღეს მხოლოდ ერთი განცხადება აღირიცხა, რომელიც N1 უბანში ძირითადი საარჩევნო ყუთის ლუქის ნომრის ჩანაწერთა წიგნში მითითებულ ნომერთან სხვაობას შეეხებოდა. კანონით მინიჭებული 72 საათის დასრულებამდე კუჭუხიძე რეაგირების თაობაზე ვერაფერს ამბობს. საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის დარღვევის გამო საოლქოსთვის საჩივრით არავის მიუმართავს. ამომრჩეველთა სიების კენჭისყრის შენობაში გამოკვრის ნაცვლად რამდენიმე საარჩევნო უბანში სიები შენობის გარეთ, მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდებოდა. პოლიციელებიც უბნებზე კანონდარღვევით, მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან ერთად არჩევნებს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია, "სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და "ახალი თაობა-ახალი ინიციატივა" აკვირდებოდა. ეუთო-ს დამკვირვებლები მხოლოდ ცალკეულ უბნებში ხანმოკლე ვიზიტებით შემოიფარგლნენ.

**P.S.** *არჩევნების წინა ღამით ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში შენობებზე პროკლამაციები გაიკრა, სადაც დეტალურად იყო გაშიფრული ნაციონალების ფოთელი თავმჯდომარისა და სიის პირველი ნომრის, დავით შურღაიას ავტობიოგრაფია და კომპრომატები. "არ გვსურს, ფოთელები კიდევ ერთხელ შეცდნენ და არჩევანი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სანანებელი გაუხდეთ," - წერდა ანონიმი ავტორი.*

*ფოთელებმა არჩევანი გააკეთეს. გახდება თუ არა იგი სანანებელი, მომავალი გვიჩვენებს.*

## ორი სიტყვით

10 ოქტომბერს თბილისს ორდღიანი ვიზიტით ეწვევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის პრეზიდენტი ნორბერტ ლამერი. ვიზიტის ფარგლებში ბუნდესტაგის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეხვდება. ლამერი შეხვედრას გამართავს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გელა ბეჟუაშვილთანაც. ვიზიტის დასასრულს კი ლამერი საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II შეხვდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

ისრაელის მხრიდან კრემლის მისამართით გამოთქმულ შეშფოთებას, სირიის მეშვეობით ექსპრემისტული ორგანიზაცია "ჰეზბოლასათვის" იარაღის მოწოდების თაობაზე, უკვალოდ არ ჩაუვლია. ებრაული მედიის ინფორმაციით, კრემლმა იარაღის ექსპორტზე პასუხისმგებელი მაღალი თანამდებობის მქონე პირი გაათავისუფლა. აღნიშნული ინფორმაცია ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ეჰუდ ოლმერტის მოსკოვში დაგეგმილ ვიზიტამდე ორი კვირით ადრე გავრცელდა, რითაც კრემლმა ფაქტობრივად თავისი "შეცდომა" აღიარა. კრემლის მიერ გადაგმული ეს ნაბიჯი ირაელის პრემიერ-მინისტრის მოსკოვში დაგეგმილ ვიზიტს უკავშირდება, - აცხადებენ ექსპერტები. ეჰუდ ოლმერტის ვიზიტი მოსკოვში 17-19 ოქტომბრისთვის იგეგმება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

ლატვიის მეცხრე მოწვევის სეიმის არჩევნებში "სახალხო პარტიამ" გაიმარჯვა. პარტიას სათავეში ქვეყნის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი აიგარ კალვიტისი უდგას. ლატვიის სეიმში მოსახვედრად ათასზე მეტი კანდიდატი იბრძოდა 19 პარტიიდან. არჩევნებამდე ჩატარებული გამოკითხვების შედეგად აშკარა ლიდერი არ არსებობდა. თუმცა, ლატვიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, "სახალხო პარტიას" მხარი 19,33 პროცენტმა დაუჭირა. არჩევნების საბოლოო შედეგები უახლოეს დღეებში გამოცხადდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

დღეიდან ძალაში შედის ახალი წესები საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ტვირთისა და რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის პერსონალის სატრანზიტო გადაყვანის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო და იგი საქართველოს ტერიტორის გავლით სამხედრო ტვირთების, პერსონალისა და მათი თანმხლები ოჯახის წევრების გადაყვანას შეეხება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

ყვარლის გამგებლის ვასიკო გაიკარაშვილის ინფორმაციით, ყვარლელ გლეხებს ყურძნის გაყიდვაში პრობლემები არ შექმნიათ, რადგან მყიდველები ჩამოდიოდნენ და პირდაპირ ვენახებიდან მიჰქონდათ ყურძენი. "მხოლოდ ყვარლის რაიონიდან ქარხნებმა 10 ათასი ტონა ყურძენი ჩაიბარეს. აღარაფერს ვამბობ იმ ყურძენზე, რომელიც ჩამოსულებმა ადგილზე შეისყიდეს. ყურძნის უმეტესობა კი თავად კახეთის გლეხობამ დაწურა და მომავალში ხარისხიან ღვინოს გაყიდის," - განაცხადა გაიკარაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

საქართველოს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გია ხევიაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ზინაიდა ბესტაევა და საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ზემო აფხაზეთის ადმინისტრაციულ ცენტრს - აჟარას ეწვივნენ. მათ ახალგახსნილი იუსტიციის სახლი დაათვალიერეს. სახელისუფლებო დელეგაციის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ადგილობრივ მოსახლეობასთან. თავის მხრივ, მოსახლეობის წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს იუსტიციის სახლის გახსნით, რადგან მათ დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ ნებისმიერი სახის რეგისტრაციის გავლა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

2006 წლის ბოლომდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შვედეთსა და ფინეთში საელჩოს გახსნის. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და შვედეთის საგარეო მინისტრს კარლ ბილდტსს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ასევე, სატელეფონო საუბრისას გელა ბეჟუაშვილმა კოლეგას 6 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნა მიულოცა და მას საქმიანობაში წარმატებები უსურვა. სატელეფონო საუბრისას მინისტრებმა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზეც ისაუბრეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

აშშ-ს მოქალაქემ ჯოზეფ მეტასმა "სამხრეთ ოსეთის" მოქალაქეობა მიიღო. თვითაღიარებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტის ინფორმაციით, ჯოზეფ მეტსს პასპორტი დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა გადასცა. "თქვენ ახლა უკვე სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი მოქალაქე ბრძანდებით. თქვენ და თქვენს ოჯახს მშვიდობასა და წარმატებებს ვუსურვებ," - უთხრა ჯოზეფ მეტსს ედუარდ კოკოითმა. ამერიკელის თქმით კი, მას ეამაყება ახალი პასპორტის გადაცემა. "ძალიან მიყვარს სამხრეთ ოსეთის მკვიდრნი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, თუმცა, არსად ისე კარგადად არ მიგრძვნია თავი, როგორც აქ, სამხრეთ ოსეთში," - აღნიშნა მან. ჯოზეფ მეტსის მეუღლე ოსია. ამდენად, ამერიკელს ე.წ. სამხრეთ ოსეთში დიდი დრო აქვს გატარებული. **მედიანიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

პრესომბუდსმენი

ნოდარ ლადარია

"ღამის შოუმ" წამყვანი შეიცვალა. ვისაც აღიზიანებდა ბლანჟეიან-სათვალიანი, ნერვიული "წიკებით" გამორჩეული და მსუბუქად ინტელექტუალური იერის მქონე ტიპაჟის გამოჩენა, ახლა შეუძლია საკუთარი თავის ხილვით დატკბეს.

ნებისმიერ მოვლენაში რაღაც ზოგადი ტენდენციის ძებნა ყოველთვის წარმატებას ვერ მოგვიტანს, მაგრამ ადამიანები უკვე ლამის ორი ათასწლეულის განმავლობაში მოახლოებული აპოკალიფსის ნიშნად მიიჩნევენ ათას სისულელეს, მაგალითად, ორთავიანი ხბორების დაბადებას. ჩვენ კი რატომ უნდა შემოგვწყრეს მკითხველი, თუ **ვანო ჯავახიშვილის** ახალ ამპლუას ერთგვარი საეტაპო მნიშვნელობით დავტვირთავთ. დრო შეიცვალა და ახალი "ღამის შოუ" ამის ერთ-ერთი საბუთია.

თუ ძალიან ზედაპირულები ვიქნებით, სახეცვლილ გადაცემაში, უპირველეს ყოვლისა, ალბათ პოლიტკორექტულობის დეფიციტი უნდა შევნიშნოთ: "**ისეთი ღარიბი სომხური ოჯახიდან იყო, რომ არც ერთი ოქროს კბილი არ ჰქონდა**". გასაგებია, რომ ამას ცუდი სუნი უდის, მაგრამ პოლიტკორექტულობის დარღვევა უკანასკნელია, რაც შეიძლება ვუსაყვედუროთ. გაცილებით უფრო მძიმე ისაა, რომ იმ უკბილო ხუმრობის საქვეყნოდ წარმოთქმული სიტყვები კანონიერი არსებობის უფლებას აძლევს ღრმად, სადღაც ნაწლავების ბნელ და მყრალ ლაბირინთში ჩაბუდებულ თვითკმაყოფილებას. რა თქმა უნდა, თვითკმაყოფილება სახეზეც გვატყვია და მთელი ჩვენი იერიდანაც გამოსჭვივის, მაგრამ აქაც არის კლასიფიკაციის საშუალება და ბნელიდან ახლახან ამოსული ეს სახეობა სულ სხვაა: ოდესღაც გვრცხვენოდა მისი, ყოველ შემთხვევაში, ვერიდებოდით, დაბალი დონის გამოვლინებად მიგვაჩნდა, ახლა კი ვანო ჯავახიშვილის კურთხევით დღის სინათლეზე ამოყო თავი ამ ბინძურმა უგემოვნებობამ.

აქ შეიძლება საკუთარ თავს შევეკამათოთ და ვთქვათ, რომ ჩვენი გმირი ერთგვარ სატირულ ფუნქციას ასრულებს და კიცხავს იმას, რასაც გამოხატავს. სამწუხაროდ, ამ შენიშვნას შორსმჭვრეტელობა აკლია. აი, ტელეკომპანია "იმედის" გადაცემაში "თეორემა" კლიპმეიკერმა **ბასა ფოცხიშვილმა** ღია ტექსტით განაცხადა, რომ



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ქართველი რის ქართველია, თუ კანონი არ დაარღვია, რომ "ცხელ ხაზზე" დარეკვა, აბა, რა ვაჟკაცობაა, რომ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა უკადრისი საქციელია და ა. შ. ამ ყველაფერს პასუხის გამცემი არ აღმოაჩნდა, გონებით ორმოცდაათი წლის შინაბერებს დამსგავსებულმა სტუდენტებმა ვერც კი გაიგეს, რასთან ჰქონდათ საქმე. შეიძლება რომელიმე გულუბრყვილო და უმწიფარმა ინტელექტუალმა იფიქროს, თითქოს ამგვარ სულიერ ბარბაროსობას იმავე გადაცემაში ნაჩვენები **ვუდი ალენის** ფილმი გასცემდა საკადრის პასუხს, მაგრამ ასეთი ფიქრი დაუშვებელი სიბეცე იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ — ქალბატონს, რომელსაც ტელეეთერით ჩხრეკისას მოქალაქეობრივი შეგნების ერთი "მასტერკაც" არ აღმოაჩნდა, თვითონ ექნება ნანახი ვუდი ალენის ყველა ხელმისაწვდომი ფილმი და ვინ იცის კიდევ რამდენი რამ. სადაა იმის გარანტია, რომ საშუალო ტელემაყურებელი, "შუშანიკის" საზეპიროებზე გაზრდილი და კრიტიკულ აზროვნებას მიუჩვეველი, ამ ქარაგმებში გარკვევასა და სწორი დასკვნის გამოტანას შეძლებს? ამერიკელები, მაგალითად, საკუთარ მაყურებელს იმდენად არ ენდობიან, რომ კომიკურ სერიალებს თან სიცილის ხმასაც დაურთავენ, რომელიც თითქოს გვკარნახობს, სად უნდა გავიცინოთ. სულაც არ მოგიწოდებთ მიბაძვისკენ, უბრალოდ, ამერიკელთა ამგვარი გადაწყვეტილება, ასე ვთქვათ, ბაზრის სპეციფიკის შესწავლითაა ნაკარნახევი. ჩვენ კი, როგორც ეტყობა, საკუთარი საზოგადოება და მისი შესაძლებლობების ადეკვატური შეცნობა არ გვაინტერესებს. მართალია, ქართველი ხალხის გემოვნება საგრძნობლად დაიხვეწა მას შემდეგ, რაც **ლაშა ბუღაძემ** ჯუზეპე ვერდის ბიოგრაფია გააცნო, მაგრამ გულწრფელად ვაღიაროთ — სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ შორია...

არის კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი. ადრე "ღამის შოუს" წამყვანი ჰყავდა, ანუ იმის თქმა მინდა, რომ სტუმარი და მასპინძელი ერთ რეგისტრს ეკუთვნოდნენ, ერთმანეთის თანასწორ დონეზე იდგნენ და, უბრალოდ, მსუბუქად საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე. ამისგან განსხვავებით, დღეს სტუმარი წამყვანს კი არ ხვდება, არამედ ვოდევილის გმირს. გასაგები რომ იყოს, კვლავ შედარებას მივმართოთ. ყველასათვის ცნობილია ორი რადიოპერსონაჟი — **ჭიჭიკო** და **ბიჭიკო**. მაგრამ ისინი მაინც შოუს წამყვანები არიან და არა ვოდევილის გმირები. შეცვლილი ხმა აქ მხოლოდ ხერხია იმისთვის, რომ დიალოგმა გადაცემის ძირითადი მიზნის შესაბამისი მიმართულება მიიღოს და მსმენელისათვის სასურველ დონემდე გახსნას მოწვეული ან ნებაყოფლობით დაკავშირებული მონაწილის შინაგანი მდგომარეობა. ჭიჭიკო და ბიჭიკო სხვებს აშიშვლებენ, თვითონ კი დაფარულნი რჩებიან. კიდევ ერთი შედარება: მე-11 საუკუნის ევროპელი მოაზროვნის, **პეტრე აბელარის** სატრფო, **ელოიზა** პარიზის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. ეს სრულიად უჩვეულო იყო იმ დროისათვის. სტუდენტები რომ არ "დაბრკოლებულიყვნენ", პროფესორი ფარდის მიღმა იჯდა და მას ვერ ხედავდნენ. და მაინც, ელოიზა პროფესორი იყო და პროფესორის ფუნქციას ასრულებდა, რაშიც მას ხელს უწყობდა ფარდა, როგორც გაბატონებულ იდეოლოგიასთან მისაღები კომპრომისი. ასევე არიან ჭიჭიკო და ბიჭიკოც — მათი "დამიქსებული" ხმების გამგონე თანამოსაუბრეს შინაგანი დაბრკოლებები ეხსნება და იგი თითქოს ხუმრობით და არასერიოზულად ავლენს საკუთარ სრულიად სერიოზულ თვისებებს.

საპირისპირო ვითარებაში აღმოჩნდება "ღამის შოუს" სტუმარი. მის წინაშე დგას პიროვნება, რომელიც გულის კარს კი არ ახსნევინებს, არამედ საკუთარ თამაშში ითრევს. სტუმარი წამყვანს კი არ ხედავს, არამედ მსახიობს, რომელიც პარტნიორობას ახვევს თავს. ვანო ჯავახიშვილი განაგრძობს საკუთარი თავის გაიგივებას ხან "გურამთან" და ხან "ფიზკულტუროლოგ ტორომშელიძესთან". ადრე მაინტერესებდა ხოლმე, როგორ აუბამდნენ მხარს **დავით გოგიჩაიშვილს** ამერიკის კონსული ან სანდრა რულოვსი ან გელა ჩარკვიანი და როგორ გამოავლენდა თითოეული მათგანი საკუთარ არტისტიზმს, თავისი პიროვნების იმ ნაწილს, რომელიც მოცულობით გაამდიდრებდა მათზე შექმნილ ბრტყელ თვალსაზრისებს. მაგრამ მე არ მაინტერესებს, როგორ ითამაშებენ კახა ბენდუქიძე ან თათა ვარდანაშვილი ან გია ნოდია "შაბათის შოუში", როცა მათგან სხვა რამეს ველი.

არ გეგონოთ, ზემოთქმული მხოლოდ უქმ ესთეტიზმში ვარჯიშია. თუ ნებავთ, ერთ არგუმენტსაც გაახლებთ: გეხსომებათ "ღამის შოუს" პაროდია, რომელიც ბრწყინვალედ შეასრულა **კოტე ფხაკაძემ**; ცხადია, თუ სურვილი იქნება, ჭიჭიკოსა და ბიჭიკოს პაროდირებაც შეიძლება. მაგრამ წარმოიდგინეთ ახალი "ღამის შოუს" პაროდია. ძნელია, არა? მიზეზი კი მარტივია და მის გასაგებად მექანიკის სასკოლო კურსიც კმარა: დროზე გაყოფილი მანძილი სიჩქარეა, დროზე გაყოფილი სიჩქარე — აჩქარება. აი, აჩქარებას კი აღარავინ ყოფს დროზე, რადგან ასეთი რამე არავის სჭირდება, ახალს არაფერს შეიცავს. სწორედ ამიტომაა შეუძლებელი "ღამის შოუს" პაროდირება მას შემდეგ, რაც გადაცემა ვანო ჯავახიშვილს მიჰყავს. "გურამს" პაროდია რად უნდა, "გურამი" თვითონ პაროდიაა...

ახლა კი რაკურსი შევცვალოთ. "ღამის შოუს" დაბადების დღე მიულოცეს საქართველოს "ცნობილმა სახეებმა". მათგან ორს გამოვყოფდი, ასე ვთქვათ, ეკრანზე გამოჩენის რიგით — **ლევან ბერძენიშვილსა** და **მიხეილ სააკაშვილს**. უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთი მილოცვა არ იყო წმინდად ფორმალური და გამოირჩეოდა ინტელექტუალური წვდომის სიღრმით. თუ პოლიტიკური ბრძოლის მოყირჭებულ გამოკრთომებს გამოვრიცხავთ, ორივემ ერთი და იგივე თქვა: "ღამის შოუ" არის ჩვენი რეალობის თვალსაჩინო ანარეკლი. ეს მარტივი იდეა ორივე მხრიდან ერთნაირი სიმდიდრითა და საფუძვლიანობით იყო არგუმენტირებული. უფრო მეტიც, ეს გამოსვლები იდეალურად ავსებდნენ ერთმანეთს და შეფასების სრულ სურათს ქმნიდნენ: ოპოზიციონერმა მიგვითითა, რომ შოუ წარმატებით არბილებს ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ბასრ წახნაგებს; მმართველი დაჯგუფების მეთაურმა კი არანაკლები სამართლიანობით აღნიშნა, რომ შოუ საკუთარი თავისგან დისტანცირების საშუალებას იძლევა და ამით მომავალი წინსვლის ფასდაუდებელ პირობას ქმნის.

მერე და რა? — სწორედ იმაზე ითქვა უარი, რაც ორივე მომლოცველმა ასეთი სიცხადით შეაქო. დარჩა მხოლოდ საკუთარი სიმახინჯით ტკბობის უსაზღვრო შესაძლებლობა. რაო, ზედმეტი სიმკაცრე გამოვიჩინე? — მაგრამ როცა საქმე საზოგადოებრივ ღირებულებებს ეხება, ამგვარი ვაჭრობა მიუღებელია, აქ მხოლოდ უკიდურესი პრინციპულობა გამოგვადგება. ჩვენ კი რა გვაქვს? — ის, რომ საქმის ჩაფარცხვა თურმე ორივე მხარეს აძლევს ხელს, თითოეულს თავისი შესაძლებლობის მიხედვით. ერთი წინასაარჩევნო კლიპს გადაიღებს, სადაც ეკლესიაში შედის და სანთელს ანთებს, მეორე, რომელსაც ჯერჯერობით მეტი მიეცა, ფესტივალ "ჩვენებურებს" მოაწყობს. და მიუხედავად შესაძლებლობათა ამ რადიკალური განსხვავებისა, ორივეს ჩვენგან ერთი და იგივე უნდა: ჩვენი გემოვნება "ელია გოგო ელია"-ზე მაღლა არასოდეს უნდა ავიდეს, რომ არასოდეს არ გაჩნდეს შეკითხვა: რას აკეთებს ხოლმე ეს კაცი, როცა ტელევიზორში არ აჩვენებენ?

სწორედ ამ იდუმალ სამყაროში გაჭრილი ვიწრო სარკმელი იყო დავით გოგიჩაიშვილის "ღამის შოუ" და ეს სარკმელი სწორედ ახლა დაიგმანა, როცა ყველაზე მეტად გვჭირდება. ადრე საწყისი მონოლოგის მთქმელი და "ჰედლაინების" კრიტიკოსი ერთი და იგივე კაცი იყო, ახლა კი ყველა ერთნაირმა იდიოტურმა სიხარულმა მოიცვა და ვერავინ ამჩნევს, რომ საწყისი მონოლოგის წარმომთქმელი ვერასოდეს იქნება ერთი და იგივე პიროვნება, რომელიც "ჰედლაინებს" განიხილავს, რადგან სწორედ ეკრანზე პირველად გამოჩენილი "გურამის" ან "ნანულის" თანამოძმენი არიან, ვინც ტონობით ყლაპავს "სარკეს", "გზას" და "თბილისელებს" — ყლაპავს და გულიც არ ერევა.

ალბათ მისაყვედურებს მკითხველი, რომ ამჯერად მნიშვნელოვან თემებს არ ვეხები. ასეთებად, როგორც ეტყობა, ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების შედეგები და რუსეთთან ურთიერთობაა შერაცხული. რა უნდა ვთქვა? — რაც არის, არის. ახლა უკვე რაც მოხდება, ყველაფერი ჩვენი გადასაწყვეტი იქნება და ამას უნდა მივეჩვიოთ. მიჩვევისთვის კი საკუთარ თავს უნდა დავუკვირდეთ და დავფიქრდეთ, ვინ ვართ და რა შეგვიძლია.

თუ მაინცდამაინც არ იშლით, რუსეთის თემას მაინც შევეხები. სულ რამდენიმე დღეში იქაური ტელეარხების დონე ერთბაშად გაუთანაბრდა ჩვენს "კავკასიას" ან **შალვა რამიშვილის** შემდეგდროინდელ "202"-ს. და თუმცა იქიდან მოსული ინფორმაციის ნაკადი ხშირად შელამაზებულ-შეთითხნილია, როგორც ეტყობა, მაინც ჰყოფნით პატიოსნება ან სიბრიყვე, ხანდახან დაუფარავად განაცხადონ ყველაზე დაუჯერებელი სინამდვილე. ერთ-ერთი საგანგაშო ამბავი კი ასეთია: **ზურაბ წერეთელს** მოსკოვში სამხატვრო აკადემია დაუხურეს და ფინანსური დარღვევები აღმოუჩინეს. ვაი შენ, საბრალო საქართველო, თუ გემოვნებისაგან დაცლილ მეცენატს ახლა ფულით გატენილი მხატვარი ამოუდგება გვერდში! დამიჯერეთ, ბალისტიკურ რაკეტას ჩვენ არავინ გვესვრის, თუნდაც მოძველებული რუსული "ტოპოლი" იყოს. მაგრამ განა ნაკლები დაქცევა და უბედურება იქნება, თუ ჩვენი ღვთივდაცული მამულის ყველა კუთხე-კუნჭულში ფალოსებივით ამაყად თავაწეული მონუმენტები აღიმართება?

რუსეთი საშიში არაა, რადგან ხისთავიანმა ხემაც კი თქვა ერთხელ სიბრძნე: ცული ვერ მომერეოდა, შიგ ჩემი გვარისა რომ არ ერიოსო.

სტუმარი

# საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობები - ორმხრივი დაინტერესება და განვითარების პერსპექტივები

ხათუნა გაბიევი

*საქართველოში სტუმრად მყოფი ბ-ნი ვაჰიდ ელ-დინ ისმაილ ღალალი, ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის გენერალური მდივანი და ეგვიპტის სრულუფლებიანი ელჩი სამხრეთ კავკასიაში ქ-ნი აბლა აბდ ელ რამანი გაზეთ "24 საათს" საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობებზე, მისი განვითარების პერსპექტივასა და ფონდის საქმიანობის შესახებ ესაუბრნენ.*

*ფონდის ძირითად მიზანს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს. 1993 წლიდან 2006 წლის აგვისტომდე ფონდის სრული დაფინანსებით ეგვიპტეში სტაჟირება გაიარა სხვადასხვა სფეროს 1800-მდე ქართველმა სპეციალისტმა. მიახლოებითი დაანგარიშებით 1 სპეციალისტის სტაჟირება ეგვიპტურ მხარეს დაახლოებით 3-5 ათასი აშშ დოლარი უჯდება. ამ ხარჯებში შედის ორივე მიმართულებით მგზავრობა, სასტუმროში ცხოვრება, კვება, ლექტორთა დაფინანსება, კულტურული პროგრამა (2-3 დღიანი დასვენებით ალექსანდრიაში, წითელ ზღვაზე ან ლუქსორში) და ზოგჯერ სამედიცინო დახმარებაც. ამჟამად ეგვიპტეში ქართველი პოლიციელები და საბანკო საქმის სპეციალისტები იმყოფებიან.*

**- მოგვიყევით ფონდის საქმიანობის შესახებ, როდის დაარსდა იგი, რა მიზანს ემსახურება და როგორი შედეგები აქვს?**

**ბ-ნი ვაჰიდ ელ-დინ ისმაილ ღალალი**: დსთ-ს ქვეყნებთან, ევროპის ისლამურ სახელმწიფოებთან და ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებთან ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი, რომლის გენერალური მდივანიც თავად გახლავართ, 1992 წელს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის ბრძანებითაა დაარსებული. მისი მიზანია დსთ-ს ქვეყნების დახმარება და ეგვიპტესთან მათი თანამშრომლობის გაღრმავება და რასაკვირველია ამ ჩარჩოში საქართველოც იგულისხმება. ჩვენ გვაქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები ამ ქვეყნების სპეციალისტებისთვის. ფონდი თავის საქმიანობას ახორციელებს ორი ძირითადი მიმართულებით: 1. დსთ-ს სივრცის ქვეყნების კადრებისათვის სპეციალური სტაჟირებების გამართვა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით; 2. ამ ქვეყნებისათვის გამოცდილების გაზიარება ეგვიპტელი სპეციალისტების მივლინების გზით (საქართველოსთან მიმართებაში პრიორიტეტი ჯერჯერობით პირველ მიმართულებას უფრო ეძლევა). თანაც ჩვენი კურსები არ არის ერთპლანიანი, არამედ იგი მოიცავს სხვადასხვა სფეროს. ჩვენ ვეხმარებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დიპლომატების, ექიმების, უშიშროების სფეროს წარმომადგენელთა და ჟურნალისტთა მომზადებაში. გარდა ამისა, ჩვენთვის პრიორიტეტულია სპეციალისტთა მომზადება ტურიზმის სფეროში. ეს ძალიან პერსპექტიული სფეროა თქვენი ქვეყნისთვის, ხოლო ჩვენ საამისოდ საკმაო გამოცდილება გვაქვს. 1993 წლიდან 2006 წლის აგვისტომდე ფონდის სრული დაფინანსებით ეგვიპტეში სტაჟირება გაიარა სხვადასხვა სფეროს 1800-მდე ქართველმა სპეციალისტმა. ეს სფეროებია: დიპლომატია, ეკონომიკა და ვაჭრობა, ინვესტიციები, საინფორმაციო ტექნოლოგიები (ტელევიზია და ჟურნალისტიკა), ადმინისტრაციული მართვა, მედიცინა, ტურიზმი, საბანკო საქმე და კრედიტები, საბიუჯეტო და ფისკალური პოლიტიკა, უშიშროება (საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა), პოლიცია (ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლა), პრივატიზაცია, პორტების მენეჯმენტი, ტრანსპორტი, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ურბანიზაცია და არქეოლოგია. სტაჟირებების ხანგრძლივობა საშუალოდ 2-3 კვირას შეადგენს. კურსებზე სპეციალისტთა გაშვებას კი ქართული მხრიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო კურირებს. და როგორც მე მივხვდი საქართველოს ოფიციალურ პირებთან შეხვედრებსა თუ საუბრებში, ეს კურსები საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. როგორც ფონდი, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებით, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს უკვე არსებული თანამშრომლობა და ეს ძვრები სასიკეთო აღმოჩნდეს ორივე ქვეყნისთვის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე, რასაკვირველია, საქართველო და ეგვიპტე მყავს მხედველობაში. გარდა ამისა, ჩვენი დაინტერესების სფერო კულტურაცაა. ჩვენთვის სასურველი იქნება თუკი ქართველი ხალხი უკეთ გაიცნობს ეგვიპტელ ხალხს, ეზიარება მათ კულტურას, ისევე როგორც ეს ჩვენი მხრიდან მოხდება. ჩვენი თანამშრომლობა ჯერჯერობით მხოლოდ ქართველ სპეციალისტთა ეგვიპტეში გაგზავნით შემოიფარგლება, მაგრამ მომავალში ვისურვებდით ამ თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას და გაცვლითი პროგრამების ამოქმედებასაც, რათა ეგვიპტელ სპეციალისტებს ასევე მიეცეთ შესაძლებლობა ჩამოვიდნენ აქ და ადგილზე გაეცნონ ქართულ კულტურას თუ სხვა სფეროს. ამჟამად კი ფონდის მიერ თბილისისა და ქუთაისის უნივერსიტეტებში და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში მივლინებულია არაბული ენის 3 მასწავლებელი. რაც შეეხება პოლიტიკურ სფეროს, ჩვენ ურთიერთკონსულტაციებს ვაწარმოებთ. საქართველოს ოფიციალური პირნი უკვე იყვნენ ჩამოსულნი ჩვენს ქვეყანაში. მომავალში კი ჩვენი კონტაქტები კიდევ უფრო გაღრმავდება საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, რათა ორივე ქვეყნის მოთხოვნები და ინტერესები დაცული იყოს.



*ეგვიპტის სრულუფლებიანი ელჩი სამხრეთ კავკასიაში ქ-ნი აბლა აბდ ელ რამანი და დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის გენერალური მდივანი ვაჰიდ ელ-დინ ისმაილ ღალალი.*

**ქ-ნი აბლა აბდ ელ რამანი**: მე აქვე დავამატებდი ორიოდ სიტყვას ჩვენი ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობებზე, თუ როგორ შეიძლება იგი განვითარდეს და რა ეტაპზე ვიმყოფებით ამჟამად. ჩვენ პოლიტიკური ურთიერთობები უკვე განვითარებული გვაქვს. ჩვენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა გვაკავშირებს, შეიძლება ეს არც ისე მკვეთრი და თვალში მოსახვედრი ყოფილიყო, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში თუნდაც უმნიშვნელო დონეზე ურთიერთგაგება და თანამშრომლობა დადებითად განგვაწყობს. საუკუნეების მანძილზე კი ურთიერთშეთანხმება და თანამშრომლობა კი კარგი დასაწყისია. უშუალოდ საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა კი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ორი ქვეყნის მეგობრობა, რომელთა ურთიერთობებშიც პრობლემა არ არსებობს. ჩვენი ურთიერთობების ახალ ფაზაში გადაყვანისთვის კი, ჩვენ მისი კიდევ უფრო გაღრმავება და მეტი დადებითი პლასტის დამატება გვჭირდება. თუ ეკონომიკის სფეროსაც შევეხებით, მე ფონდის გენერალურ დირექტორს ვთხოვდი დახმარებას ეგვიპტისა და საქართველოს ოფიციალურ პირთა შეხვედრის ორგანიზებაში, რათა მოვამზადოთ ფისკალური წლის გეგმა. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები კაიროში საქართველოსა და ეგვიპტის ორმხრივი ეკონომიკური კომისიის მეორე სხდომის გამართვის თაობაზე. პირველი სხდომა ჩატარდა თბილისში 2002 წლის 21-23 ოქტომბერს. ეგვიპტის მხრიდან კომისიის თავმჯდომარეა საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრი ქ-ნი ფაიზა აბულ ნაგა. სხდომის პარალელურად იგეგმება ერთობლივი ბიზნეს-ფორუმის გამართვა. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ უკვე გამოთქვა მასში მონაწილეობის მზადყოფნა. 2002 წელს თბილისში ხელი მოეწერა თანამშრომლობის ოქმს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ეგვიპტის სავაჭრო-სამრეწველო პალატათა ფედერაციებს შორის. ახლა ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური სფერო მხოლოდ სახელმწიფო სექტორით აღარ შემოიფარგლება, მეტი არეალი ეთმობა კერძო სექტორს მოქმედებისთვის. ორივე ქვეყნის კერძო სექტორის წარმომადგენლებს აქვთ საშუალება შეხვდნენ ერთმანეთს ურთიერთინტერესების გათვალისწინებით ბიზნესსაქმიანობის გაშლისა და შემდგომი განვითარებისთვის გააფორმონ სხვადასხვა სახის ხელშეკრულება. ფონდი, თავის მხრივ, ძალიან ბევრს აკეთებს, რათა მაქსიმალური შედეგი იქნეს მიღწეული, მაგრამ ძირითადად ყველაფერი მაინც საქართველოსა და ეგვიპტის ხელისუფლების წარმომადგენლებზეა დამოკიდებული. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ფონდის გენერალური მდივანი კურირებს ეგვიპტური წამლების დისტრიბუციას საქართველოში, რომელიც სხვა მწარმოებელი ქვეყნის პროდუქციისგან მაღალი ხარისხით და ხელმისაწვდომი ფასებით გამოირჩევა და როგორც ვიცი, საკმაოდ პოპულარულია ქართულ ბაზარზე. თუმცა, ერთი რამ, რაც გამოიკვეთება ამჟამად, ეს უმთავრესი ბარიერი ეკონომიკის, ბიზნესისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში ჩვენს ქვეყნებს შორის პირდაპირი ავიახაზების არქონაა. თუმცა, უახლოეს მომავალში ჩვენ ალბათ ამ დაბრკოლებასაც გადავლახავთ. ეს კი ხელს შეუწყობს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბების გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობები ხელს უწყობენ კერძო სექტორის განვითარებას, მგონი უკეთესი იქნება თუ კიდევ უფრო დაიხვეწება კანონმდებლობა ამ სექტორში შემდგომი პროგრესისთვის. თუმცა, არც იმის დავიწყებაა სასურველი, რომ საქართველოს ხელისუფლება პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ამ მხრივ, მართლაც ძალიან ბევრს ცდილობს, რასაც ვერ ვიტყვით თქვენს მეზობელ სომხეთზე, სადაც ეგვიპტის საელჩო მდებარეობს, რომელიც კავკასიის რეგიონს ფარავს. ჩვენი ხელისუფლება ცდილობს წაახალისოს ეგვიპტური და ქართული ავიაკომპანიები შექმნან პირდაპირი ავიახაზები, მაგრამ ცხადია ამას დრო სჭირდება, რადგან ავიაკომპანიები კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა სწორად გათვალონ მოგება ახალი მიმართულებით საქმიანობის დაწყების წინ. ამდენად, ინიციატივაც და შედეგიც მათზეა დამოკიდებული, ხელისუფლებამ მხოლოდ ხელი შეიძლება შეუწყოს ახალი ინიციატივის განხორციელებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია ასევე სოფლის მეურნეობის სფეროში სპეციალისტთა გადამზადების პრაქტიკა, რაც ფონდის დახმარებით ხორციელდება. ეს არის სამთვიანი და ექვსთვიანი ტრენინგები, რომლებსაც ეგვიპტელი სპეციალისტები ატარებენ, კურსის საგანს კი ქართული მხარე ირჩევს. დამატებით კიდევ იმის აღნიშვნა შემიძლია, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყნებს შორის ექსპორტისა და იმპორტის სახეობებზე შეთანხმება. ამას ემატება ორმხრივი ინვესტიციებიც. ქართული მხარე კი უკვე სრულიად მზადაა ასეთი თანამშრომლობა წამოიწყოს ეგვიპტესთან. თანაც ისიც მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც ურთიერთობების განვითარებაზე ვსაუბრობთ, ხანდახან მას ბიუროკრატიული მექანიზმი აფერხებს ხოლმე.

რაც შეეხება ქართული ღვინის პოპულარობას ეგვიპტეში, ესეც ძალიან საინტერესო საკითხია, მაგრამ მისი კიდევ უფრო მეტად პოპულარიზება საქართველოს ელჩის ფუნქციაა, რომელსაც უშუალო კონტაქტი აქვს ეგვიპტის ხელისუფლებასთან. რამდენიმე დღის წინ მე შევხვდი საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს, რომელმაც მესაუბრა პრეზიდენტ სააკაშვილის მონდომებაზე ხელი შეუწყოს კერძო სექტორის განვითარებას საქართველოში. თანაც ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი ქართულ ღვინოზე რუსეთის მიერ დაწესებული აკრძალვის შემდეგ გახდა.

**- როგორია საქართველო-ეგვიპტის პოლიტიკური ურთიერთობები და შეიცვალა თუ არა მასში რამე საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ?**

საქართველოს მხრიდან უფრო მეტი დაინტერესება სამი წლის მომხდარი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დავინახეთ. საქართველოს რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების ახალი პოლიტიკა რეფორმების გატარებაა, რაშიც მათ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს კიდეც. ჩვენი ქვეყნების პრეზიდენტები ერთმანეთს სრულიად ნათელ მესიჯებს აწვდიან გამუდმებით ერთმანეთს სხვადასხვა სფეროს შესახებ. თანამშრომლობის გაღრმავებაზე კი პრეზიდენტებთან ერთად მთავრობის კაბინეტებიც მუშაობენ. ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი ქართველი კოლეგის ვიზიტს ეგვიპტეში შემოდგომაზე ელის. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის თქვენი ტკივილის, როცა საქმე კონფლიქტურ ზონებს და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ეხება და იმედს გამოვთქვამთ, რომ მალე შეძლებთ მათ დარეგულირებას. ეგვიპტე კი საქართველოს საერთაშორისო ფორუმებზე ყოველთვის მხარს უჭერს. ერთი სიტყვით, ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობებისთვის ბრწყინვალე ნიადაგი გვაქვს. მას კი ქაიროში თქვენი საელჩოსა და ერევანში ეგვიპტის საელჩოს საქმიანობაც შეუწყობს ხელი.

**- თუმცა, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობები მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროებით არ შემოიფარგლება. რა ეტაპზეა თანამშრომლობა კულტურის სფეროში?**

- რა თქმა უნდა, უამრავი სფერო არსებობს, რაშიც დაახლოება კიდევ უფრო წაგვადგებოდა, ავიღოთ თუნდაც კულტურა. ეგვიპტური მხარე მზადაა მაქსიმალური დახმარება გაუწიოს საქართველოს ისტორიული ძეგლების აღდგენაში. ძველი ძეგლების აღდგენასთან დაკავშირებით მე ვესაუბრე კიდეც თქვენი კულტურის მინისტრს და ეგვიპტური მხარე მზადაა გამოგზავნოს თავისი ექსპერტები საქართველოში მუზეუმების მენეჯმენტის დახვეწაში დახმარების მიზნით. თუმცა, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება მომავალში ჩვენი თანამშრომლობა კულტურის სფეროში, ჩვენ ჯერ კიდევ უამრავი მიმართულებით გვაქვს სამუშაო.

## 2006 წლის 21 ოქტომბერს აშშ საელჩო თბილისში აწყობს ღია აუქციონს

აუქციონზე წარმოდგენილი იქნება ნახმარი და დაზიანებული საყოფაცხოვრებო და საოფისე ავეჯი, მოწყობილობები, ნახმარი მანქანის ამწე, ნახმარი/დაზიანებული სადურგლო მაგიდები, ძველი/ნახმარი კომპიუტერული ტექნიკა და ნახმარი/დაზიანებული ავტომანქანები.

აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ნივთი იყიდება "არსებულ მდგომარეობაში" ნებისმიერი გარანტიის გარეშე.

მყიდველი საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელია აუქციონზე გამოტანილი ნივთების შემდგომ განბაჟებაზე და სრულად იხდის საბაჟო გადასახადებს.

დაინტერესებულ პირთათვის ნივთების დათვალიერება მოხდება მხოლოდ აუქციონის დღეს, 21 ოქტომბერს დილის 9-დან 11 საათამდე.

**აუქციონი (ბიდინგი) დაიწყება დილის 11 საათზე.**

აუქციონი ჩატარდება შემდეგ მისამართზე: **თბილისი, ჟორჟ ბალანჩინის ქუჩა 11, აშშ საელჩოს ახალი კომპლექსის ავტოსადგომი (ავტობაზრობის მიმდებარედ, გლდანი/დიღმის ხიდთან).**

**ცნობებისათვის დარეკეთ:
277201 ან 899 977810.**

*მოკლედ*

### მითვისებული ათასობით ლარი

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში გამოძიება დასრულდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამტრედიის ფილიალის ხელმძღვანელ პირთა მიერ დიდი ოდენობით ფონდის თანხების მითვისების ფაქტზე. როგორც გამოძიებით დადგინდა, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამტრედიის ფილიალში, სხვადასხვა ფინანსური მაქინაციებით, ადგილი ჰქონდა საპენსიო თანხების მითვისებას, რაშიც გარეული იყო რამდენიმე სახელმწიფო მოხელე.

სამართალდამცველეთა მტკიცებით, ფილიალის მთავარმა ბუღალტერმა ლუიზა ბალავაძემ, ამავე ფილიალის უფროსმა ბადრი კაპანაძემ, მთავარი ბუღალტრის მოადგილემ ციალა გიორგაძემ და ფილიალის წამყვანმა სპეციალისტმა ვალოდია ვაშაკიძემ, 2005 წლის იანვარიდან 2006 წლის მარტამდე პერიოდში, სანდო პირების პირადობის მოწმობების გამოყენებით, პენსიონერთა სიებში 185 პიროვნება შეიყვანეს. გაყალბებული სიებით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან 102.109 ლარი მიითვისეს.

თუმცა, სამტრედიის ფილიალში აღმოჩენილი კანონდარღვევები ამით არ დასრულებულა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2005 წლის მაისიდან სექტემბრამდე ფილიალის სპეციალისტმა ბელა ხუჭუამ და წამყვანმა სპეციალისტმა სოფიო ფახურიძემ სააქციო საზოგადოება "საქართველოს სახალხო ბანკში", სამტრედიის ფილიალში წარსადგენ პენსიონერთა სიებში, ხელოვნურად გაზრდილი მონაცემები დააფიქსირეს, რომლის შედეგადაც მიითვისეს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის კუთვნილი 1 199 ლარი.

ჩადენილი დანაშაულისთვის ბადრი კაპანაძეს და ლუიზა ბალავაძეს წარედგინათ ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და მითვისება ან გაფლანგვის მუხლებით, რის საფუძველზეც ორივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. იმავე მუხლებით ბრალდებულ ციალა გიორგაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაოს გადახდა 10 ათასი ლარის ოდენობით. სოფიო ფახურიძემ და ბელა ხუჭუამ გირაოს სახით 7-7 ათასი ლარი გადაიხადეს. ხოლო, თინათინ შენგელიას და მზისა ფარეიშვილის კი სამართალდმცველებმა ბიუჯეტისთვის 5-5 ათასი ლარის დაბრუნება აკმარეს. რაც შეეხება ვალოდია ვაშაკიძეს, მან ბრალდებისგან თავის დაღწევა მიმალვით გადაწყვიტა, თუმცა მას აღკვეთის ღონისძიების სახით დაუსწრებლად მაინც შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა.

საქმე განხილვისთვის გადაგზავნილია სამტრედიის რაიონულ სასამართლოში. **24 საათი**

### ინციდენტი სამტრედიის N54 საოლქო საარჩევნო კომისიაში

ადგილობრივ არჩევნებში დაფიქსირებულ კანონდარღვევებთან დაკავშირებით სამართალდამცველ ორგანოებში პირველი განცხადება შევიდა. სამტრედიის პოლიციას "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ადგილობრივმა აქტივისტებმა მიაკითხეს. როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე გაირკვა, ბლოკის წარმომადგენელს - მაგდა მუშკუდიანს მაჟორიტარმა კანდიდატმა "ნაციონალური მოძრაობიდან" მიხეილ ნიკოლეიშვილმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ინციდენტი სამტრედიის N54 საოლქო საარჩევნო კომისიაში მოხდა, როცა მაგდა მუშკუდიანმა საარჩევნო დარღვევებზე კომისიაში საჩივარი შეიტანა.

მიხეილ ნიკოლეიშვილმა აღნიშნული ფაქტი არ დაადასტურა და განაცხადა, რომ ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" წარმომადგენლები მის წინააღმდეგ პროვოკაციას აწყობენ. რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები იქნებიან მართლები აღნიშნულ დავაში, უახლოეს მომავალში სამტრედიელი სამართალდამცველები დაადგენენ. გავრცელებული ინფორმაციით, გამოძიება უკვე დაწყებულია. **24 საათი**

### მაღალი ანაზღაურება ადამიანის უფლებების დაცვის სანაცვლოდ

სახალხო დამცველის აპარატის ცხრა თანამშრომელმა თანამდებობები დატოვა და სამუშაოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადავიდა.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში განაცხადეს, ომბუდსმენის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ აპარატის 9 თანამშრომელი მაღალი ხელფასებით და კარგი თანამდებობების შეთავაზებით დააინტერესა. აღნიშნული პირები სახალხო დამცველის აპარატში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### სომხეთის შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს

ერევანში სომხეთის პოლიტიკური მოძრაობა "რესპუბლიკის" ერთ-ერთ ლიდერს და სომხეთის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს სურენ აბრამიანს უცნობმა პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. აბრამიანზე თავდასხმა სომხეთის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, აბრამიანის ცემისას თავდამსხმელები მისგან სომხეთის მაღალჩინოსნებისთვის ბოდიშის მოხდას ითხოვდნენ.

სურენ აბრამიანი ბოლო პერიოდში სომხეთის ხელისუფლებას მძაფრად აკრიტიკებდა და აცხადებდა, რომ პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარგარიანს და თავდაცვის მინისტრს სერჟ სარქისიანს კრიმინალურ სამყაროსთან ჰქონდათ კავშირი. **მედიანიუსი**

### ABA-ს წარმომადგენელი საქართველოს სამართლის რეფორმებზე საუბრობს

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძე ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) წარმომადგენელ რობერტ ლევენტალს შეხვდა, რომელთანაც საქართველოს სამართლის სფეროში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა. შეხვედრაზე დიმიტრი ძაგნიძემ ყურადღება გაამახვილა დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებზე. ესენია: იურიდიული განათლების რეფორმა; სააღსრულებო დეპარტამენტის საქმიანობის დახვეწაში დახმარება; კანონშემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკის დახვეწის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისათვის ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება. მხარეებმა განიხილეს ასევე, "საკანონმდებლო მაცნის" ელექტრონული ვერსიის შექმნის საკითხი; სახელმწიფო არქივის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში მოქმედი კონვენციებისა და საერთაშორისო აქტების გამოქვეყნების საკითხი. იმსჯელეს ამავე სფეროში გენერალური პროკურატურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამშრომელთათვის და მოსამართლეებისათვის სემინარების ჩატარებაზე.

რობერტ ლევენტალი გაეცნო აღნიშნულ საკითხებს და განაცხადა, რომ ABA-სა და იუსტიციის სამინისტროს შორის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება. **24 საათი**

# ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობა - "ღონღაძის საქმე" რუსეთის ხელისუფლებისთვის

პირველი გვერდიდან

**"შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი არ არის ძარცვის კვალი, თანაც, თავდამსხმელს მოკლული არ გაუძარცვავს,"** - აცხადებენ სამართალდამცველები, რომელთა თქმითაც, **"შეკვეთილი მკვლელობა პროფესიონალმა ქილერებმა შეასრულეს, მეზობლებს ოდნავი ხმაურიც კი არ გაუგიათ".**

ძირითადი ვერსია - მკვლელობა პროფესიული საქმიანობის მოტივით - გამოძიებამ რამდენიმე მიმართულებად დაჰყო, მაგრამ ამ მიმართულებების შესახებ ჯერჯერობით არ საუბრობენ. გავრცელებული ინფრმაციით, ვერსიის ერთ-ერთი მიმართულებაა "ჩეჩნური კვალი". როგორც ცნობილია, პოლიტკოვსკაია აწარმოებდა ჟურნალისტურ გამოძიებას ჩეჩნეთში სამართალდამცველი და ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობის თაობაზე. ცნობილია ისიც, რომ ჟურნალისტის სტატიების საფუძველზე აღიძრა რამდენიმე გახმაურებული საქმე რუსეთის ფედერალური სამხედრო ძალების წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებმაც ჩეჩნეთში არაერთი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, მათ შორის მკვლელობები. მისი ბოლო პუბლიკაცია, რომელიც დღეს უნდა დაბეჭდილიყო, ეძღვნებოდა ჩეჩნეთში განხორციელებულ ძალადობას.

Интерфакс-ის ინფორმაციით, გამოძიების კიდევ ერთი მიმართულება დაკავშირებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეზონანსთან, რომელიც ჟურნალისტის მკვლელობას მოჰყვა, რადგან, Интерфакс-ის განცხადებით, "ასეთი სახის დანაშაულით, ნებისმიერი სახელმწიფოს პრესტიჟი ეცემა".

**"ამ მკვლელობით, "ღონღაძის საქმის" ანალოგიურად, დასავლეთს პრეზიდენტ პუტინის მუდმივი შანტაჟის საშუალება მიეცემა. ბუნებრივია, ეს რუსეთის შიდაპოლიტიკურ დინებებზე დიდ გავლენას მოახდენს,"** - წერს რუსული მედია. არც პოლიტიკოსები და არც ექსპერტები არ უარყოფენ, რომ ჟურნალისტის მკვლელობა დაკავშირებულია მის პროფესიულ საქმიანობასთან. მოსკოველმა ჟურნალისტებმა რუსეთის გენერალურ პროკურორს მიმართეს თხოვნით, დააკავონ ჟურნალისტის მკვლელობის შემკვეთები და შემსრულებლები.



*ძირითადი ვერსია - ანა პოლიტკოვსკაია პროფესიული საქმიანობის გამო მოკლეს.*



*ვიდეოფირი, რომელზეც, ჟურნალისტის მკვლელია აღბეჭდილი.*

**"ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობა დიდი დანაკარგია რუსული ჟურნალისტიკისთვის. საგამოძიებო ჟურნალისტიკაში ის იყო ნომერ პირველი ჟურნალისტი, რომელსაც არაფრის ეშინოდა და არასდროს წასულა კომპრომისზე,"** - განაცხადა ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ იგორ იაკოვენკომ.

ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის დირექტორის ოლეგ პანფილოვის განცხადებით: **"ანას მკვლელობის შემდეგ, ჟურნალისტები ბოლოს და ბოლოს გაიღვიძებენ და დაფიქრდებიან იმაზე, რომ ცენზურა, დაშინება, სხვა ყველაფერი, რასაც ხელისუფლება ჟურნალისტებისა და სიმართლის წინააღმდეგ აკეთებს, დამღუპველია და აღარ შეიძლება ასე გაგრძელდეს. ცოტა ხნის წინათ, როცა მკითხეს, არსებობს თუ არა რუსეთში ნამდვილი, მართალი ჟურნალისტიკა, პირველი ვინც თავში მომივიდა, ეს ანა იყო. მასზე მუდმივად ვნერვიულობდი. ბევრი მიზეზი არსებობდა იმისთვის, რომ მშინებოდა და ასეც მოხდა, გამოჩნდნენ პირები, რომლებიც არაფერს მოერიდნენ, რათა ჟურნალისტი გაეჩუმებინათ,"** - განაცხადა პანფილოვმა.

საგამომცემლო სახლის "კომერსანტის" სპეციალური კრესპოდენტი დმიტრი ბუტრინი ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობას საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას უკავშირებს.

**"პოლიტკოვსკაია ჟურნალისტური გამოძიებით იყო დაკავებული და ბოლო პერიოდში საქართველოში დაგეგმილ სახელმწიფო გადატრიალებასთან რუსეთის ხელისუფლების შესაძლო კავშირს იკვლევდა,"** - წერს ბუტრინი.

Новая газета პოლიტკოვსკაიას მკვლელობას ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის რამზან კადიროვის შესახებ მასალათა სერიას უკავშირებს. გაზეთი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტის მკვლელობით შეიძლება დაინტერესებული ყოფილიყვნენ როგორც პრემიერის მომხრეები, ასევე მისი მოწინააღმდეგეები.

Новая газета-ს მთავარი რედაქტორის განცხადებით, ანას არაერთხელ დაემუქრნენ. პირველად 2001 წელს, მაშინ, როცა გამოაქვეყნა სტატია ჩეჩნეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ ზელიმხან მურდალოვზე. მეორედ 2004 წელს, ბესლანის ტრაგედიის გაშუქების გამო. ანა პოლიტკოვსკაიას გვარი ფიგურირებდა ნიკოლაი კურიანოვიჩის მიერ გამოქვეყნებულ სიაში, სადაც ჩამოთვლილი იყო "რუსი ხალხისა და რუსეთის სახელმწიფოს მტრები". მოკლული ჟურნალისტის ყოფილი ქმარი აცხადებს, რომ ანას არაერთხელ დაემუქრნენ, რის გამოც მას დაცვის აყვანაც მოუხდა.

Новая газета-ს რედაქცია ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის დამოუკიდებელ გამოძიებას იწყებს. გამოცემის მთავარი რედაქტორის მოადგილის ოლეგ ხლებნიკოვის განცხადებით, **"ჩვენ უფრო მეტ ინფორმაციას მოვიპოვებთ, ვიდრე საგამოძიებო ჯგუფი, რადგან გაგვაჩნია წყაროები, რომლებიც გვენდობიან და, შესაბამისად, სერიოზული ინფორმაციის მოპოვებაში დაგვეხმარებიან."** ოლეგ ხლებნიკოვის თქმით, მათი კოლეგისა და მეგობრის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია, ფაქტობრივად, მოიპოვეს კიდეც. თუმცა, იგი ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, რა ინფორმაცია გააჩნია რედაქციას. ანა პოლიტკოვსკაიას ბოლო სტატია ორშაბათს უნდა დაბეჭდილიყო და მასში მოთხრობილი იყო ჩეჩნეთში არსებული ძალადობის თაობაზე.

**"ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება სტატია, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ სტატია და ფოტომასალა მზად იყო,"** - განაცხადა გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილემ, რომლის თქმითაც, მასალა ანას შაბათს უნდა მიეტანა რედაქციაში, მაგრამ ვერ მოასწრო.

ცნობილი ჟურნალისტი ანა პოლიტკოვსკაია ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. ერთი ტყვია მას გულ-მკერდის არეში ესროლეს, მეორე - საკონტროლო - თავში. დადგენილია, რომ ჟურნალისტი "ჟიგულის" მარკის მანქანით მივიდა სახლთან, მანქანაში დატოვა ნავაჭრი ნივთების ნაწილი, ნაწილი სახლში აიტანა და როცა უკან, ბრუნდებოდა, მას ესროლეს. მოკლული ჟურნალისტი მეზობელმა მოგვიანებით ლიფტში ნახა. მილიციის თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილზე "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი და ოთხი გილზა აღმოაჩინეს.

სამართალდამცველებმა მოიპოვეს ვიდეოფირი, რომელზეც, სავარაუდოდ, ჟურნალისტის მკვლელია აღბეჭდილი. **"თუმცა, შეკითხვას ბადებს ის გარემოება, რომ მკვლელმა მწყობრიდან არ გამოიყვანა ვიდეოთვალი და ისე მოქმედებდა, რომ სახე არ დამალა, იგი ნიღბის გარეშე იყო,"** - აცხადებენ გამომძიებლები, რომლებიც არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, შემკვეთებმა ქილერი უკვე მოკლეს.

მიუხედავად ამისა, მათ ძებნა გამოაცხადეს ახალგაზრდა კაცზე, რომელიც საშუალოზე მაღალი და გამხდარია.

# საქართველოს ომბუდსმენის მიმართვა მსოფლიოს ომბუდსმენებს

*"საქართველოს სახალხო დამცველი შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის ფედერაციაში ეთნიკური ქართველების მიმართ ქსენოფობიის გამოვლენის გამო, რამაც ბოლო დროს საგანგაშო ხასიათი მიიღო. ქართველების დევნა-შევიწროებამ უკვე მთელი რუსეთი მოიცვა. დაიწყო ქართველების მასობრივი დაპატიმრება და დეპორტაცია," - აღნიშნულია ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.*

"ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცის" - მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-9, მე-12, მე-13, მე-15, მე-17, მე-18, 22-ე და 23-ე მუხლები; "საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" - მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-6 მუხლის 1 პუნქტი და მე-11 მუხლი; "საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ"; "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია"; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმი N7 პირველი მუხლი; ოქმი N4 მე-2 და მე-4 მუხლები და კონვენციის დამატებითი N1 ოქმის პირველი მუხლი - ეს ის საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებია, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში ეთნიკური ქართველების მიმართ ირღვევა. სოზარ სუბარის განცხადებით, საქართველოს მოქალაქეების მიმართ ასევე, დარღვეულია "საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ".

სწორედ აღნიშნული დარღვევების გამო, საქართველოს სახალხო დამცველმა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ომბუდსმენს, მათ შორის რუს კოლეგას მიმართა და ქართველების უფლებების დაცვისკენ მოუწოდა:

**"მივმართავ რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისარს, მისი უფლებამოსილების ფარგლებში დაიცვას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების უფლებები და თავისუფლებები. ასევე, მივმართავ ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ომბუდსმენსა და უფლებათა დამცველს, რეაგირება მოახდინონ რუსეთის ფედერაციაში ეთნიკური ნიშნით ქართველების დისკრიმინაციისა და მათი უფლებების შელახვის გამო და მოუწოდონ რუსეთის ხელისუფლებას, შეწყვიტოს რასიზმისა და ქსენოფობიის პოლიტიკა".**

საქართველოს ომბუსდმენი განცხადებაში უცხოელ კოლეგებს უხსნის იმ პრობლემებს, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გართულებას მოჰყვა.

**"მრავალი წლის განმავლობაში რუსეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს იმის მიუხედავად, რომ ბევრი მათგანი რუსეთის მოქალაქეა, დევნიან ეთნიკური ნიშნით, გარეგნობის თუ უბრალოდ იმის გამო, რომ მათი გვარები განსხვავებულად ჟღერს. რუსეთში მცხოვრები, რუსეთისა და საქართველოს მოქალაქე ეთნიკური ქართველები უკვე რამდენიმე დღეა ვერ ბედავენ ქუჩაში გასვლას, რადგან ეშინიათ, რომ მათი გარეგნობა შეიძლება გახდეს სამართალდამცველთა მხრიდან მათი ჩხრეკის, უკანონო დაკავების ან ქართველების მიმართ აგრესიულად განწყობილი ახალგზარდების მხრიდან მათი შეურაცხყოფის ან ლიკვიდაციის მიზეზი,"** - აღნიშნულია სუბარის მიმართვაში, სადაც ქართველების მიმართ ჩადენილ უფრო მძიმე დანაშაულებზეც არის საუბარი.

სოზარ სუბარი აცხადებს, რომ ბოლო წლებში, რუსეთის ფედერაციაში, აგრესიულად განწყობილმა რუსმა ახალგაზრდებმა ეთნიკური თუ რასობრივი კუთვნილების გამო არაერთი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. სკინჰედები და ფაშისტური ორგანიზაციების წარმომადგენლები გამუდმებით ესხმიან თავს სხვადასხვა რასისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, მათ შორის ქართველებსაც. კერძოდ, 2005 წლის 13 ნოემბერს, სანკ-პეტერბურგში ფაშისტური დაჯგუფების წევრებმა მოკლეს 20 წლის ქართველი სტუდენტი თემურ კაჭარავა. ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტს, ახალგაზრდა მუსიკოსს სკინჰედებმა ხალხმრავალ ადგილას დანით ხუთი ჭრილობა მიაყენეს.

**"თუმცა, უფრო საგანგაშო ის არის, რომ სკინჰედების მოქმედებები ხშირად დაუსჯელი რჩება. ზოგჯერ კი სკინჰედების ქმედებებს წარმატებით ენაცვლება რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა,"** - ირწმუნება ქართველი ომბუდსმენი.

საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებით აღშფოთებულია იმის გამო, რომ რუსული აგრესია ქართველ ბავშვებზეც გავრცელდა. არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევებზე რეაგირებისთვის სოზარ სუბარი მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყნის ომბუდსმენებთან ერთად, ევროპის ბავშვთა ომბუდსმენთა ქსელის წევრებსაც მიმართავს.

**"არსებული მდგომარეობა იძლევა სერიოზული შეშფოთების საფუძველს. მით უფრო საგანგაშოა, რომ ეს შეეხება ასეულობით ბავშვს. მოვუწოდებ ევროპის ბავშვთა ომბუდსმენთა ქსელის წევრებს, მსოფლიოს ყველა ომბუდსმენს, ადამიანის უფლებების ყველა დამცველს, ხმა აიმაღლონ ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით ბავშვთა უფლებების მასობრივი დარღვევების, რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ და მოუწოდონ რუსეთის ხელისუფლებას, შეაჩეროს ეთნიკურ ნიადაგზე ადამიანების დევნა,"** - აცხადებს სოზარ სუბარი და უცხოელ კოლეგებს იმასაც ახსენებს, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გართულებას არც საქართველოს ხელისუფლებისა და არც საზოგადოების მხრიდან არ მოჰყოლია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური რუსების ან საქართველოში მყოფი რუსეთის მოქალაქეების უფლებების დარღვევის, დისკრიმინაციისა და შეურაცხყოფის არც ერთი ფაქტი.

*24 საათი*


# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს

ღია კონკურსს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე აკადემიური თანამდებობების დარჩენილი ვაკანსიების დასაკავებლად სამი წლის ვადით.

| მიმართულების დასახელება | აკადემიური თანამდებობების რაოდენობა | | |
|---|---|---|---|
| | სრული პროფესორი | ასოცირებული პროფესორი | ასისტენტ-პროფესორი |
| ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი | | | |
| - ლითონთა წნევით დამუშავება | - | 0.5 | - |
| ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი | | | |
| - საქართველოს ისტორია და კულტურა | - | 0.5 | - |

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე უნდა წარმოადგინოს:

■ განცხადება (ფორმას გასცემს შესაბამისი ფაკულტეტი);

■ საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისი პროფილის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დიპლომის ასლი;

■ ბოლო 15 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული იმ ძირითადი სამეცნიერო შრომების სია, რომლებიც უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების უნარს;

■ ინფორმაცია ბოლონიის პროცესის შემადგენელი კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვის შესახებ (ხარისხის უზრუნველყოფა, შეფასების სისტემა და ა.შ.), ან ბოლონიის პროცესის შესაბამისად შედგენილი სასწავლო პროგრამა/სილაბუსი;

■ კონკურსანტის ბოლო 15 წლის განმავლობაში პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის დამადასტურებელი ინფორმაცია: სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება; სამეცნიერო პუბლიკაციები; დისერტანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელობა; სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა; უცხოეთის უნივერსიტეტებში მოღვაწეობა; აკადემიების, სამეცნიერო საბჭოების, რედკოლეგიების, საექსპერტო კომისიების წევრობა;

■ პირადობის მოწმობის ასლი.

განცხადების მიღება განხორციელდეს პრესაში გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ შესაბამის საფაკულტეტო საარჩევნო კომისიებს.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

# მიმართვა საქართველოს საზოგადოებისადმი

## ქართული კინოსადმი სიყვარულის გამოსახატავად

2008 წელს ქართული კინო 100 წლისთავს აღნიშნავს. თავისი არსებობის მანძილზე ჩვენი კინო მაყურებელში სიყვარულის, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის მაღალზნეობრივ იდეალებს ქადაგებდა ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის სულიერი ყოფისა და წესჩვეულებების ჩვენებით, რითაც ერთიან სულიერ საქართველოსაც ძერწავდა.

1969 წელს კინოსტუდია "ქართულ ფილმს" მარტყოფის თემში გამოეყო მიწის ფართობი "ამხანაგურ მებაღეობისთვის". კინოსტუდიის ადმინისტრაციის ხელშეწყობითა და თანამშრომელთა ფულადი შენატანით ყამირი მიწები დიდი ენთუზიაზმით იქნა ათვისებული და წალკოტად ქცეული.

კინომუშაკების სულიერ შემოქმედებით აქტივად უნდა ჩაითვალოს ჩვენი კინოსოფლის შექმნაც, რადგან კინომოღვაწეებს კარგად ესმით, რომ სოფელი ბალავარია ქვეყნის ძლიერებისა, რომ დღეს აუცილებელია ქალაქად დამკვიდრებულებმაც კი ჩვენი გენეტიკური პროფესია - მიწის მუშაკობა გავიხსენოთ და მოვიმარჯვოთ თვით ჩვენი თავისა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე საზრუნავად, რომ ჯანმრთელი შთამომავლობა დავუტოვოთ ჩვენს ქვეყანას.

1995 წელს ბუნებრივ საზღვრებში გვერდიგვერდ მყოფმა "ქართული ფილმის", რადიოქარხნის, ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ქაღალდის ფაბრიკის, "საქწყალმშენის", ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, სამხედრო უწყებისა და უშიშროების სამსახურის ყოფილმა ამხანაგურმა მებაღეობებმა შექმნეს ასოციაცია "კინოსოფელი ბროწეულა", დაწესდა დღეს უკვე ტრადიციად დამკვიდრებული ყოველწლიური დღესასწაული "ბროწეულობა". კინოსოფლის ქუჩებს იმ ადამიანების სახელები დაერქვა, ვისი შემოქმედებითი მემკვიდრეობაც ღრმად დაამახსოვრდა მაყურებელს. ესენი გახლავთ ნატო ვაჩნაძე, დუდუხანა წეროძე, ლია ელიავა,ეროსი მანჯგალაძე, იპოლიტე ხვიჩია, კოტე დაუშვილი; რეჟისორები თენგიზ აბულაძე, დავით რონდელი, შოთა მანაგაძე, ნიკოლოზ სანიშვილი; კინოდოკუმენტალისტები გიორგი და ირაკლი ასათიანები; ოპერატორები ფელიქს ვისოცკი და გიორგი ჭელიძე და სხვა გამოჩენილი პიროვნებები.

კინოსოფელ ბროწეულაში დამკვიდრებულ 70 კომლს მოჰყავს მოსავალი, ჰყავთ საქონელი, ფრინველი, კურდღელი, რითაც ცდილობენ სიღარიბის დაძლევას. საიუბილეოდ ბროწეულას ადმინისტრაციულ შენობაში გაიხსნება მუდმივმოქმედი გამოფენა, რომელზეც ექსპონირებული იქნება იმ ადამიანების შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ვისი სახელებიც დაერქვა ბროწეულას ქუჩებს, გაშუქებული იქნება აგრეთვე ბროწეულაში დამკვიდრებული ადამიანების დღევანდელი საქმიანობაც, რაც პროპაგანდისა და აგიტაციის უდიდესი საშუალება იქნება და დესპანად იქცევა 100 ათასი თბილისური ოჯახისთვის, რომელთაც ზურგი აქვთ შექცეული ამხანაგური მებაღეობებისთვის. ასევე ვაპირებთ ხეჭეჭურისა და ბროწეულის სანერგის გაშენებას, დამატებითი სარწყავების შექმნას ახალი წყალსატევების მოწყობით, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ამოქმედებას და, რაც მთავარია, ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) სახელობის ტაძრის მშენებლობის დასრულებას.

ყველა შემომწირველი, რომელიც ქართული კინოსადმი სიყვარულის გამოსახატავად შეძლებისდაგვარად გაიღებს თანხას კინოსოფელ ბროწეულაში ტაძრის მშენებლობისთვის, დიდი პატივითა და მადლობით მოიხსენიება.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე, თქვენი ოჯახისა და სრულიად საქართველოს მფარველი!

კინოსოფელ ბროწეულაში წმ. ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) სახელობის ტაძრის ასაგებად "თიბი-სი" ბანკში გახსნილია ანგარიში:

სალარე - №360800248, სავალუტო - №361899248.

*ერლომ ახვლედიანი, თენგიზ არჩვაძე, ქეთევან აბულაძე, ოთარ კობერიძე, გურამ ლორთქიფანიძე, გივი თოხაძე, ლაურა იაშვილი, ოთარ მელვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, გიორგი შენგელაია, რამაზ ჩხიკვაძე, დოდო ჭიჭინაძე, გრიგოლ ჩოგოგიძე, მარლენ კიტია, ნანა მჭედლიძე, გოგი დოლიძე, გიგა ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, დევი ივანოვ-ჩიქოვანი, გუჯა ბურდული, თენგიზ გოშაძე, დოდო შონავა, გიული ჭოხონელიძე, მერაბ ელიოზიშვილი, ჯემალ ჭიჭინაძე, ვალერიან სულაკაური, რევაზ მახათაძე, ალ. გურული, შადიმან ჭავჭავაძე, ბონდო შოშიტაიშვილი, დავით ჯანელიძე, მერაბ კოკოჩაშვილი.*

# წიგნების რეკორდული რაოდენობა

საქართველოს ბიბლიოთეკებში ერთ სულ მოსახლეზე წიგნების რეკორდული რაოდენობა მოდის. ამ მონაცემებს იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტი ავრცელებს.

კვლევების მიხედვით, საქართველოში ათას სულ მოსახლეზე 16 335 საბიბლიოთეკო წიგნია და იგი ამ მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. მეორე ადგილს იკავებს მონაკო - 9 781 წიგნით ათას სულ მოსახლეზე, მესამეს ლიხტენშტაინი - 4968 წიგნით, მეოთხეს - სან-მარინო (3704), მეხუთეს - ისლანდია (2831), მეექვსეს - სომხეთი (2295).

ამ სიაში რუსეთს 26-ე ადგილი უჭირავს, სადაც ათას სულ მოსახლეზე 531 საბიბლიოთეკო წიგნია, უკრაინას - 55-ე (88). რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, დიდი ბრიტანეთი 30-ე ადგილზეა, გერმანია 31-ზე, იტალია 42-ზე, ხოლო აშშ - 92 ადგილზე.

იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, მსოფლიოში ათას სულ მოსახლეზე საშუალოდ 832,5 საბიბლიოთეკო წიგნი მოდის. **ინტერპრესნიუსი**

# XX საუკუნე - ეპოქა მუსიკაში

## "კრემერატას" მუსიკა ანუ ვირტუოზები

სოფო კილასონია

დღეს, საღამოს რვა საათზე, ოპერისა და ბალეტის თეატრში კამერული მუსიკის მოყვარულთ არაჩვეულებრივი საღამო ელით. არც მეტი, არც ნაკლები, გიდონ კრემერი და მის მიერ დაარსებული, მსოფლიოში აღიარებული "კრემერატა ბალტიკას" პოპულარული სახელები მხოლოდ ერთი დღით, მხოლოდ ერთი კონცერტის გასამართად ჩამოდიან თბილისში. ცნობილი მევიოლინე და "კრემერატა მუსიკის" ვარსკვლავები XX საუკუნის კომპოზიტორების ნაწარმოებებს წარუდგენენ მსმენელს, სწორედ იმ პროგრამას, რომელიც თბილისელი პუბლიკისთვის ძალზე საინტერესო უნდა იყოს. "კრემერატა მუსიკის" მიერ აჟღერებული არვო პიარტის, ალფრედ შნიტკეს, ვალენტინ სილვესტროვის, სოფია გუბაიდულინას და გია ყანჩელის ნაწარმოებები 9 ოქტომბრის საღამოს კლასიკური მუსიკის მოყვარულებს დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს დაუტოვებს. ეს უკანასკნელი ფრაზა ალბათ წინასწარმეტყველებას უფრო ჰგავს, ვიდრე ფაქტების კონსტატაციას, თუმცა თუ გიდონ კრემერისა და მისი მუსიკოსების მრავალწლიან წარმატებებს და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისში მეოცე საუკუნის მეტრების მუსიკა არცთუ ისე ხშირად სრულდება, მოვლენათა პროგნოზირება ძალზე იოლია.



*გიდონ კრემერი.*

გიდონ კრემერს შესაძლოა ყველაზე უჩვეულო კარიერა აქვს მსოფლიოს წამყვან მევიოლინეთა შორის. 1967 გაიმარჯვა დედოფალ ელისაბედის სახელობის კონკურსში და მოიპოვა პირველი პრემია პაგანინისა და ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსებში. მალევე დაიმკვიდრა მსოფლიო მასშტაბის მუსიკოსის რეპუტაცია, როგორც თავისი თაობის ყველაზე ორიგინალურმა და თვალსაჩინო ხელოვანმა. მოიარა მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკონცერტო სცენა ევროპისა და ამერიკის ყველაზე სახელგანთქმულ ორკესტრებთან ერთად, თანამშრომლობდა მსოფლიოს ისეთ წამყვან დირიჟორებთან, როგორებიც იყვნენ და არიან: ლეონარდ ბერნსტაინი, ჰერბერტ ფონ კარაიანი, კრისტოფ ეშენბახი, ლორინ მააზელი, რიკარდო მუტი, ზუბინ მეტა, ვალერი გერგიევი, კლაუდიო აბადო.

გიდონ კრემერის რეპერტუარი მრავალფეროვანია და სხვადასხვა ეპოქებს მოიცავს - კლასიკურს, რომანტიზმის ეპოქისა და მეოცე საუკუნის გამოჩენილ კომპოზიტორთა მუსიკას. თანამედროვე კომპოზიტორები კრემერს უძღვნიან ისეთ მნიშვნელოვან მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომელთა შესრულება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ოვაციებს იწვევს.

გიდონ კრემერს გამოცემული აქვს 100-ზე მეტი ალბომი. 2002 წელს თებერვალში იგი "კრემატა ბალტიკასთან" ერთად დაჯილდოვდა "გრემით" ჩანაწერისთვის "მოცარტის შემდგომ", კატეგორიაში "საუკეთესო მცირე ანსამბლური გამოსვლა". იგივე ჩანაწერი 2002 წლის შემოდგომაზე დაჯილდოვდა "ECHO 2002"-ით.

1981 წელს კრემერმა საფუძველი ჩაუყარა კამერული მუსიკის ფესტივალს, რომელიც ყოველ ზაფხულს ტარდება ავსტრიაში. კრემერი იყო გშტაადის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი 1997-1998 წლებში. 1997 წელს დააარსა "კრემერატა ბალტიკა" - კამერული ორკესტრი ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა მუსიკოსების წასახალისებლად. ამ ორკესტრთან ერთად მან კონცერტები გამართა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალებზე და საკონცერტო დარბაზებში. ამავე ორკესტრთან ერთად ჩაწერა რამდენიმე კომპაქტ-დისკი. 2002 წლიდან ბაზელის ახალი ფესტივალის (Les museique) სამხატვრო ხელმძღვანელია.

დაბოლოს. გიდონ კრემერი უკრავს უნიკალურ ვიოლინოზე, რომელიც დამზადებულია 1730 წელს. და ეს არ არის ყველაფერი. გიდონ კრემერს გერმანიაში გამოქვეყნებული აქვს სამი წიგნი, რომლებიც არა მხოლოდ მევიოლინეების, არამედ ახალგაზრდა მუსიკოსების სამაგიდო წიგნებად იქცა.

კრემერთან ერთად დღეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრის სცენაზე კიდევ სამი ცნობილი მუსიკოსი გამოვა. პიანისტ კატია სკანავის სოლო და სიმფონიური კონცერტები გამართული აქვს ევროპის, ამერიკისა და იაპონიის პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში. პიანისტი თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებთან - გიდონ კრემერთან, მაქსიმ ვენგეროვთან, ტრულს მორკთან, როი გუდმანთან, რობერტო მინცზუკისთან... პიანისტის კარიერაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1997 წელს ვან ქლაიბერნის კონკურსის ფინალში გასვლა.

ულა ულიჯონა (ალტი) "კრემერატა ბალტიკას" სოლისტია. სწავლობდა ლიტვის მუსიკის აკადემიაში, ბაზელის მუსიკალურ აკადემიასა და ბერლინის ჰანს აისლერის სახელობის მუსიკალურ სკოლაში. მონაწილეობდა გიდონ კრემერის, მსტისლავ როსტროპოვიჩისა და იური ბაშმეტის მასტერკლასებში. როგორც "კრემერატა ბალტიკასა" და კამერულ ანსამბლ "კრემერატა მუსიკის" წევრი, არაერთხელ წარდგა კარნეგი ჰოლში და როიალ ალბერტ ჰოლში, ვენის კონცერტჰაუზში, მოსკოვის კონსერვატორიაში, ასევე ფესტივალებზე ლოკენჰაუზში, ვერბიერში, ზალცბურგში, გშტაადსა და შვარცენბერგში. როგორც სოლისტი, გამოდიოდა ლონდონის ფილარმონიულ, ბოსტონის სიმფონიურ და კონცერტგებაუს ორკესტრებთან. ულა ულიჯონა პარტნიორობას უწევდა იური ბაშმეტს, გიდონ კრემერს, დავიდ გერინგასს, იზაბელ ვან კოილენს, ოლეგ მაიზენბერგს, შარონ კამის. 2001 წელს გაიმარჯვა უილიამ პრიმროუზის საერთაშორისო კონკურსში.

რაც შეეხება ვიოლონჩელოს, მარტა სუდრაბა 1997 წელს გახდა "კამერატა ბალტიკას" წევრი. მას შემდეგ თანამშრომლობს მსოფლიო დონის მუსიკოსებთან და "კრემერატასთან" ერთად თუ ცალკე გამოდის მსოფლიოს წამყვან მუსიკალურ დარბაზებსა და თეატრებში.

ასეთი შემადგენლობით გიდონ კრემერი კონცერტებს არც ისე ხშირად მართავს. 9 ოქტომბრის კონცერტი საერთოდაც საინტერესო მოვლენა იქნება "კერემერატას" წევრებისთვის - ისინი გია ყანჩელის მუსიკას მის სამშობლოში შეასრულებენ. მუსიკით ილუსტრირებული XX საუკუნე, რომელსაც ვირტუოზები შემოგვთავაზებენ, ალბათ აუცილებლად უნდა ვიხილოთ და მოვისმინოთ, რადგან საუკუნემ, რომელმაც უკვე ჩაგვიარა, დაუსრულებელი მუსიკალური ეპოქა დაგვიტოვა, მუსიკალური მეოცე საუკუნე, რომელსაც ქართველი მსმენელი საფუძვლიანად არ იცნობს.

# საპასუხო წერილი სტატიაზე "წარსულსა და აწმყოს შორის გრანტებია"

არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალთა საინფორმაციო ცენტრი" აქტიურად თანამშრომლობს გაზეთ "24 საათთან". "ცენტრის" საქმიანობა ხშირად გაშუქებულა გაზეთის ფურცლებზე.

"ცენტრის" მიერ 30 სექტემბერს ორგანიზებულ ღონისძიებაზე "ქალი და ხელოვნება" "24 საათის" ჟურნალისტის მოწვევაც სწორედ ჩვენი თანამშრომლობის მორიგ დასტურად მივიჩნიეთ, მაგრამ დაგვიანებით მოსულმა ჟურნალისტმა სოფო კილასონიამ ფაქტების, მოვლენებისა და შეფასებების საკუთარი ინტერპრეტაცია შესთავაზა მკითხველს, პუბლიკაციაში "წარსულსა და აწმყოს შორის გრანტებია" (02.10.2006)..

ჟურნალისტი წერს: **"გენდერული შემოტევა", რომელიც თბილისში სულ უახლოეს წარსულში გადავიტანეთ, ეტყობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა",** ამის პასუხად უნდა გაცნობოთ, რომ არათუ **"ჯერ არ დამთავრებულა",** არამედ ახლა იწყება, რადგან დემოკრატიულ ქვეყნებში აუცილებელია გენდერული თანასწორობაზე ზრუნვა. სწორედ ამიტომ საქართველო მიუერთდა რიგ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც გენდერულ თანასწორობას აღიარებს და იცავს. საქართველოში 2 ინსტიტუციური მექანიზმი მუშაობს სწორი გენდერული პოლიტიკის გატარებაზე: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო და გენდერული თანასწორობის საკითხთა სამთავრობო კომისია. ზემოთჩამოთვლილმა სტრუქტურებმა ქალთა არასამთავრობო (რომელთა რიცხვი საქართველოში 180 შეადგენს) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის საქართველოში და 2006 წლის 24 ივლისს ქვეყანამ მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია. როგორც ჩანს, ჩვენ უფრო მეტი მუშაობა გვმართებს ჟურნალისტებთან. ამისათვის რა თქმა უნდა, მზად ვართ, თუ მათაც აქვთ სურვილი. კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის მზად ვართ არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ჩვენი კოლეგებიც, რომლებიც სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან მუშაობენ და სხვადასხვა პრობლემას აგვარებენ.

შემდგომ ჟურნალისტი წერს: **"მთავარია გრანტები იყოს, პროექტების ეფექტურობასა და მოქმედების რეალურ მიზნებს ვინ უყურებს?!"**

რაც შეეხება გრანტებს, ქალთა უფლებები და გენდერული საკითხები საქართველოში მართლაც ამოუწურავი თემაა, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, როგორ შეიძლება ქალსა და მამაკაცზე ზრუნვა დასრულებულად ჩაითვალოს? ამ მიმართულებით ბევრი პროექტი განხორციელდა და კიდევ ბევრი განხორცილდება, რადგან მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციაა მზად მხარდასაჭერად. ეს გლობალური პრობლემაა, პრობლემაა როგორც მაღალგანვითარებული, ასევე დემოკრატიის მშენებლობის პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის. ამ სფეროში პროექტების განხორციელება მართლაც **"სარფიანი"** საქმეა, რადგან ეს არის სერიოზული კაპიტალდაბანდება დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობისათვის.

პუბლიკაციაში დაფიქსირებული უზუსტობების განხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომ, სჯობს მკითხველს მოვუთხროთ, რომ საქმის ვითარება გახლავთ შემდეგი:

უპირველეს ყოვლისა, გვსურს, გაუწყოთ, რომ "ქალთა საინფორმაციო ცენტრი" უცხოური ორგანიზაცია არ გახლავთ.

30 სექტემბრის შეხვედრის მიზანი იყო ქალი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაცია საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კერძოდ, კი პორტალის www.ginsc.net საშუალებით.

ეს ინიციატივა "ცენტრის" კეთილი ნება იყო. შემოქმედ ქალებთან თანამშრომლობის ღონისძიება, რომელიც რიგით მესამეა, დაფინანსების გარეშე მოეწყო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ზოგმა გაიღო ტექნიკა, **"გემრიელი ფურშეტი",** ზოგმაც დაგვითმო დარბაზი შეხვედრისათვის.

სტუმრებს შორის იყვნენ მწერლები, პედაგოგები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, საქართველოში ქალთა პირველი ფონდის წარმომადგენლები.

მიუხედავად ცხარე დისკუსიისა, შეხვედრა კონსტრუქციულ ვითარებაში წარიმართა. მწერლებმა იმსჯელეს იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ ხვდებათ შემოქმედებით გზაზე. შესაძლებელია ძნელი წარმოსადგენი იყოს, რისი გაკეთება შეუძლია მწერლების მხარდასაჭერად პატარა ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციას. ასეთი ეჭვი მართლა არსებობდა, მაგრამ იგი მაშინვე გაიფანტა, როდესაც ქსც-ს წარმომადგენელმა პორტალის პრეზენტაცია მოახდინა და იქვე, შეხვედრაზევე გადაღებული მწერალთა ფოტოსურათები ოპერატიულად განათავსა პორტალზე.

ქალთა საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები შეეცადნენ ხაზი გაესვათ თანამედროვე ტექნოლოგიების როლისათვის ლიტერატურაში. ამას მოჰყვა უკვე კონკრეტული წინადადებები მასპინძელი ორგანიზაციის მხრიდან, მაგალითად, მწერალ ქალთა ნაწარმოებების უსასყიდლოდ განთავსება ელექტრონული წიგნების სახით პორტალზე, მათი ახალი ნაშრომების შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა, წიგნების პრეზენტაციების ჩატარების ხელშეწყობა. დაისვა საკითხი სკოლებთან თანამშრომლობისა და მოსწავლე ახალგაზრდებთან შეხვედრების შესახებ. ბევრი მწერალი ქალისა და მათ შორის, შეხვედრის მონაწილეთა საბავშვო ლექსები და მოთხრობები ხომ სასკოლო სახელმძღვანელოებშია შეტანილი.

შეხვედრა კიდევ უფრო საინტერესო გახდა, როდესაც ქალთა ფონდის დირექტორმა ქალბატონმა ნანა ფანცულაიამ გააკეთა განცხადება ახალი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ. ამ ინფორმაციამ მწერალთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა მზადყოფნა გამოთქვა მწერლების დასახმარებლად და მათ კონსულტაციები აღუთქვა განაცხადების შედგენის პროცესში.

ცხინვალის რეგიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის "მეგობრობის ხიდი - "ქართლოსის" წარმომადგენელმა მეგი ბიბილურმა საზოგადოებას მოუთხრო დაგეგმილი აქციის შესახებ და სტუმრები სათანამშრომლოდ მიიწვია. აქციის ფარგლებში მოგროვდა წიგნები, სასკოლო სახელმძღვანელოები, რვეულები. აღნიშნული აქცია შეხვედრის მეორე დღეს ცხინვალის რეგიონის სოფლებში გაგრძელდა, სადაც შეგროვილი ლიტერატურა სკოლებსა და რესურსცენტრების წარმომადგენლებს გადაეცათ. ზოგიერთმა ავტორმა მზადყოფნა გამოთქვა მომავალში ცხინვალის რეგიონში ჩასასვლელად და საკუთარი წიგნების ჩასატანად.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი მომავალშიც გეგმავს თანამშრომლობას და მზადყოფნას გამოთქვამს თანამშრომლობისათვის სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან. რაც შეეხება ჩვენს ადგილსამყოფელს, იგი საბედნიეროდ, მხოლოდ ვირტუალური არ არის. იგი კარგა ხანია, თბილისში, წინამძღვრიშვილის N40-ში მდებარეობს, ვმუშაობთ შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე 10-დან 18 საათამდე, საკონტაქტო ტელეფონია 94 26 99.

პატივისცემით,
ქალთა საინფორმაციო ცენტრი.

# საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული მედიაცენტრისთვის გათბობა-კონდიცირება-ვენტილაციის სისტემის შეძენა - მონტაჟზე და გაშვება-გამართვაზე.

მედიაცენტრის მოცულობა შეადგენს 150 მ³, მასში განთავსებული იქნება 11 კომპიუტერი და მომუშავე 22 პერსონალი.

მოსაწოდებელია და დასამონტაჟებელია არხული ტიპის კონდიციონერი-სპლიტ სისტემა ზამთარ-ზაფხულის რეჟიმით, ვენტილაციის გათვალისწინებით. მედიაცენტრის ძირითად დარბაზში ტემპერატურა ზამთრის პირობებში უნდა იყოს 22-230 $^{0}$C, ხოლო ზაფხულის პირობებში კი 23-240 $^{0}$C.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი სისტემის მოწოდება და გააჩნიათ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ მედიაცენტრის ამჟამინდელ მდგომარეობას და მიიღონ საჭირო დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები),
2. ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ,
3. წინადადება,
4. ინფორმაცია გარანტიისა და მომსახურების შესახებ.

ჩამოთვლილი დოკუმენტაცია (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) მოწოდებული უნდა იქნეს 2006 წლის 23 ოქტომბრის 17.00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 281369.

# მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ), რომელიც ეწევა ჰუმანიტარულ საქმიანობას საქართველოში, ეძებს მომწოდებელს, რომელთანაც ხელს მოაწერს 6 თვიან კონტრაქტს დიზელის საწვავის შეძენეზე შემდეგი პირობებით:

ა. დიზელის მარკა უნდა იყოს L-62
ბ. ზომის ერთეული მეტრიკული ტონა
გ. წარმოშობის ქვეყანა: სასურველია Aაზერბაიჯანი
დ. ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტს GOST 305-82.
ე. რაოდენობა: ერთი ვაგონი ექვივალენტური 60 (სამოცი) მეტრიკული ტონის (მტ) ± 10% თვეში.
ვ. მოწოდების პირობა / ანგარიშ-ფაქტურა უნდა იყოს შევსებული და შეიცავდეს ფასს, წონას და მოცულობას.
ზ. მოწოდება უნდა მოხდეს შეკვეთის გაფორმებიდან მაქსიმუმ 10 დღის ვადაში
თ. ფასი უნდა მოიცავდეს შენახვისა და დანიშნულების ადგილამდე გადაზიდვის ხარჯებს - DDU (DDU წჯსკ-ს გარაჟის მისამართზე: თბილისი, დიღომი, ჩაჩავას ქ. 8)

ანგარიშსწორება მოხდება ტვირთის მიღების და დიზელის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების შემდეგ ეროვნულ ვალუტაში.

შემოთავაზებები დალუქული კონვერტით უნდა გადმოიგზავნოს ლოჯისტიკის უფროსის დრაგი პოპოვის სახელზე შემდეგ მისამართზე (მიმღებში): თბილისი, კედიას ქ. 4. განაცხადზე უნდა იყოს აღნიშნული კომპანიის სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი. შემოთავაზებები უნდა იქნას მოწოდებული 15.10.2006-ში 14:00 საათამდე.

საწვავის ერთი მეტრიკული ტონის ღირებულება მითითებული უნდა იყოს აშშ დოლარებში და გაანგარიშებულ იქნას შემდეგი ფორმულით: პლაცი დატვირთვის დღისათვის + მარჯინი.

# განცხადება

შპს "ბითუმი" აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის - მაზუთისაგან საგზაო ბნდ-60/90 მარკის ნავთობბითუმის მწარმოებელი მინი დანადგარის დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას და დაგეგმილი საქმიანობის მოკლე ანოტაციას, "არატექნიკურ რეზიუმეს" სახით, შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ლილო.

საჯარო განხილვა მოეწყობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რ-ნი, ჭირნახულის მეორე ჩიხი. N9, ნავთობისა და გაზის მოპოვების სამმართველოს შენობაში, 2006 წლის 30 ნოემბერს, 14 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ შპს "ბითუმი"-ს დირექტორს ბატონ თამაზ კვინიკაძეს.

შპს "ბითუმი"-ს ადმინისტრაცია

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ, ა.წ 27 სექტემბერს გაზეთ "24 საათში", გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილია ცვლილებები. კერძოდ, შესყიდვის ობიექტებს ემატება ლოტი N3 - მიკროავტობუსი.

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | რაოდენობა | ტექნიკური პირობები |
|---|---|---|---|
| 3 | მიკროავტობუსი | 1 | გამოშვებული 2006 წელს. დასაჯდომი ადგილების საშუალო რაოდენობა 12-15. არანაკლებ 2.6 ლიტრიანი, 140 ც.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავით, 5-სიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით, გრძელბაზიანი, მაღალჭერიანი, კონდინციონერით, აბეესით, მეტალის დისკები, ცივი ქვეყნის პაკეტი, უკანა და წინა სანისლე ფარები, ნაჭრის სავარძლები, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი, ელ. შუშები, ელ საკეტი დისტანციური მართვით, წინა და უკანა გათბობა, 2 უსაფრთხოების ბალიში. ფერი – ვერცხლისფერი. |

# ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

| ასლგადამღები აპარატურა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| ასლგადამღები აპარატურა **kyoceramita KM-1635** | შპს ,,ანგი" | ცალი | 25 | 1763.0 | 44075.0 |
| ფერადი ლაზერული პრინტერი **HP color Laser jet 2605** | | ცალი | 2 | 920.0 | 1840.0 |

| ოპტიკო-ელექტრონული ანალიზატორი და შესაბამისი იმუნოქრომტესტები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| (შარდში) ნარკოტიკული და სხვა გამაბრუებელი საშუალებების შემცველობის დასადგენი ერთპარამეტრიანი იმუნოქრომოტესტი - სტრიპი | შპს ,,ექსპრესდიაგნოსტიკა" | | | | |
| OPI Cutt-off 300ნგ/მლ | | ცალი | 6,700 | 1.30 | 8710.0 |
| BUP Cutt-off 10ნგ/მლ | | ცალი | 6,700 | 1.30 | 8710.0 |
| THC Cutt-off 50ნგ/მლ | | ცალი | 6,700 | 1.30 | 8710.0 |
| MET Cutt-off 300ნგ/მლ | | ცალი | 1,000 | 1.30 | 1300.0 |
| COC Cutt-off 300ნგ/მლ | | ცალი | 340 | 1.30 | 442.00 |
| AMP Cutt-off 300ნგ/მლ | | ცალი | 200 | 1.30 | 260.0 |
| BAR Cutt-off 300ნგ/მლ | | ცალი | 200 | 1.30 | 260.0 |
| BZD Cutt-off 300ნგ/მლ | | ცალი | 200 | 1.30 | 260.0 |
| სამ პარამეტრიანი იმუნოქრომტესტი - სტრიპი ოპიუმის, კანაბინოიდების, ბუპრენორფინის. Cutt-off 300ng/ml, Cutt-off 50ng/ml, Cutt-off 10ნგ/მლ | | ცალი | 3,400 | 4.95 | 16830.0 |
| 5 პარამეტრიანი იმუნოქრომტესტი - სტრიპი ოპიუმის, კანაბინოიდების ბუპრენორფინის, მეტადონის და კოკაინის - Cutt-off 300ნგ/მლ, Cutt-off 50ნგ/მლ, Cutt-off 10ნგ/მლ, Cutt-off 300ნგ/მლ, Cutt-off 300ნგ/მლ. | | ცალი | 200 | 8.45 | 1690.0 |
| ბიოლოგიური მასალის (შარდი) დასალუქი ერთჯერადი კონტეინერი (გამჭირვალე, დიამეტრი - 5,5-6,5სმ. დანაყოფებიანი, მოცულობა 100-150მლ. ხრახნიანი თავსახურით) | | ცალი | 10,000 | 0.38 | 3800.0 |
| ოპტიკო-ელექტრონული ანალიზატორი იმუნო-სენდვიჩ მეთოდით ჩატარებული ანალიზების შედეგების უზრუნველყოფისათვის | შპს ,,ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია" | ცალი | 18 | 2340 | 42120.0 |

| ყველა სეზონის საბურავები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| საბურავი 185/70 R 14 | შპს ,,თეგეტა მოტორსი" | ცალი | 400 | 68.00 | 27,200.00 |
| საბურავი 175\70 R 13 | | ცალი | 600 | 55.00 | 33,000.00 |
| საბურავი 205\60 R 16 | | ცალი | 520 | 185.00 | 96,200.00 |
| საბურავი 205/70 R 16 | | ცალი | 150 | 105.00 | 15,750.00 |
| საბურავი 175/70 R 16 | | ცალი | 200 | 78.00 | 15,600.00 |
| საბურავი 175/80 R 16 | | ცალი | 50 | 85.00 | 4,250.00 |
| საბურავი 185/75 R 16 | | ცალი | 50 | 108.00 | 5,400.00 |
| საბურავი 215/75 R 17,5 | | ცალი | 30 | 271.00 | 8,130.00 |
| საბურავი 840/15 | | ცალი | 100 | 108.00 | 10,800.00 |
| საბურავი 1100/400-533 | | ცალი | 30 | 530.00 | 15,900.00 |
| საბურავი 185/70 R 13 | შპს ,,ენ ჯი ემ კომპანი" | ცალი | 100 | 89.5 | 8950.0 |
| საბურავი 185/65 R 14 | | ცალი | 100 | 94.0 | 9400.0 |

| ავეჯი და სამეურნეო საქონელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი | რაოდენობა (ცალი) | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| ტანსაცმლის კარადა | შპს ,,რემშენი" | 183,5X50X85 | 70 | 134 | 9380.0 |
| ერთადგილიანი მაგიდა | | 80X50X75 | 47 | 59 | 2773.0 |
| პენალი | | 240X50X52 | 35 | 144 | 5040.0 |
| კომპიუტერის მაგიდა | | 130X70X75 | 13 | 114 | 1482.0 |
| ტუმბო | | 50X40X65 | 36 | 49 | 1764.0 |
| კომბინირებული კარადა | | 140X50X183 | 9 | 179 | 1611.0 |
| ჟურნალების მაგიდა | | 80X50X60 | 4 | 59 | 236.0 |
| ოპერატორის მაგიდა | | 170X70X105 | 2 | 169 | 338.0 |
| მაგიდა სააქტო დარბაზისათვის | | 150X70X75 | 9 | 119 | 1071.0 |
| საკლასო მერხი | | 120X70X75 | 6 | 114 | 684.0 |
| საკლასო მერხი | | 160X65X80 | 8 | 124 | 992.0 |
| წიგნების თარო | | 75X34X80 | 43 | 54 | 2322.0 |
| ორიარუსიანი ტუმბო | | 135X50X40 | 215 | 89 | 19135.0 |
| ოთხადგილიანი საკლასო მერხი | | 210X65X80 | 8 | 200 | 1600.0 |
| ჭურჭლის შესანახი კარადა | | 80X30X80 | 2 | 80.0 | 160.0 |
| ჭურჭლის შესანახი კარადა | | 240X40X180 | 1 | 700.0 | 700.0 |
| ჭურჭლის შესანახი კარადა | | 150X40X180 | 3 | 400.0 | 1200.0 |
| ჭურჭლის შესანახი კარადა | | 195X35X90 | 2 | 260.0 | 520.0 |
| ჭურჭლის შესანახი კარადა | | 150X40X80 | 2 | 200.0 | 400.0 |
| ჭურჭლის საშრობი კარადა | | 70X30X80 | 4 | 80.0 | 320.0 |
| ჭურჭლის სარეცხი კარადა ნიჟარით | | 50X50X85 | 3 | 120.0 | 360.0 |
| ჭურჭლის საშრობი დასაკიდი კარადა | | 100X90X40 | 1 | 140.0 | 140.0 |
| ჭურჭლის შესანახი კარადა კარებებით | | 180X90X40 | 1 | 260.0 | 260.0 |
| ჭურჭლის შესანახი კარადა კარებებით | | 100X30X40 | 1 | 30.0 | 30.0 |
| კარადა–სტელაჟი | | 630X50X260 | 1 | 1600.0 | 1600.0 |
| პურის შესანახი კარადა | | 90X45X180 | 1 | 300.0 | 300.0 |
| ბოსტნეულის შესანახი კარადა | | 100X50X170 | 5 | 280.0 | 1400.0 |
| თეთრეულის შესანახი კარადა | | 200X20X100 | 1 | 80.0 | 80.0 |
| მედიკამენტის შესანახი კარადა | | 70X34X180 | 2 | 150.0 | 300.0 |
| ტანსაცმლის კარადა (თეთრი) | | 50X50X183 | 1 | 90.0 | 90.0 |
| საწყობის რკინის ღია სტელაჟი 3 თაროთი | | 350X100X240 | 2 | 900.0 | 1800.0 |
| რკინის დასაკიდი თარო | | 200X50X50 | 2 | 130.0 | 260.0 |
| კარადა საშხაპეში | | 90X180X40 | 4 | 50.0 | 200.0 |
| 8 ადგილიანი სკამი | | 200X75X45 | 1 | 200.0 | 200.0 |
| სასადილოს 6 ადგილიანი მაგიდა | | 160X75X80 | 12 | 240.0 | 2880.0 |
| სასადილოს 3 ადგილიანი სკამი | | 160X45X30 | 40 | 85.0 | 3400.0 |
| სასადილოს 4 ადგილიანი მაგიდა | | 70X70X75 | 9 | 90.0 | 810.0 |
| საწოლი ორთოპედიული მატრასით და უჯრებით | ი.მ. ,,თეა ხუსკივაძე" | 190X90 | 90 | 407.50 | 36675.00 |
| ხის საწოლი მატრასით | | 190X80 | 22 | 216.00 | 4752.00 |
| სამეული | | ტყავის | 1 | 1780.00 | 1780.00 |
| სამეული | | ნაჭრის | 2 | 545.40 | 1090.80 |
| სამადგილიანი დივანი | | ნაჭრის | 55 | 276.00 | 15180.00 |
| ერთადგილიანი გასაშლელი დივანი | | ნაჭრის | 2 | 180.00 | 360.00 |
| მაგიდა | ი.მ. ,,ანტონ გრიგოლიშვილი" | 170X70X75 | 50 | 115.0 | 5750.0 |
| მაგიდის მისადგმელი | | 90X60X71,4 | 50 | 65.0 | 3250.0 |
| ტელეფონის ტუმბო | | 90X45X60 | 70 | 48.0 | 3360.0 |
| ტელევიზორის ტუმბო | | 80X50X60 | 50 | 52.0 | 2600.0 |
| წიგნების კარადა | | 195X35X90 | 80 | 129.0 | 10320.0 |
| 20 ადგილიანი სათათბირო მაგიდა | ი.მ. ,,ვახტანგ ბერძენიშვილი" | 340X340X75 | 1 | 972.0 | 972.0 |
| ოპერატორის მაგიდა | | 520X70X75 | 1 | 520.0 | 520.0 |
| იარაღის გასაწმენდი მაგიდა | | 200X80X90 | 3 | 210.0 | 630.0 |
| კედელზე დასაკიდი დახურული კარადა | | 2320X75X35 | 1 | 2784.0 | 2784.0 |
| კედელზე დასაკიდი დახურული კარადა | | 560X75X34 | 1 | 672.0 | 672.0 |
| შემინული მაგიდა ტიხრით | | 1900X75X195 | 1 | 8225.0 | 8225.0 |
| სურათის გადასაღები ტიხარი–მაგიდა | | 200X170 | 1 | 650.0 | 650.0 |
| კართოტეკის კარადა | | 5600X43X270 | 2 | 2419.0 | 4838.0 |
| კართოტეკის კარადა | | 400X43X270 | 5 | 1728.0 | 8640.0 |
| კართოტეკის კარადა | | 530X43X270 | 1 | 2289.0 | 2289.0 |
| კართოტეკის კარადა | | 430X43X270 | 1 | 1857.0 | 1857.0 |
| კართოტეკის კარადა | | 630X41X270 | 1 | 2721.0 | 2721.0 |
| კარადა–კედელი | | 340X200X55 | 1 | 1088.0 | 1088.0 |
| მართკუთხა მაგიდა–ბორდიური | | 390X70X120 | 1 | 810.0 | 810.0 |
| შემინული საინფორმაციო დაფა | | 200X10X130 | 3 | 150.0 | 450.0 |
| შემინული საინფორმაციო დაფა | | 100X10X80 | 4 | 75.0 | 300.0 |
| შემინული საინფორმაციო დაფა | | 250X10X150 | 3 | 225.0 | 675.0 |
| შემინული საინფორმაციო დაფა | | 155X10X120 | 2 | 115.0 | 230.0 |
| განცხადებების შესავსები მაგიდა | | 200X90X40 | 2 | 270.0 | 540.0 |
| შემინული მაგიდა–ბორდიური | | 275X70X195 | 1 | 2145.0 | 2145.0 |
| ნივთმტკიცებულებების კარადა | | 560X60X270 | 1 | 3325.0 | 3325.0 |
| ტანსაცმლის საკიდი 10 ჩამოსაკიდებლით | | 125X30 | 3 | 90.0 | 270.0 |
| ტელევიზორის მაღალი ტუმბო | | 80X60X130 | 3 | 165.0 | 495.0 |
| ტრიბუნა | | 70X50X130 | 1 | 150.0 | 150.0 |
| ჯავშანჟილეტების შესანახი კარადა | | 500X70X210 | 1 | 2112.0 | 2112.0 |
| ტანსაცმლის საკიდი დასაჯდომით | | 183X50X100 | 5 | 140.0 | 700.0 |
| არქივის კარადა | | 90X44X240 | 1 | 345.0 | 345.0 |
| ტანსაცმლის 4 საკიდი საშხაპეში | | 80X30 | 1 | 65.0 | 65.0 |
| 33 უჯრიანი კარადა | | 80X43X180 | 1 | 490.0 | 490.0 |
| დასამუხტი ელემენტების შესანახი კარადა | | 100X183X45 | 1 | 260.0 | 260.0 |
| პირამიდა | | 120X50X240 | 1 | 720.0 | 720.0 |
| პირამიდა | | 104X50X270 | 8 | 640.0 | 5120.0 |
| პირამიდა | | 140X45X180 | 1 | 735.0 | 735.0 |
| პირამიდა | | 104X50X220 | 1 | 560.0 | 560.0 |
| პირამიდა | | 104X50X260 | 8 | 640.0 | 5120.0 |
| პირამიდა | | 80X50X220 | 1 | 450.0 | 450.0 |
| პირამიდა | | 85X40X180 | 1 | 460.0 | 460.0 |
| პირამიდა | | 100X45X180 | 1 | 530.0 | 530.0 |
| პირამიდა | | 100X45X160 | 1 | 520.0 | 520.0 |
| წიგნების ორმხრივი კარადა | | 400X70X240 | 1 | 2304.0 | 2304.0 |
| ტიხარი-მაგიდა | | 590X70X130 | 1 | 3070.0 | 3070.0 |
| მაგიდა | | 70X50X75 | 6 | 85.0 | 510.0 |
| ტანსაცმლის საკიდი | | 120X50X30 | 3 | 90.0 | 270.0 |
| რობოკოპის კარადა | | 520X70X240 | 2 | 2770.0 | 5540.0 |
| კედლის თარო | | 250X30X75 | 1 | 225.0 | 225.0 |
| კედლის საკიდი 6 ჩამოსაკიდებლით | | 100X30 | 2 | 75.0 | 150.0 |
| ორიარუსიანი საწოლის უჯრები | | 90X22X75 | 20 | 100.0 | 2000.0 |
| მაგიდა | | 200X80X75 | 4 | 182.0 | 728.0 |
| მაგიდის მისადგმელი | | 130X70X71,4 | 4 | 120.0 | 480.0 |
| არქივის კარადა | | 430X29X250 | 2 | 1505.0 | 3010.0 |
| არქივის კარადა | | 450X29X250 | 1 | 1575.0 | 1575.0 |
| არქივის ორმაგი კარადა | | 370X58X250 | 1 | 2400.0 | 2400.0 |
| არქივის ორმაგი კარადა | | 470X58X250 | 2 | 3290.0 | 6580.0 |
| არქივის ორმაგი კარადა | | 450X58X250 | 2 | 3150.0 | 6300.0 |
| არქივის ორმაგი კარადა | | 600X58X250 | 1 | 4200.0 | 4200.0 |
| არქივის ორმაგი კარადა | | 400X58X250 | 1 | 2800.0 | 2800.0 |
| არქივის კარადა | | 600X29X150 | 1 | 1995.0 | 1995.0 |
| არქივის კარადა | | 570X29X250 | 1 | 1860.0 | 1860.0 |
| კართოტეკის კარადა | | 150X120X42 | 1 | 488.0 | 488.0 |
| მაგიდა | | 190X80X75 | 2 | 217 | 434.0 |
| მაგიდის მისადგმელი | | 120X70X71,4 | 2 | 113 | 226.0 |
| ტელეფონის ტუმბო | | 90X50X60 | 2 | 90 | 180.0 |
| ტელევიზორის ტუმბო | | 80X50X65 | 2 | 90 | 180.0 |
| წიგნების კარადა | | 90X34X195 | 4 | 205 | 820.0 |
| ტანსაცმლის კარადა | | 80X56X195 | 2 | 255 | 510.0 |
| 10 ადგილიანი სათათბირო მაგიდა | | 230X100X75 | 1 | 220 | 220.0 |
| ორიარუსიანი რკინის საწოლი ორთოპედიული მატრასით | | 190X80 | 10 | 520 | 5200.0 |
| ნახევრადრბილი საწოლი (ტაპჩანი) | | 185X70X12 | 47 | 175 | 8225.0 |
| ორიარუსიანი რკინის საწოლი | | 185X70 | 3 | 250 | 750.0 |
| რკინის საწოლი | | 185X70 | 41 | 130 | 5330.0 |

გაგრძელება A7 გვერდზე

# ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

A6 გვერდიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რკინის სტელაჟი ვაზნებისათვის | შპს „არტ დიზაინი“ | 180X50X150 | 1 | 580 | 580.0 |
| რკინის გაბარიტული სტელაჟი ნივთმტკიცებულების | | 560X60X270 | 1 | 3850 | 3850.0 |
| იარაღის გასამუხტი ლითონის ყუთი | | 60X60X80 | 1 | 150 | 150.0 |
| რკინის ყუთი მჭიდებისათვის | | 100X50X50 | 2 | 150 | 300.0 |
| ეზოს სკამი | | 160X40X80 | 12 | 110 | 1320.0 |
| ეზოს ურნა | | 40X40X60 | 14 | 75 | 1050.0 |
| რკინის კარადა 8 ინდივიდუალური განყოფილებით | | 170X70X40 | 8 | 580 | 4640.0 |
| რკინის კარადა | | 125X80X40 | 51 | 270 | 13770.0 |
| რკინის კარადა საშხაპესთვის | | 30X40X170 | 60 | 170 | 10200.0 |
| ხის ნახევრადრბილი სკამი | | ნაჭრის | 10 | 50 | 500.0 |
| სკამი რკინის ფეხით | | | 1000 | 32 | 32000.0 |
| სამზარეულოს სკამი | | | 36 | 40 | 1440.0 |
| გორგოლაჭიანი სავარძელი | | ნაჭრის | 45 | 155 | 6975.0 |
| გორგოლაჭიანი სავარძელი | | ტყავის | 1 | 400 | 400.0 |

| აუდიო-ვიდეო, კომპიუტერული და კავშირგაბმულობის საშუალებები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| ციფრული ფოტოაპარატი | შპს „გეოპაკი“ | ცალი | 25 | 1100.0 | 27500.0 |
| ციფრული ფოტოაპარატის 128მგბ „ოლიმპუსის“ მეხსიერების ბარათი | | ცალი | 1 | 43.0 | 43.0 |
| R 15 ტიპის მრგვალი ელემენტი | | ცალი | 60 | 12.0 | 720.0 |
| 3ვ, ბრ-2325 მარკის სატელეფონო აკუმულიატორი | | ცალი | 30 | 5.0 | 150.0 |
| კროსირების მავთული | | ცალი | 10000 | 0.22 | 2200.0 |
| Bluetooth ადაპტერი | | ცალი | 1 | 45.0 | 45.0 |
| Infrared ადაპტერი | | ცალი | 1 | 42.0 | 42.0 |
| DVD RE WRITER | | ცალი | 5 | 110.0 | 550.0 |
| CD RE WRITER | | ცალი | 5 | 88.0 | 440.0 |
| მეხსიერების ბარათი flash 2GB | | ცალი | 3 | 135.0 | 405.0 |
| მეხსიერების ბარათი flash 1GB | | ცალი | 20 | 100.0 | 2000.0 |
| მეხსიერების ბარათი flash 512 MB | | ცალი | 30 | 55.0 | 1650.0 |
| USB კაბელი | | ცალი | 10 | 3.0 | 30.0 |
| კლავიატურა | | ცალი | 10 | 13.0 | 130.0 |
| ფლოპ დისკი | | ცალი | 1000 | 0.6 | 600.0 |
| სდ. დისკი | | ცალი | 1000 | 0.5 | 500.0 |
| უწყვეტი კვების ბლოკი | | ცალი | 10 | 200.0 | 2000.0 |
| ვიდეომაგნიტოფონი დვდ-ით | | ცალი | 5 | 585.0 | 2925.0 |
| ფაქსის აპარატი | | ცალი | 10 | 310.0 | 3100.0 |
| ციფრული დიქტოფონი | ი.მ. „დიმიტრი კასრაძე“ | ცალი | 25 | 167.0 | 4175.0 |
| ციფრული ვიდეოკამერა | | ცალი | 25 | 915.0 | 22875.0 |
| ციფრული ვიდეოკამერის „Panasonic nc-ge“ 15 -ის აკუმულატორი | | ცალი | 1 | 158.0 | 158.0 |

| სხვადასხვა დასახელების ელექტრო საქონელი და სამზარეულო ინვენტარი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი | რაოდენობა (ცალი) | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| 2 კარებიანი კარადა–მაცივარი | | 2000ლ | 1 | 7470.0 | 7470.0 |
| 4 კარებიანი კარადა–მაცივარი | | 2000ლ | 1 | 7565.0 | 7565.0 |
| საყინულე მაცივარი | | 199 ლ | 2 | 680.0 | 1360.0 |
| ორკამერიანი მაცივარი | | 2000ლ, --18გრ | 2 | 10490.0 | 20980.0 |
| მაცივარი | | 200ლ.ორკამერიანი | 5 | 695.0 | 3475.0 |
| მაცივარი | | 100ლ. ერთკამერინი | 20 | 490.0 | 9800.0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 ქურიანი ელექტრო ღუმელი | შპს „ესპრესო“ | საწარმოო დანიშნულების | 1 | 3285.0 | 3285.0 |
| მაგიდის 2 ქურიანი ელექტრო ღუმელი | | საყოფაცხოვრებო | 1 | 85.0 | 85.0 |
| 4 ქურიანი გაზის ღუმელით | | საყოფაცხოვრებო | 1 | 2095.0 | 2095.0 |
| კარტოფილის ელექტრო საფრცქვენი | | 400კგ/სთ | 1 | 3545.0 | 3545.0 |
| ელექტრო ქვაბი | | 100ლ. | 2 | 14340.0 | 28680.0 |
| 6 ქურიანი გაზის ღუმელით | | საწარმოო დანიშნულების | 1 | 3505.0 | 3505.0 |
| ხორცის საკეპი ელექტრო მანქანა | | 20-50კგ/სთ | 2 | 1275.0 | 2550.0 |
| წყლის გამაცხელებელი | | 100ლ. | 1 | 330.0 | 330.0 |
| პურის საჭრელი მანქანა | | | 3 | 3435.0 | 10305.0 |
| პროდუქტების დასამუშავებელი უჟანგავი ლითონის კორპუსიანი მაგიდა | | 150X80X79 | 1 | 845.0 | 845.0 |
| პროდუქტების დასამუშავებელი უჟანგავი ლითონის კორპუსიანი მაგიდა | | 130X80X79 | 2 | 765.0 | 1530.0 |
| პროდუქტების დასამუშავებელი უჟანგავი ლითონის კორპუსიანი მაგიდა | | 100X80X79 | 5 | 655.0 | 3275.0 |
| პროდუქტების დასამუშავებელი უჟანგავი ლითონის კორპუსიანი მაგიდა | | 200X80X79 | 1 | 1075.0 | 1075.0 |
| პროდუქტების დასამუშავებელი უჟანგავი ლითონის კორპუსიანი მაგიდა | | 70X70X74 | 1 | 565.0 | 565.0 |
| ჭურჭლის უჟანგავი ლითონის ვანა | | 60X50X49 | 4 | 825.0 | 3300.0 |
| წყლის პორტერი | ი.მ. „დიმიტრი კასრაძე“ | | 23 | 300.0 | 6900.0 |
| ტელევიზორი | | 72 დიაგონალიანი | 6 | 590.0 | 3540.0 |
| ტელევიზორი | | 54 დიაგონალიანი | 21 | 285.0 | 5985.0 |
| ტელევიზორი | | 37 დიაგონალიანი | 22 | 175.0 | 3850.0 |

| საწვავი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი | რაოდენობა (ლიტრი) | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| ევროდიზელი 50 PPM | ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ | სითხე | 24,000 | 1.58 | 37920.0 |
| | | სითხე | 29,200 | 1.58 | 46136.0 |
| | | სითხე | 14,800 | 1.58 | 23384.0 |
| | | სითხე | 29,200 | 1.58 | 46136.0 |
| ევროდიზელი 50 PPM | შპს „ლუკოილ ჯორჯია“ | ტალონი | 43,000 | 1.58 | 67940.0 |
| საავიაციო საწვავი (ბენზინი) - AV GAS 100LL | შპს „ავიასაწვავსერვისი“ | სითხე | 100000 | 3.95 | 395000 |
| ავიანავთი ტს-1 | | სითხე | 60000 | 1.45 | 87000 |

| ავტოსატრანსპორტო საშუალებები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| ლადა ვაზი 21214 - 2006 წლის | შპს „ვეგა მოტორსი 2002“ | ცალი | 4 | 15388.75 | 61555.0 |
| უაზი 31514 - 2006 წლის | | ცალი | 10 | 18000 | 180000.0 |
| მიკროავტობუსი (მეორადი) - 1994 წლის | | ცალი | 2 | 17500 | 35000.0 |

TAV Georgia

# შპს “ტავ ურბან საქართველო" აცხადებს ტენდერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალ ტერმინალის და მისი მიმდებარე ავტოსადგომების დასუფთავებაზე

ტენდერში გამარჯვებულთან გაფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულება; სამუშაოს შესრულების ადგილია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალი და მისი მიმდებარე ტერიტორია;

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იურიდიულ და მეწარმე ფიზიკურ პირებს. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

■ განცხადება შპს “ტავ ურბან საქართველოს" ხელმძღვანელობის სახელზე;

■ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

■ თუ იურიდიულ პირს აქვს შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება, შესაბამისი წერილობითი ინფორმაცია მასზედ, რომ ტენდერში მონაწილეს ადრეც მიუღია მონაწილეობა მსგავს ტენდერში სახელმწიფო ან კერძო სექტორში, ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ ბოლო 2 წლის მანძილზე, საბუთი დამქირავებლისგან სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულების თაობაზე იგივე ან მსგავს სფეროში, ან თუნდაც ერთი ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი საბუთი.

■ პროფესიული და ტექნიკური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები და ამ კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო კრიტერიუმების დამადასტურებელი სერთიფიკატები, მათი ქონის შემთხვევაში;

n ბოლო სამეურნეო წლის ბალანსი ან მიმდინარე წლის 9 თვის ფინანსური მაჩვენებლები;

■ ორგანიზაციული სტრუქტურა;

■ ტენდერში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების მინიმუმ 30 %.

■ ტენდერში მონაწილეობის ღირებულებაა 200 ლარი. ღირებულების გადახდა შეიძლება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. ნაღდი ანგარისსწორებით თანხა გადაიხდება შპს “ტავ ურბან საქართველოს" ბუღალტერიაში. უნაღდო ანგარიშსწორებისათვის კი შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: სს "საქართველოს ბანკი". ცენტრალური ფილიალი. კოდი 220101502, ანგარიშის N118524301.

■ ტენდერში მონაწილეობისათვის გადახდილი თანხა ტენდერის მონაწილეს უკან არ უბრუნდება.

■ ტენდერში მონაწილეობის ღირებულების გადახდის გარეშე მონაწილის წინადადება არ განიხილება.

■ ტენდერში მონაწილეობის ღირებულების გადახდის შემდეგ ტენდერის მონაწილე სატენდერო კომისიაში მიიღებს ტექნიკურ დოკუმენტაციას.

ტენდერი ჩატარდება მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტები დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ სატენდერო კომისიაში - გელა გოზალიშვილთან ან ნეჯატ კურთან 2006 წლის 20 ოქტომბრის 17 სთ. 00 წთ. -მდე. განაცხადები მიიღება და ტენდერი ჩატარდება შემდეგ მისამართზე:

შპს “ტავ ურბან საქართველო".
0158, ქ. თბილისი. საერთაშორისო აეროპორტის აეროვაგზალი.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება შემდეგ ტელეფონებზე:
+(995 32) 43 32 02;
+(995 77) 999 106
+(995 77) 999 139
ფაქსი: +(995 32) 43 32 20
ელ-ფოსტა: nejat.kurt@tav.aero; g.gozalishvili@tav.aero

# საჯარო სამართლის იურიდიული პირი, "საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურს თოქშოუს წამყვანის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად

*საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი საქართველოს გაერო-ს ასოციაციასთან ერთად იწყებს "ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამა საქართველოში" განხორციელებას. აღნიშნული პროექტის ფაგლებში დაგეგმილია საზოგადოებრივი მაუწყებელის ეთერში გავიდეს ახალი გადაცემა თოქშოუ, რომელიც მიმართული იქნება, უმცირესობებისა და ტოლერანტობის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი დებატების გააქტიურებაზე.*

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

■ უმაღლესი განათლება;

■ მედია საშუალებებში მუშაობის გამოცდილება *(სასურველია)*

■ ქართული და რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა;

■ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები, რომელიმე ეროვნული უმცირესობის ენის ცოდნა *(მიენიჭება პრიორიტეტი)*

■ კომპიუტერის საოფისე და ინტერნეტ-პროგრამების ცოდნა.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

■ ავტობიოგრაფია (CV);

■ ორი ფოტოსურათი;

■ დიპლომის ასლი;

■ სამოტივაციო წერილი, არა უმეტეს 250 სიტყვისა; (გთხოვთ, ჩამოაყალიბოთ თუ რატომ გსურთ საზოგადოებრივი მაუწყებლის, უმცირესობათა და ტოლერანტობის საკითხების თოქშოუს წამყვანის თანამდებობაზე მუშაობა)

■ ორი სარეკომენდაციო წერილი, ან იმ პირების საკონტაქტო ინფორმაცია, ვისაც თქვენთვის რეკომენდაციის გაწევა შეუძლია.

საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 6 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:

*ქ. თბილისი, კოსტავას 68, საზოგადოებრივი მაუწყებლის კანცელარია*

საბუთების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 15 ოქტომბერი, 18.00 საათი.**

# სენსაციების დრო დადგა

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| **ყაზახეთი - პოლონეთი** | **0:1** |
| **სომხეთი - ფინეთი** | **0:0** |
| **სერბეთი - ბელგია** | **1:0** |
| **პორტუგალია - აზერბაიჯანი** | **3:0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სერბეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 2.ფინეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 3.პორტუგალია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4.ბელგია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 5.პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 6.ყაზახეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 7.სომხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 8.აზერბაიჯანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| **ფარერები - ლიტვა** | **0:1** |
| **შოტლანდია - საფრანგეთი** | **1:0** |
| **იტალია - უკრაინა** | **2:0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შოტლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 9-1 | 9 |
| 2.საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| 3.იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4.ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 5.საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 8-6 | 3 |
| 6.უკრაინა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 7.ფარერები | 3 | 0 | 0 | 3 | 0-13 | 0 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| **მოლდოვა - ბოსნია** | **2:2** |
| **უნგრეთი - თურქეთი** | **0:1** |
| **საბერძნეთი - ნორვეგია** | **1:0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნორვეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| 2.თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3.საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.ბოსნია | 3 | 1 | 1 | 1 | 8-7 | 4 |
| 5.უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 6.მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 7.მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| **უელსი - სლოვაკეთი** | **1:5** |
| **ჩეხეთი - სან მარინო** | **7:0** |
| **კვიპროსი - ირლანდია** | **5:2** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-1 | 9 |
| 2.გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 14-0 | 6 |
| 3.სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 11-5 | 6 |
| 4.კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-8 | 3 |
| 5.ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 6.უელსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |
| 7.სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-20 | 0 |

**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი - ისრაელი** | **1:1** |
| **ინგლისი - მაკედონია** | **0:0** |
| **ხორვატია - ანდორა** | **7:0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-0 | 7 |
| 2.ისრაელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 3.ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 7-0 | 4 |
| 4.მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 5.რუსეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6.ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 7.ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-16 | 0 |

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| **ლატვია - ისლანდია** | **4:0** |
| **შვედეთი - ესპანეთი** | **2:0** |
| **დანია - ჩრდ.ირლანდია** | **0:0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 2.დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 3.ჩრდ.ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 4.ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-1 | 3 |
| 5.ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 6.ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 7.ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

**G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| **რუმინეთი - ბელარუსი** | **3:1** |
| **ბულგარეთი - ჰოლანდია** | **1:1** |
| **სლოვენია - ლუქსემბურგი** | **2:0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2.ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3.ბულგარეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| 4.სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 5.ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 6.ბელარუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |
| 7.ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

მიილია შესარჩევი ციკლის მესამე ტური და თუ ჯგუფებში სატურნირო მდგომარეობას გადავხედავთ, თვალში გვეცემა ბევრი მოულოდნელობა. მაგალითად, ვინ წარმოიდგენდა, რომ ესპანეთის ნაკრებს სამი ტურის შემდეგ მხოლოდ სამი ქულა ექნებოდა და პირენეელები მეხუთე ადგილს დასჯერდებოდნენ. ანდა ვინ იფიქრებდა, რომ ჯგუფში, რომელშიც საფრანგეთისა და იტალიის ნაკრებები თამაშობენ, პირველ ადგილზე ასპროცენტიანი მაჩვენებლით შოტლანდიის ნაკრები იქნებოდა. ბევრი ალბათ ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ გუუს ჰიდინკი რუსეთის ნაკრებში გამართული ორი საშინაო მატჩის შემდეგ სულ ორი ქულის ამარა იქნებოდა.

რაც შეეხება შაბათს გამართულ ტურს, სენსაციები მართლაც მრავლად იყო. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ესპანეთის ნაკრები უნდა გამოვყოთ. მას შემდეგ, რაც არაგონესის ბიჭებმა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან წააგეს, ვეტერან მწვრთნელს რეპუტაციის აღდგენა სჭირდებოდა და ამისთვის შვედეთის ნაკრებთან მატჩი, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი შანსი იყო. თანაც, შვედებს ზლატან იბრაჰიმოვიჩი არ ჰყავდათ, რომელიც რატომღაც მწვრთნელებს შემოსწყრა და თამაშზე უარი თქვა. მიუხედავად ამისა, ლუის არაგონესის შეგირდებმა სკანდინავიაში ვერაფერი გააწყვეს და შინ ხელმოცარულები დაბრუნდნენ. ესპანური მედია ალბათ კიდევ არაერთხელ უსაყვედურებს არაგონესს, რომ მან რაულზე უარი თქვა.

ახლა კი იმ ჯგუფზე, რომელიც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა. სენსაციები ჩვენს ჯგუფშიც დაფიქსირდა. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ შოტლანდიის ნაკრების საკმაოდ დამაჯერებელი თამაში. სქოთებმა საფრანგეთის ნაკრების უძლეველობის მითი დაამსხვრიეს, ანრიმ და კომპანიამ ვერაფერი გააწყვეს შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა შესარჩევ ციკლში პირველი მარცხი იწვნიეს.

მსოფლიო ჩემპიონებმა კი უკრაინელებს უმასპინძლეს. ისევე როგორც რამდენიმე თვის წინ, იტალიელებმა ბლოხინის გუნდს ორი უპასუხო გოლი გაუტანეს, მაგრამ თუ მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიელთა უპირატესობა აშკარა იყო, ამჯერად დონადონის გუნდს უბრალოდ გაუმართლა. მატჩის მიწურულს დანიშნული პენალტი რომ არა, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს შეხვედრა...

# ტოპმიოლერის "კოზა ნოსტრა"

მიხეილ აბაიშვილი



საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი დღის წინანდელმა თამაშმა გაორებული გრძნობები და შთაბეჭდილება დამიტოვა. ერთი მხრივ, გუნდის პროგრესი მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო თვალსაჩინოა. თამაში ისეთი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გერმანიაა, თან მის მოედანზე, იოლი ამოცანების რიგს ნამდვილად არ განეკუთვნება. თუ შედეგს არ მივიღებთ მხედველობაში, ტოპმიოლერმა და მისმა ნაკრებმა ეს ამოცანა წარმატებით ამოხსნეს. ჩვენი გუნდის მოქმედებაში იყო დისციპლინაც, ბრძოლის ჟინი და მონდომებაც, გოლებიც კი გავიტანეთ და გერმანელებზე არანაკლებ სახიფათო მომენტებიც შევქმენით. ტოპმიოლერს თამამად შეუძლია თქვას, რომ ზოგიერთ ეპიზოდში ფორტუნამ აშკარად შეგვაქცია ზურგი, ერთ შემთხვევაში კი მასპინძლებს ფორტუნასთან ერთად თითქმის თანამემამულე ავსტრიელი მსაჯები წაეშველნენ, რომლებმაც მარცვალაძის მიერ საფეხბურთო წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩათვალეს და თამაშგარე მდგომარეობა გამოიგონეს. იყო კობიაშვილ-მარცვალაძის მიერ გამოუყენებელი ასპროცენტიანი საგოლე მომენტიც, იყო ცქიტიშვილის ხარიხაც, იყო საქართველოს ნაკრების გააზრებული თამაშით და წინააღმდეგობით წყობილებიდან გამოსული მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირის ლუკაშ პოდოლსკის უკიდურესი უხეშობა და მოედნიდან მისი გაძევება, იყო ხიზანიშვილის პასუხიც... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ ამხანაგურმა მატჩმა, როგორც კატალიზატორმა, ისე იმოქმედა და გამოაჩინა ჩვენი გუნდის დადებითი მხარეებიც და პრობლემებიც. ხარვეზი ჯერ კიდევ ბევრია, რომელთაგან ზოგის გამოსწორება სწრაფად შეიძლება, ზოგის აღმოფხვრა კი ალბათ ძალიან გაძნელდება. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების ამ თაობაში მაინც. ფიზიკური მომზადება და სისწრაფე ის აქილევსის ქუსლი და მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორია, რაც უმაღლესი კლასის გუნდებთან, ისეთებთან, როგორიც გერმანია ან საფრანგეთია, წარმატების შანსს თითქმის არ გვიტოვებს. რა თქმა უნდა, ნაკრებში გვყავს რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც ამ თვალსაზრისით პრობლემა არა აქვთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ რამდენიმეთი ფონს ვერ გახვალ, მით უმეტეს, რომ ამ "რამდენიმეს" ერთად შეკრება ხან ტრავმების, ხანაც დისკვალიფიკაციის გამო ურთულესი, თითქმის უტოპიური საქმეა. ამ პრობლემის გადაჭრის გასაღები ტოპმიოლერს ნამდვილად არა აქვს. ამაზე მუშაობა გაცილებით ადრე, ბავშვთა ფეხბურთში უნდა დაიწყოს. ბავშვთა ფეხბურთი, აქ დასაქმებული დილეტანტები, არასათანადო ინფრასტრუქტურა და საწვრთნელი პირობები საუბრის ცალკე, დიდი თემაა და გუშინწინდელი თამაშიდან ძალიან დაგვაშორებს.

ასე რომ, ეს სხვა დროს იყოს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ალბათ უმთავრესი პრობლემა, რაც წლების განმავლობაში თან გვდევს, ავტორიტეტთა რიდია. სამწუხაროდ, ქართველ ფეხბურთელებს აღიარებული გუნდების მიმართ პანიკური შიში აქვთ და ეს ვითარება არა და არ იცვლება. სტატისტიკას მოვიშველიებ: გერმანიასთან უკვე სამჯერ ვითამაშეთ, იტალიასთან - ოთხჯერ, ინგლისთან - ორჯერ და საფრანგეთთან - ერთხელ. ამ ათი მატჩიდან ცხრაში დავმარცხდით და მხოლოდ ერთი თამაში დავასრულეთ ფრედ. კიდევ უფრო საწყენია ბურთების კატასტროფული შეფარდება: ორი გატანილი გოლი ოცი გაშვებულის წინააღმდეგ. თუ ავტორიტეტების მიმართ ეს კომპლექსი ამ შესარჩევ ციკლში მაინც არ მოვიხსენით, მომდევნო ციკლშიც მხოლოდ კრახი გველის.

კიდევ ერთი, დღემდე გადაუჭრელი პრობლემა მეკარის პოზიციაა. გერმანიასთან მატჩში გიორგი ლომაია ურიგოდ არ თამაშობდა. ბალაკის დარტყმა აუღებელთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, შვაინშტაიგერის "გასროლილს" კი ათი კვალიფიციური მეკარიდან ერთი-ორი თუ მოიგერიებდა. იყო რამდენიმე მომენტი, როცა ლომაიამ აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი. სამწუხაროდ, გიორგი ლომაიას საკლუბო კარიერა ვერ აეწყო და სათამაშო პრაქტიკა საერთოდ არა აქვს, რაც მისი მხრიდან სერიოზულ თამაშებში შეცდომის დაშვების რისკს განუზომლად ზრდის.

ცივსისხლიანობა - ამ თვისებას კი, ჩვენი ტემპერამენტიდან გამომდინარე, ალბათ ვერასოდეს შევიძენთ. თვით ისეთმა გამოცდილმა ფეხბურთელმა, ინგლისის პრემიერლიგის "ბაგაჟის" მქონე ხიზანიშვილმაც კი ვერ შეძლო ნერვების მითოკვა და ყოვლად უწყინარ სიტუაციაში მსაჯს თავი გააძევებინა, რაღა უნდა ვთქვა მენთეშაშვილზე, მაგრამ დასანანი ის არის, რომ ამ ტიპის უამრავ შეცდომაზეც ვერ ვსწავლობთ და მსგავს ლაფსუსებს ვიმეორებთ და ვიმეორებთ.

ყველაფერ ამის მიუხედავად, გერმანიასთან თამაშმა უცებ ისიც გამოაჩინა, რომ უკვე ნამდვილი ეროვნული ნაკრები გვყავს, რომელსაც პრობლემებიც აქვს, მაგრამ რომელიც გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა და არა გუნდი. გუნდი სამ თვეში და ექვს თვეში არ კეთდება. როდესაც გუნდის შენებას თითქმის ნულიდან იწყებ, როცა ფიფას რეიტინგში პირველ ასეულშიც არა ხარ, პრეტენზია არ უნდა გქონდეს, რომ სამ თვეში ისე მოემზადები, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტს დაამარცხებ. ჩვენი მაქსიმალისტური ბუნებიდან გამომდინარე, ბევრმა დაიჯერა, რომ საფრანგეთის დამარცხება შეგვეძლო. ბევრს ისიც სჯერა, რომ იტალიის დამარცხებაც შეგვიძლია. მარჩიელობა უმადური საქმეა. შეიძლება მოხდეს სასწაული და "სკუადრა აძურა" ბეჭებზე დავცეთ, მაგრამ რომ გავიმარჯვოთ კიდეც, ეს მხოლოდ სასწაული იქნება, მსოფლიო დონის სენსაცია და არა კანონზომიერება. იმისთვის, რომ საფეხბურთო სამყაროს საქართველოს ნაკრების დიდი გამარჯვებები არ გაუკვირდეს, სულ მცირე, ხორვატია მაინც უნდა გავხდეთ (დონეზეა საუბარი). ჩვენ კი ჯერ მხოლოდ შთაბეჭდილებას ვტოვებთ და მეტი არაფერი.

კლაუს ტოპმიოლერს კი ალბათ მომდევნო სამი დღის განმავლობაში საშინელი შაკიკი არ მოასვენებს. პირადად მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოიშოროს ჩვენი ნაკრების დამრიგებელმა საკადრო პრობლემებით გამოწვეული თავისტკივილი. ვინ შეცვლის კობიაშვილს? ვინ ითამაშებს არველაძის ან დემეტრაძის ნაცვლად? ვინ ჩაანაცვლებს ასათიანს? ყველა რგოლში ისეთი პრობლემაა, რომელზე მხოლოდ ფიქრიც კი თავგზას მიბნევს. კიდევ კარგი, ეს ტოპმიოლერის გადასაწყვეტია და არა ვინმე სხვისი. მოგეხსენებათ, "კოზა ნოსტრას" სიტყვასიტყვითი თარგმანია "ჩემი საქმე". თუ როგორ დაუხვდეს იტალიელებს, ტოპმიოლერის "კოზა ნოსტრაა". ჩვენმა "ტოპმწვრთნელმა" კი თავისი საქმე ნამდვილად იცის.

# ბურთები მიწაზე დაეშვნენ

გიგა გურასაშვილი

*ბევრი იფრინეს თუ ცოტა, მიწაზე დაეშვნენ. ონიშჩენკოს დაწუნებული ქართული ღვინოც საკმაოდ სვეს. დასრულდა საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი ჰაერნაოსნობაში. ეკიპაჟებმა გუდა-ნაბადი აიკრეს და საკუთარ საჰაერო სივრცეს მიაშურეს. გაისადაც გვეწვევიან - აქ მათ ღვინით სავსე კასრები, გემრიელი ქართული სამზარეულო და მეგობრები ელიან.*

6 ქვეყნის 12 გუნდი და ამდენივე საჰაერო ბურთი რამდენიმე დღის განმავლობაში დანავარდობდა საქართველოს საჰაერო სივრცეში. ცნობისმოყვარენი მონუსხულნი შეჰყურებდნენ უზარმაზარ ბურთებს. საქართველოს ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა რევაზ უთურგაურმაც დაგვაიმედა, ჩემპიონატი ტრადიციულია, ასე რომ, გაისადაც ვუმასპინძლებთო.

გუშინ, ნაშუადღევს, შარდენის 12-ში უჩვეულოდ ბევრი ადამიანი ირეოდა. ხალხმრავლობის მიზეზი ჩემპიონატის საზეიმო დახურვის ცერემონია გახლდათ. აქვე დააჯილდოვეს გამარჯვებულები და პრიზიორები, რომელთა ვინაობა ჩემპიონატის სპორტულ დირექტორს სერგეი ვინოგრადოვს გუშინდლამდე გასაიდუმლოებული ჰქონდა.

დიპლომისა თუ საჩუქრის გარეშე არავინ დარჩენილა. ჩემპიონატის ორგანიზატორებს უყურადღებოდ არც მედიის წარმომადგენლები დარჩენიათ, რომლებიც ტელევიზიით თუ პრესაში აშუქებდნენ ასპარეზობას. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ გაზეთი "24 საათი" და თქვენი მონა-მორჩილი, რომელიც დიპლომით ხელდამშვენებული დაბრუნდა რედაქციაში.

დაჯილდოების ცერემონია კი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, რადგან ორგანიზატორებსა და მასპინძლებს ცალკეული კატეგორიების მიხედვით საგანგებო პრიზები ჰქონდათ დაწესებული. პირველი ადგილი და ამ ადგილისთვის დაწესებული ჯილდო - პირველი ქართველი ჰაერნაოსნის ვლადიმერ გარაკანიძის სახელობის პრიზი გადაეცა უკრაინელ დენის ვოლოდინს. ჯილდო კი მართლაც სანიმუშო გახლდათ - თეთრი ნაბადი და ფაფახი, რომელიც უკრაინელმა იქვე მოირგო. საერთოდ, უკრაინელებმა ერთგვარი ბენეფისი მოიწყვეს. მოვლენებს გავუსწრებ და გეტყვით, რომ "კახეთის თასიც" უკრაინელებს დარჩათ. პირველ ადგილზე გასული ჰაერნაოსნისთვის მცხეთა-მთიანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს ვასილ მაღლაფერიძეს "ვეფხისტყაოსანიც" ჰქონდა დაწესებული, რომელიც პირადად გადასცა კიდეც.

მეორე ადგილი რუსმა დმიტრი გორბაჩოვმა დაიკავა. რუსებმა სხვა მნიშვნელოვანი რამეც მოიგეს - 100-ლიტრიანი კასრი, რა თქმა უნდა, ღვინით სავსე, რომელიც, ონიშჩენკოს აკრძალვის მიუხედავად, იქვე შეუსვამთ. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ვიკითხე, 100 ლიტრ ღვინოს რა უქნესმეთქი, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მხრები აიჩეჩეს.

საქართველოსთვის გადაკეტილი საჰაერო სივრცის მიუხედავად, რუსმა ჰაერნაოსნებმა პრინციპულობა გამოიჩინეს და მაინც ჩამოფრინდნენ. ვასილ მაღლაფერიძემ საგანგებო მადლობა გადაუხადა ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს.

მესამე ადგილი დაიკავა იაპონელმა ტეცუჰირო სუმ, რომელმაც "ოქროს საწმისიც" დაისაკუთრა. საქართველოს ჰაერნაოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯილდო დააზღვია - წარმოუდგენელია, ეროვნული საგანძური სხვა ქვეყანაში გაემგზავროსო და იაპონელს "ოქროს საწმისის" ნაცვლად 1000 დოლარის ღირებულების ოქროს მონეტა გადასცა, რომელზეც ამოტვიფრული იყო "ოქროს საწმისი".

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ უკრაინის, რუსეთის, ჩეხეთის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიისა და საქართველოს გუნდები. თუ ვინმემ შეიცხადა, კი მაგრამ, ბრიტანელებმა რა ქნესო, გეტყვით. მართალია, ბრიტანელი ფილ დანინგტონი მსოფლიოს 86-გზის რეკორდსმენია, მაგრამ... ალბიონელები რეკორდსმენები არიან და არა სპორტსმენები. მათ სხვა რამ აქვთ საზრუნავი.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა (ბოლოდან მოვყვეთ): ვაცლავ შაგინიანის ეკიპაჟმა (საქართველო) მეშვიდე ადგილი დაიკავა, რევაზ უთურგაირმა - მეექვსე, მიხაელ სუხმა (ჩეხეთი) - მეხუთე, ალექსეი კორნიაევმა (რუსეთი) - მეოთხე.

# იაპონიამ ალონსო ჩემპიონობასთან "სახიფათოდ" დააახლოვა

გიგა გურასაშვილი

*საფორმულე სამყაროს ბოლოსწინა ეტაპმა ფაქტობრივად გადაწყვიტა ჩემპიონის ბედი. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა და მოქმედმა ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ შანხაის ავტოდრომზე მრბოლთა პირად დავაში ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს. იაპონიის დიდი პრიზის შემდეგ კი "რენოს" ესპანელმა პილოტმა დაიბრუნა ერთპიროვნული ლიდერის პოზიცია. წინ ბრაზილიის დიდი პრიზი და ინტერლაგოსის ტრასაა. ჩემპიონის გვირგვინის დადგმამდე 13 დღეა.*

თითქოს უნგრეთისა და ჩინეთის დიდ პრიზებს უნდა განესაზღვრა, ვინ გახდებოდა მრბოლთა და კონსტრუქტორთა შორის 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი, მაგრამ შუმახერმა ალონსოსთან უნგრეთის დიდ პრიზზე 11-ქულიანი ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირა, ჩინეთის დიდ პრიზზე კი სულაც გაუთანაბრდა. სუძუკას ტრასაზე სკუდერიელთა ბოლიდს ძალა აღარ ეყო - ძრავა დაეწვა.

რბოლის წინ თითქოს ყველაფერი იტალიური საჯინიბოს სასარგებლოდ იყო. სკუდერიელებმა კვალიფიკაციაზე მოწინავე პოზიციები დაიკავეს, მათმა უმთავრესმა კონკურენტებმა, რენოელებმა - მესამე რიგი: ალონსო მეხუთე იყო, ხოლო ფიზიკელა - მეექვსე. ესპანელსა და იტალიელს პირველ პოზიციებამდე გზას ულობავდნენ ტოიოტელები იარნო ტრული და რალფ შუმახერი. აღარაფერს ვამბობთ შუმის თანაგუნდელ ფელიპე მასაზე, რომელიც პირველი იდგა რიგში.

ერთი სიტყვით, შუმახერსა და "ფერარის" ყველა პირობა ჰქონდათ პირველობისთვის. მოვლენებიც ისე განვითარდა, როგორც ამას ფერარელები ისურვებდნენ. შუმახერმა თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა - თანაგუნდელ მასას გაუსწრო, ალონსომ კი სტარტზევე მეხუთიდან მესამე პოზიციაზე გადაინაცვლა და სკუდერიელებს ამოუდგა ზურგს უკან. შუმახერს საკმაო ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ ესპანელის შეტევას გამკლავებოდა. ლიდერსა და უახლოეს მდევარს შორის სხვაობა ხუთი წამიც კი იყო, მაგრამ მოგვიანებით გერმანელს მთელი ჯაფა წყალში ჩაეყარა - რბოლის დასრულებამდე 17 წრით ადრე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ძრავამ უმუხთლა (უკანასკნელად "ფერარის" ხუთი წლის წინათ უმტყუნა ძრავამ).

ბუნებრივია, ასეთ შესაძლებლობას ალონსო ხელიდან არ გაუშვებდა და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა. მეორემ დაასრულა რბოლა ფელიპე მასამ. მესამე იყო ჯანკარლო ფიზიკელა, რომელმაც უფრო გაამყარა "რენოს" ლიდერობა კონსტრუქტორთა დავაში (ფრანგული საჯინიბო 9 ქულით უსწრებს "ფერარის", რომლის აღმოფხვრა სკუდერიელთათვის თითქმის წარმოუდგენელია).

ერთი სიტყვით, ალონსოს ერთი ნაბიჯი აშორებს ორგზის ჩემპიონობისგან. ახლა ესპანელის ერთადერთი საზრუნავი ის არის, რომ ბრაზილიის დიდ პრიზზე პირველ რვა მრბოლს შორის მოხვდეს. უფრო ზუსტად, ჩემპიონობისთვის ერთი ქულაც ჰყოფნის, რაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეს, თუ, რა თქმა უნდა, ის არ დაემართა, რაც შუმახერის ბოლიდს.

მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, ქვედა რიგებში დაკავებულმა პოზიციებმა აქტუალობა დაკარგა. ახლა ისაა საინტერესო, ვის დარჩება პირველი ადგილი - "რენოს" ახალგაზრდა მრბოლს თუ "ფერარის" ვეტერანს, რომელიც წლეულს კარიერას ამთავრებს.

## მოკლედ

### კუნი ნაკრებს დატოვებს

შვეიცარიის ეროვნული გუნდის თავკაცმა კობი კუნმა დაადასტურა პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, იგი ნაკრებს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შემდეგ დატოვებს.

"მეუღლეს პირობა მივეცი, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შვეიცარიის ნაკრებს აღარ ვუხელმძღვანელებ", - განაცხადა კუნმა.

### "ასტონ ვილამ" დეფოს დაადგა თვალი

ბრიტანული პრესის ცნობით, "ასტონ ვილას" თავკაცმა მარტინ ო`ნილმა გუნდში "ტოტენჰემისა" და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელის ჯერმენ დეფოს გადაბირება მოისურვა. ბირმინგემის კლუბი ინგლისელი ფორვარდის შეძენას იანვრისთვის გეგმავს და მის სანაცვლოდ ლონდონელებს 7 მილიონ ევროს სთავაზობს.

### არაგონესი წასვლას არ ჩქარობს

ესპანეთის ნაკრების თავკაცის ლუის არაგონესის განცხადებით, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, ის თანამდებობის დატოვებას არ ჩქარობს.

"ჩემი მომავალი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასა და ნაწილობრივ პრესაზეა დამოკიდებული. მართალია, ჩვენს ანგარიშზე ჯერ მხოლოდ ერთი გამარჯვება და ორი მარცხია, მაგრამ წინ კიდევ რამდენიმე მატჩი გველის, რომელშიც აუცილებლად მოვიპოვებთ საჭირო ქულებს", - განაცხადა ესპანელმა სპეციალისტმა.

შაბათს შვედებთან 0:2 წაგება არაგონესის გუნდისთვის ზედიზედ მეორე საშინაო მარცხი გამოდგა ისლანდიასთან (2:3) წაგების შემდეგ.

### სპალეტის "რომაში" ტოვებენ

მომდევნო კვირიდან იტალიური "რომას" ხელმძღვანელობა ერთბაშად რამდენიმე კონტრაქტს გაახანგრძლივებს. პირველ რიგში, ეს დედაქალაქური კლუბის თავკაცს ლუჩანო სპალეტის ეხება. სავარაუდოდ, "მგლების" მწვრთნელს გუნდში 2010 წლამდე დატოვებენ. 2011 წლამდე შესთავაზებენ კონტრაქტის გახანგრძლივებას სამ ფეხბურთელს - მანსინის, მექსეშს და კივუს.

### ერიქსონი "ვესტ ჰემს" ირჩევს

ბრიტანული პრესის ცნობით, ინგლისის ნაკრების ექსთავკაცი სვენ-გორან ერიქსონი სულ მალე შესაძლოა "ვესტ ჰემ იუნაიტედის" სათავეში ვიხილოთ. რამდენიმე დღის წინ შვედი სპეციალისტი შეხვდა აგენტს პინი ზახავს, რომლის წყალობითაც "ვესტ ჰემში" ორი არგენტინელი - კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო თამაშობენ. გავრცელებული ინფორმაციით, ერიქსონისა და ზახავის შეხვედრის საბაბიც სწორედ შვედის "ვესტ ჰემში" მისვლა იყო.

### შევა შოტლანდიასთან ითამაშებს

უკრაინის ნაკრების თავკაცის ოლეგ ბლოხინის განცხადებით, ანდრეი შევჩენკო ნაკრებს შოტლანდიასთან შეხვედრაში დაეხმარება.

"სამწუხაროდ, გაციების გამო ანდრეი იტალიაში ვერ ჩამოვიდა. მას მაღალი სიცხე ჰქონდა. თუმცა, როგორც ექიმები გვაიმედებენ, შევა ოთხშაბათის მატჩისთვის სრულად გამოჯანმრთელდება და შოტლანდიელებთან შეხვედრაში ნაკრების ღირსებას დაიცავს", - განაცხადა ბლოხინმა.

### კრუზი გამოჯანმრთელდა

იტალიური პრესის ცნობით, მილანის "ინტერის" თავდამსხმელი ხულიო რიკარდო კრუზი ტრავმის შემდეგ სრულად გამოჯანმრთელდა.

"მართალია, ტრავმა აღარ მაწუხებს, მაგრამ ფორმის აღსადგენად რამდენიმე დღე კიდევ მჭირდება. სეზონი ახალი დაწყებულია და ახლა მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ადგილზე ვართ. მთავარია, რა იქნება სეზონის ბოლოს", - განაცხადა კრუზმა.

### "არსენალი" რიბერის უმიზნებს

გავრცელებული ინფორმაციით, ლონდონის "არსენალმა" თითქმის მიაღწია წინასწარ შეთანხმებას ფრანგულ "მარსელთან" ნახევარმცველის ფრენკ რიბერის შეძენის თაობაზე.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ 23 წლის ფრანგი ფეხბურთელით ბევრი ევროპული გრანდი დაინტერესდა, თუმცა ყველაზე აქტიური მაინც "მეთოფეები" გამოდგნენ, რომლებიც ფეხბურთელის სანაცვლოდ 17,5 მილიონ ფუნტს იხდიან.

"მარსელთან" კონტრაქტი რიბერის 2010 წლამდე აკავშირებს. გარდა "არსენალისა", "გალათასარაის" ყოფილი ნახევარმცველით მიუნხენის "ბაიერნი" და მადრიდის "რეალი" არიან დაინტერესებულნი.




სიახლე!

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის კომპლექსი

ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## პლანეტის საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლები

ბრიტანულმა გამოცემა The Times-მა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი მსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგის დადგენა გახლდათ. გამოკითხვაში 88 ქვეყნის სასწავლო დაწესებულების 1300 წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებმაც საუკეთესო უნივერსიტეტები იმ სფეროებში დაასახელეს, რომლებშიც კომპეტენტურნი იყვნენ.

რეიტინგში პირველი ადგილი ჰარვარდის უნივერსიტეტმა დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მისი ფინანსური ფონდი 23 მილიარდ დოლარს შეადგენს. მეორეზე კემბრიჯი, მესამეზე კი ოქსფორდი გავიდა. კიდევ ერთი ბრიტანული სასწავლებლის - ლონდონის საიმპერიო კოლეჯის გარდა ათეულში ყველა დარჩენილი ადგილი ამერიკულმა უნივერსიტეტებმა დაიკავეს. ესენი გახლავთ: იელი, სტენფორდი, კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, კალიფორნიის უნივერსიტეტი და პრისტონი.

სულ ასეულში 33 ამერიკული, 15 ბრიტანული, 7-7 ავსტრალიური და ახალზელანდიური, 5-5 ფრანგული და შვეიცარიული და 3-3 ჰონგკონგური, იაპონური, კანადური, და გერმანული უნივერსიტეტი შევიდა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ასეულში მხოლოდ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი შევიდა, რომელმაც 93-ე ადგილი დაიკავა.

## რა პრობლემები აქვს მცირე ბიზნესს

## საკვები პროდუქტები შესაძლოა 20-25 პროცენტით გაძვირდეს

B2

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2957 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9870 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4735 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7390 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8120 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1277 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2958 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3034 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2054 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4097 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3344 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1652 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1474 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2592 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1902 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2558 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4108 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5481 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1447 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4019 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3154 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2621 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5617 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6254 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0649 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0980 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4560 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5139 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4147 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4604 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8058 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0138 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1364 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4432 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2382 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3876 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0784 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2200 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2234 |




# "ჰავალას" საფრთხე

## ელის თუ არა რუსეთს ფულის იატაკქვეშა გადარიცხვის სისტემების აღმოცენება

გიორგი ლალიაშვილი
*საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი*

*უკანასკნელი დღეების განმავლობაში, რუსეთ-საქართველოს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობის ფონზე, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა საქართველოს წინააღმდეგ შემოიღო რამდენიმე ეკონომიკური სანქცია. საქართველოსთვის ჩაიკეტა რუსეთის საჰაერო სივრცე, შეწყდა საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლა. ამას გარდა, მოსალოდნელია ფინანსური ბერკეტების ამოქმედებაც, კერძოდ, რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების შეჩერება. ამ ნაბიჯის მიზანი საქართველოს ეკონომიკისათვის დამატებითი ზიანის მიყენებაა, თუმცა როგორც მსოფლიოს მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, ფინანსური შეზღუდვები უფრო ხშირად ვერ აღწევს მთავარ მიზანს - შეაჩეროს თანხების მოძრაობა ქვეყნებს შორის. სამაგიეროდ, მას უარყოფითი შედეგები მოაქვს თვით ამ შეზღუდვების შემომღები მხარისათვის.*

**ფულადი ტრანსფერტების ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევის ერთადერთი ეფექტური მექანიზმი საბანკო მომსახურების გაიაფება და ხელმისაწვდომობის გაზრდაა.**



B4

# წელს მანდარინის გასაღებას პრობლემა არ ექნება

ემზარ დიასამიძე

*ციტრუსის მოსავალს გასაღების პრობლემა არ ექნება - ამის გარანტად ხელისუფლება და ბიზნესმენები მოსავლის მოსალოდნელ სიმცირეს და კარგ ხარისხს ასახელებენ. ოფიციოზი დარწმუნებულია, რომ ნოემბრის შუა რიცხვებში აჭარაში ციტრუსის გადამამუშავებელი ორი მსხვილი ქარხანა ამოქმედდება.*

**ევროპულ ბაზარზე ქართული მანდარინის გასვლას ხელს ჯი-ეს-პის პროექტის ამოქმედებაც შეუწყობს. ამ პროექტით საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში, კანადაში, შვეიცარიასა და იაპონიაში საქონელი მინიმალური საბაჟო გადასახადებით შევა.**



B2

# საით გაიწევს დრაკონისგან შევიწროებული დათვი

თორნიკე შარაშენიძე
*ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

### ჩრდილოვანი დრაკონის ექსპანსია

*რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში პირველი ადგილი საქართველოს თემას უჭირავს. რუსულ ცნობიერებაში მტრის ხატის ნიშას ისევ ამერიკა იკავებს. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და რუსეთის შემადგენლობაში აღარ შედის, ხოლო ამერიკა ზესახელმწიფოა. მაგრამ რატომღაც მოსკოვი, პირველ რიგში, მის საზღვრებს მიღმა იყურება და ავიწყდება ის უდიდესი პრობლემები, რომელიც მისსავე ტერიტორიაზე აქვს. ეს პრობლემა უცხო სახელმწიფოს მაფიოზური კლანების მიერ რუსეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის მიტაცებაა.*

**ჩინური მაფია იოლად პოულობს საერთო ენას რუს კოლეგებთან, რაც მას მუშაობას კიდევ უფრო უადვილებს. ბევრი ჩინელი რუსული სახელით ფორმდება და თავის ბიზნესსაც უფრო იოლად აფართოებს. სწორედ ასე ხდება ხე-ტყის დიდი ოდენობით გატანა ჩინეთში. ჩინელებმა კარგად აითვისეს რუსი მეწარმეებისათვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურებები, როგორიცაა გადასახადებისათვის თავის არიდება, რისი წყალობითაც მათი ბიზნესი კიდევ უფრო ძლიერდება.**



B4

### პარლამენტში მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვა იწყება

საპარლამენტო კომიტეტები ხვალ, დილიდან 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას იწყებენ. კომიტეტებში სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი მოსმენით განხილვა 17 ოქტომბერს დასრულდება. 17-18 ოქტომბერს კი ბიუჯეტის პროექტს ხუთივე საპარლამენტო ფრაქცია განიხილავს. 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი საქართველოს მთავრობამ პარლამენტში რეგლამენტის ვადის შესაბამისად, 1 ოქტომბერს შეიტანა.

პირველი მოსმენით ბიუჯეტის პროექტის განხილვის ვადა 20 ოქტომბერს იწურება. სახელმწიფო ბიუჯეტი 3 მილიარდ 700 000 000 შეადგენს. კანონპროექტს თან ახლავს მთავრობის პირველი ნახევრის ანგარიში და პრეზიდენტის ინიციატივით შესული კანონპროექტი ჯარისკაცების რიცხოვნობის ზრდის შესახებ. პარლამენტი ამ კანონპროექტს დაჩქარებული წესით განიხილავს. კანონპროექტი ჯარისკაცების რაოდენობის 26000-დან 28000-მდე გაზრდას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

### სანატორიუმი "ლიკანი" იყიდება

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სანატორიუმ "ლიკანზე" აუქციონი გამოაცხადა. ბორჯომში მდებარე ობიექტის აქციათა 99,4 პროცენტი 1 მილიონ 800 ათას დოლარად შეფასდა. სანატორიუმის ქონებას სამკურნალო და ბალნეოლოგიური კორპუსები, საწყობი, მაღაზია და საბოილერო შეადგენს. საპრივატიზაციო ობიექტის საწესდებო კაპიტალი 2 160 670 ლარია. აუქციონი "ლიკანის" გასაყიდად 9 ნოემბერს ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთი ვაჭრობისა და სამიგრაციო წესების დარღვევისთვის სპეციალურ დოკუმენტს ამზადებს

რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, 1-ელ ნოემბრამდე მოამზადებს დოკუმენტს, რომელიც დაარეგულირებს საბითუმო და საცალო ბაზრებზე ვაჭრობას მიგრაციული სიტუაციის მოწესრიგების გათვალისწინებით.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის 5 ოქტომბრის დავალების შესასრულებლად განკარგულებას ხელი მოაწერა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხაილ ფრადკოვმა.

დოკუმენტი განსაზღვრავს ვაჭრობისა და სამიგრაციო წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულ სანქციებს.

გარდა ამისა, ფედერაციის სუბიექტებს დაევალათ, გაატარონ დამატებითი ღონისძიებები საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროში რუსეთის საქონელმწარმოებელთა და მოსახლეობის ინტერესების დასაცავად. მიხაილ ფრადკოვმა მოსთხოვა შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა და ჯანმრთელობისა და სოციალური განვითარების სამინისტროების ხელმძღვანელებს, 1 ნოემბრამდე მოამზადონ ნორმატიული აქტები რუსეთის პრეზიდენტის განკარგულების შესასრულებლად. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ევროკომისია სატრანსპორტო უსაფრთხოების ამაღლებაზე ზრუნავს

ევროკომისიის ჯანმრთელობის დაცვის კომისია, კავშირის ქვეყნებში სატრანსპორტო უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, სპეციალურ დოკუმენტს ამუშავებს. დოკუმენტი ევროკავშირის ქვეყნებს უსაფრთხოების ზომების გამკაცრებისკენ მოუწოდებს. ეს პუნქტი მაგისტრალების მაღალკვალიფიციურ დონეზე მოდერნიზებას ითვალისწინებს. გადამზიდავებს კი საკუთარი ავტომობილების თანამედროვე სარკეებით აღჭურვა ევალება.

ევროკავშირის ექსპერტთა განმარტებით, ეს ღონისძიება სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლების გამო მიიღეს. ევროკომისიის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებში, ავტოსაგზაო შემთხვევების გამო, ყოველწლიურად 41 ათასი ადამიანი იღუპება, ხოლო მილიონ 700 ათასი სერიოზულ ტრამვებს იღებს.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პროგრამის სრულყოფილად ამოქმედების შემდეგ, ევროკავშირში, ავარიების გამო, სიკვდილიანობა 2010 წლისთვის საგრძნობლად შემცირდება. ექსპერტები ამ განცხადებას ფსიქოლოგების დასკვნების საფუძველზე აკეთებენ - ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ აგიტაცია-პროპაგანდას უფრო მეტი დადებითი შედეგები მოაქვს, ვიდრე წარწერას სიჩქარის ან სხვა რაიმე შეზღუდვის შესახებ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სარეკრეაციო ზონაში მშენებლობის ნებართვას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასცემს

უახლოეს დღეებში პარლამენტს "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები გადაეგზავნება. როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილე კახა დამენია განმარტავს, კანონში შესატანი ცვლილების მიხედვით, სარეკრეაციო ზონაში მშენებლობის ნებართვებს ამიერიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასცემს.

**"სარეკრეაციო ზონაში, უფრო კონკრეტულად კი, გუდაურში, ბაკურიანში, ურეკსა და ბორჯომში მშენებლობის ნებართვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნაცვლად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასცემს,"** - განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საფონდო ბირჟაზე 3 მილიონ 428 ათას 415 ლარის ღირებულების აქცია გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამართული ვაჭრობის შედეგად, სექტემბერში 16 სახეობის სააქციო საზოგადოების აქციასა და ობლიგაციაზე 632 გარიგება განხორციელდა.

საფონდო ბირჟის მონაცემებით, სექტემბერში გასხვისდა 806509 აქცია, რომლის საერთო ღირებულებამ 3 მილიონ 428 ათას 415 ლარი შეადგინა. სექტემბერში განხორციელებული საბირჟო გარიგებებიდან, ბირჟაზე საფონდო ბირჟის მონაცემებით, აღსანიშნავია სს "საქქალაქმშენპოექტის" აქციებზე დადებული გარიგება.

როგორც საფონდო ბირჟაზე განაცხადეს, გასხვისდა სააქციო საზოგადოების აქციათა 97,52%, რომლის საერთო ღირებულებამ 423 ათას 523 ლარი შეადგინა. ერთი აქციის ღირებულება 1,75 ლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# წელს მანდარინის გასაღებას პრობლემა არ ექნება

პირველი გვერდიდან



რეგიონში წელს 50 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალს ელოდებიან (შარშან ამ მაჩვენებელმა 120 ათასს გადააჭარბა). მანდარინის შესასყიდი ფასი კი, საშუალოდ, 35-40 თეთრი იქნება (შარშან 1 კგ მანდარინის შესასყიდი ფასი 40 თეთრიდან 10-15 თეთრამდე დაეცა).

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წელს ნოემბრის თვეში ციტრუსის გადამამუშავებელი ორი ქარხანა ამუშავდება, რაც ამ დარგში არსებულ პრობლემებს ერთხელ და სამუდამოდ დაუსვამს წერტილს.

ქარხანა "ნარინჯს" (ხელვაჩაური) 10 ათასი ტონა მანდარინისაგან კონცენტრატის მიღება, ხოლო 5 ათასი ტონა მანდარინის - ხილის სახით გადამუშავება ჰქონდა დაგეგმილი. ბოლო ხანებში ქარხანამ გეგმები შეცვალა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის **დონარა სურმანიძის** განცხადებით, წარმოების ხელმძღვანელობამ კონცენტრატის გასაღების ბაზარი ვერ მოძებნა, ამიტომ მისი დამზადებისგან თავს იკავებს: "ქარხანაში მანდარინს ევროხარისხის სასაქონლო სახე მიეცემა."

გაცილებით ძლიერი ქარხანა შენდება ქობულეთში. ქარხნის მეპატრონე, ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვი 60 ათასი ტონა მანდარინის გადამუშავებას აპირებს. აქედან ნახევარს - არასტანდარტულ ნაყოფს - კონცენტრატისა და წვენების სახით გადაამუშავებს. "ხელმძღვანელობა ამბობს, რომ 20 ათას ტონას, ხილის სახით, ევროპის ბაზარზე გაიტანს," - აცხადებს სურმანიძე. მისივე თქმით, ქარხნის პოტენცია იმდენად დიდია, რომ აჭარაში მოწეული ნაყოფი საკმარისი არ იქნება და ციტრუსს გურიის რეგიონიდანაც შეისყიდიან.

ქობულეთის ქარხნის მშენებლობა ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა. ქობულეთის გამგებლის მოადგილეს **თენგიზ ზოიძეს** მის ამოქმედებაში ეჭვი ეპარება: "ქარხნის ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ ნოემბრის შუა რიცხვებში წარმოება ამოქმედდება, მაგრამ, ვფიქრობ, დარჩენილ მცირე დროში ეს ვერ მოესწრება. თუმცა წელს, მანდარინის მოსავლის სიმცირისა და კარგი ხარისხის გამო, გასაღების პრობლემა ისედაც არ იქნება".

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში ციტრუსის საკითხთან დაკავშირებულ თათბირზე ბიზნესმენებიც მიიწვიეს. ისინი ციტრუსის რეალიზაციას ტრადიციულ ბაზრებზე გეგმავენ.

ბიზნესმენ **ნური ძნელაძის** განცხადებით, ქართული მანდარინი, ძირითადად, უკრაინის ბაზარზე გაიყიდება, რომელსაც, შეიძლება, ყაზახეთის ბაზარიც სერიოზულად წაეშველოს. რაც შეეხება ევროპის ბაზარს, მისი ათვისება ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა: "ამ საკითხთან დაკავშირებით რიგაში ვიყავი. იქ ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება არის, მაგრამ ფართო არჩევანიც აქვთ - მანდარინი შედის მაროკოდან, საბერძნეთიდან, ესპანეთიდან, ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან. თანაც, მთელი წლის განმავლობაში."

ევროპულ ბაზარზე ქართული მანდარინის გასვლას ხელს ჯი-ესპის პროექტის ამოქმედებაც შეუწყობს. ამ პროექტით საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში, კანადაში, შვეიცარიასა და იაპონიაში საქონელი მინიმალური საბაჟო გადასახადებით შევა.

"კონკურენციის გაწევის ერთადერთი ბერკეტი დაბალი ფასია. გვინდა, პროდუქციას სასაქონლო სახეც მივცეთ, ამისათვის ჩაქვში დამფასოებელ ქარხანას ვაშენებთ. ჩვენი ფირმა 10 ათასი ტონა მანდარინის გადაზიდვას აპირებს," - აცხადებს ძნელაძე. მისი თქმით, წელს მანდარინის შესასყიდი ფასი, საშუალოდ, 35-40 თეთრი იქნება.

# რა პრობლემები აქვს მცირე ბიზნესს

## უკანონოდ დაკისრებულ ჯარიმას მეწარმეთა ოთხი პროცენტი ასაჩივრებს

ნინო ნატროშვილი

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა მოვლენებმა ბევრი მოქალაქე აიძულა, გადარჩენის გზა ინდივიდუალურ მეწარმეობაში და მცირე ბიზნესში ეძებნა. ბუნებრივია, მათ უმრავლესობას საკუთარი საქმის დაწყება სესხის აღებით მოუხდა.

დღეს, როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპტიმიზაცია მიმდინარეობს და ბევრი ადამიანი სამსახურის გარეშე რჩება, მცირე სესხები მათთვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ერთ დროს უმუშევართა გარკვეული ნაწილი დღეს მცირე მეწარმეობის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. ისინი, ძირითადად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა და ინდივიდუალური მეწარმეები არიან. იმისათვის, რომ ამ კატეგორიის მცირე მეწარმეებს საარსებო მინიმუმზე მეტი შემოსავალი ჰქონდეთ, საჭიროა, მათი მცირე ბიზნესის გაფართოება და სრულყოფა, მაგრამ საქართველოს ბაზარზე ფინანსური პროდუქტების სიმწირე და ტრადიციულ საბანკო კრედიტებზე ხელმიუწვდომლობა ამას თითქმის შეუძლებელს ხდის.

მცირე და საშუალო ბიზნესი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის კუთხეებს წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკაში კი საშუალო და მცირე ბიზნესის წილი არის 10 პროცენტი, დსთ-ს სივრცის ეკონომიკაში - 40 პროცენტი. მცირე და საშუალო ბიზნესი აჯანსაღებს ეკონომიკას, ხოლო ნაკლები ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან და კონტროლი ხელს უწყობს მის განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მუდმივად საუბრობს ბიზნესგარემოს ცვლილებაზე და აცხადებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ვითარდება, ამ სექტორის წარმომადგენლებისათვის პრობლემათა სპექტრი კვლავ არ შეცვლილა. მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებელი საქართველოში 1000 სულ მოსახლეზე კვლავ დაბალია.

რა პრობლემები აქვს მცირე და საშუალო ბიზნესს? საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, ამ მიმართულებით, მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევა განახორციელა.

გამოკითხული მეწარმეების 59 პროცენტი აცხადებს, რომ მათ ბიზნესს, ძირითადად, მაღალი გადასახადები აფერხებს, 39 პროცენტის აზრით შემაფერხებელ ბარიერად დროში გაწელილი ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები რჩება, 17 პროცენტი კი პრობლემად ლიცენზირებას ასახელებს.

იმის მიუხედავად, რომ ლიცენზირება გამარტივდა, საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია მოხდა და მაინსპექტირებელ ორგანოთა რაოდენობა 46-დან 27-მდე შემცირდა, ინსპექტორის ვიზიტი მეწარმესთან კვლავ "ინკვიზიტორის" სტუმრობასთან ასოცირდება.

ექსპერტების შეფასებით, საგადასახადო ინსპექტორები სჯიან დამრღვევებს, მაგრამ დარღვევების აღმოსაფხვრელად არაფერს აკეთებენ. გამოკითხული მეწარმეების მხოლოდ 4 პროცენტი ბედავს დაკისრებული ჯარიმის გასაჩივრებას. ექსპერტების მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ არ გაასაჩივრა მეწარმემ ინსპექტორის მიერ დაკისრებული ჯარიმა, რამდენიმე მიზეზი სახელდება: პირველ ადგილზეა უარყოფითი ბიზნესგარემო, რასაც გამოკითხული მეწარმეების 60 პროცენტი ეთანხმება. მეწარმეთა 45 პროცენტი კი შიშობს, რომ საგადასახადოს მიერ დაკისრებული ჯარიმის გასაჩივრებამ, შესაძლოა, მის ბიზნესს უარყოფითი შედეგი მოუტანოს. მეწარმეთა 30 პროცენტი კი შემაფერხებელ პირობად სასამართლო პროცესის ხანგრძლივობას ასახელებს. ეს პრობლემა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ყველაზე მწვავედ მას შემდეგ დადგა, რაც არბიტრაჟი გაუქმდა. რა ახდენს ზეგავლენას მცირე და საშუალო ბიზნესზე? ექსპერტები გავლენის სფეროებს შიდა და გარე ფაქტორებად ყოფენ. ამ შემთხვევაში საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა - კერძოდ, რა მასშტაბი აქვს ინფლაციას და დევალვაციას, როგორია მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების განვითარება. ასევე გასათვალისწინებელია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, სახელმწიფოს სტარატეგია და პრინციპები, კრიმინალის დონე, ქვეყანაში ბიზნესისთვის შექმნილი გარემო, ფინანსურ სახსრებთან ხელმისაწვდომობა და სასამართლო სისტემის მდგომარეობა.

საგულისხმოა, რომ ჩვენს ქვეყანას ძალზე მწირი გამოცდილება აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითრების კუთხით. ასევე პრობლემად რჩება პროფესიული ცოდნისა და კადრების ნაკლებობა, ფინანსური რესურსების სიძვირე და ხელმიუწვდომლობა.

ექსპერტების შეფასებით, ამ სექტორის განვითარებას ხელს უშლის არასტაბილური და დაუხვეწავი საკანონმდებლო გარემო, ბიზნესის წარმოების პროცედურული სირთულე და, გარკვეულწილად, პოლიტიკური არასტაბილურობა.

# მსხვილ ბიზნესში 176 ათას 633 ადამიანია დასაქმებული

მსხვილ ბიზნესში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 176633 პირი (ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 51.6 პროცენტი) შეადგინა, რომელთაგან 39,2 პროცენტი ქალია, ხოლო 60,8 პროცენტი - კაცი.

დასაქმებულთაგან დაქირავებულია 173188 პირი. მსხვილ საწარმოებში მთლიანმა დანახარჯებმა პერსონალზე 230,7 მილიონი, ხოლო საშუალო თვიურმა ხელფასმა - 365,0 ლარი შეადგინა (მათ შორის, ქალების - 241,2 ლარი).

საქმიანობის სახეების მიხედვით მსხვილ საწარმოთა მთლიან ბრუნვაში დომინირებს ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი. და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით: ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი - 38,6 პროცენტი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 22,6 პროცენტი, დამამუშავებელი მრეწველობა - 15,6 პროცენტი, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება - 8,5 პროცენტი, მშენებლობა - 7,3 პროცენტი.

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას. საქმიანობის სახეების მიხედვით, მსხვილ ბიზნესში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში ლიდერობს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, და სხვა სექტორები, შემდეგი თანმიმდევრობით: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 24,7 პროცენტი, დამამუშავებელი მრეწველობა - 16,1 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება - 15,5 პროცენტი, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება - 12,4 პროცენტი, მშენებლობა - 1,0 პროცენტი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# საკვები პროდუქტები შესაძლოა 20-25 პროცენტით გაძვირდეს

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ბონდო ზარნაძე მიიჩნევს, რომ რუსეთიდან საქართველოსთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის გაძვირების შემთხვევაში, საკვები პროდუქტები, სულ ცოტა, 20-25 პროცენტით გაძვირდება.

როგორც ცნობილია, კომპანია "გაზპრომმა" უკვე გააკეთა განცხადება 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის 250 დოლარამდე გაძვირების შესახებ. ამჟამად კი საქართველო 1000 კუბურ მეტრ გაზს რუსეთიდან 110 დოლარად იღებს.

**"კომპანია "გაზპრომი" გაზის საფასურს, ფაქტობრივად, აორმაგებს, ეს კი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაძვირებას გამოიწვევს, რადგან თბილისსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში ეს პროდუქტები, ძირითადად, ავტოტრანსპორტით შეაქვთ. ავტოტრანსპორტში კი ბუნებრივი აირი საწვავად ფართოდ გამოიყენება,"** - განაცხადა ბონდო ზარნაძემ. მისივე თქმით, პროდუქტების გაძვირების მიუხედავად, პანიკაში არ უნდა ჩავვარდეთ. პანიკა მუდამ ხელს უშლის პრობლემის მოგვარებას. მთავარია, აქედანვე დავიწყოთ მუშაობა ზამთრისთვის ალტერნატიული წყაროების მოძიებაზე.

ექსპერტი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ მთავარია, რამდენად იაფად მოიძიებს ქვეყანა ბუნებრივი აირის ალტერნატიულ წყაროს.

**მედიანიუსი**

### რუსეთში ქართული და მოლდავური წარმოების ხილის წვენების შემოწმება დაიწყო

რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშენკოს განცხადებით, რუსეთში მოლდოვადან და საქართველოდან იმპორტირებული ხილის წვენების და მასალების შემოწმება დაიწყო. "ხილის 2006 წლის მოსავლის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ დაწყებულია ექსპერტული შემოწმება საქართველოდან და მოლდავეთიდან რუსულ ბაზარზე შემოსული წვენების, ასევე იმ პროდუქტების, საიდანაც აღნიშნული სითხეები მზადდება," - განაცხადა ონიშენკომ. მისი განმარტებით, რუსეთის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური, შემოწმების შედეგად, ბაზარზე არალეგალური ხილის წვენების და მასალების რაოდენობას დაადგენს. **ჯიბისი**

### საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე მეღვინეებს შეხვდა

საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახა ბაინდურაშვილი მეღვინეებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ჩამოსასხმელი ღვინის წარმოებასა და მის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. აღინიშნა, რომ ამ სფეროში არსებულ მრავალ პრობლემასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა დაეთმოს. როგორც საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახა ბაინდურაშვილმა აღნიშნა: **"ჩამოსასხმელი ღვინის ადმინისტრირებაში კვლავ ბევრი პრობლემაა, რომელიც აუცილებელ გადაწყვეტას საჭიროებს. ამ სფეროში წესრიგის დამყარების მიზნით საჭირო წინადადებების შესამუშავებლად თბილისისა და აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციები მეღვინეებთან ერთად ინტენსიურად იმუშავებენ."** როგორც საგადასახადო დეპარტამენტში აცხადებენ, მსგავსი შეხვედრები სისტემატურად გაიმართება. ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა ექნებათ, აქვე გადაწყვიტონ მათთვის საინტერესო საკითხები და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ საგადასახადო დეპარტამენტის მხარდაჭერა. **მედიანიუსი**

### სახელმწიფოს გასაყიდად კიდევ 26 ობიექტი გამოაქვს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 9 ოქტომბერს 26 საპრივატიზაციო ობიექტს გამოიტანს. გასაყიდ ობიექტებს შორისაა სააქციო საზოგადოება "სანატორიუმ ლიკანის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა 99,4488 პროცენტი. ობიექტი ბორჯომში, მესხეთის ქუჩა N63-ში მდებარეობს. იგი სამედიცინო და საკურორტო საქმიანობას ეწევა. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასია 1 800 000 ამერიკული დოლარი. მისი დებიტორული დავალიანება 134 040.00, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 2039847.00 ლარს შეადგენს. "სანატორიუმ ლიკანის" აქციები 9 ნოემბერს აუქციონის წესით გაიყიდება. 9 ნოემბერსვე აუქციონის წესით გაიყიდება თბილისში, ოქროყანაში მდებარე აგარაკი N74-ის ბინა N2, ბინა N3 და 133,5 კვადრატული მეტრი მოცულობის მიწის ნაკვეთი, ასევე, ოქროყანაში მდებარე აგარაკი N52-ის ბინა N3 და 901 კვადრატული მეტრი მოცულობის მიწის ნაკვეთი. საპრივატიზაციო განაცხადების მიღება 26-ვე ობიექტზე ეკონომიკის სამინისტროში ხვალიდან დაიწყება და 9 ნოემბრის 14 საათამდე გასტანს. **მედიანიუსი**

### ბულგარეთის წინააღმდეგ სამი სარჩელი

ქართული ფალსიფიცირებული ღვინოების ყველაზე მსხვილი მწარმოებელი ბულგარეთია, - ამის შესახებ ჟურნალისტებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტის" თავმჯდომარემ ვასილ მანაგაძემ განუცხადა. მანაგაძის განმარტებით, საქართველომ გეოგრაფიული აღნიშვნების სახელწოდების დაცვის მიზნით ბულგარეთის წინააღმდეგ სამი სარჩელი საერთაშორისო სასამართლოში წარადგინა. როგორც მანაგაძემ ჟურნალისტებს განუმარტა, არ არის გამორიცხული, საერთაშორისო სასამართლოში ერთი ანალოგიური სარჩელი საქართველომ ისრაელის წინააღმდეგაც შეიტანოს. საქართველოს შესაბამის უწყებებს ზუსტი სტატისტიკა საზღვარგარეთ ფალსიფიცირებული ღვინოების წარმოების შესახებ არ გააჩნიათ. **ჯიბისი**

## კერკორიანმა General Motors-ზე გული აიყარა

ამერიკული ავტოგიგანტის General Motors Corporation-ის 9,9 პროცენტის მფლობელის, საინვესტიციო კომპანია Tracinda-ს თავკაცის, მილიარდერ კერკ კერკორიანის უახლოესმა მოკავშირემ და მრჩეველმა ჯერომ იორკმა ავტოკონცერნის დირექტორთა საბჭო დატოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ცნობილი გახდა, რომ General Motors-მა ფრანგულ Renfelt-თან და იაპონურ Nissan-თან სამმხრივი ალიანსის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები შეწყვიტა. როგორც ცნობილია, აღნიშნული ალიანსის შექმნის მთავარი მომხრე და ინიციატორი კერკორიანი იყო.

გარდა ამისა, კომპანია Tracinda-მ განაცხადა, რომ General Motors-ში თავისი წილის გაზრდას აღარ აპირებს. ადრე კერკორიანი GM-ის აქციების დამატებითი პაკეტის შეძენას გეგმავდა. აღსანიშნავია, რომ იორკის წასვლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე ავტოგიგანტის აქციების კურსი 7 პროცენტით, 30,75 დოლარამდე დაეცა.

## ტრამპმა არაყიც მონათლა



ექსცენტრიულმა ამერიკელმა მილიარდერმა დონალდ ტრამპმა თავისი სახელობითი პროდუქციის რაოდენობა გაზარდა. ახლა უკვე Trump-ის მარკით არა მარტო საათების, კოსტუმების, ტუალეტის და სასმელი წყლის, არამედ პრემიუმკლასის არაყის შეძენა შეიძლება. როგორც ჩანს, ბიზნესმენმა დასავლეთში ამ სასმელის პოპულარობის ზრდით ხეირის ნახვა გადაწყვიტა.

40 გრადუსიანი ალკოჰოლური სასმელი დასავლეთში ბოლო დროს მართლაც სულ უფრო და უფრო მოსწონთ. ამჟამად არყის მსოფლიო ბაზარი 12 მილიარდ დოლარადაა შეფასებული და იგი გამუდმებით იზრდება, რადგან არაყი თანდათანობით ავიწროვებს დასავლეთისათვის პოპულარულ ალკოჰოლურ სასმელებს.

ტრამპმა არყის წარმოება, რომელსაც Trump Super Premium Vodka ჰქვია, კომპანია Drinks Americas Holdings-თან ერთად დაიწყო. ოქროსფერი T-თი დამშვენებული ლიტრიანი ბოთლის ღირებულება დაახლოებით 30-40 დოლარი გახლავთ.

## ევროკომისია საფრანგეთს უკანასკნელ გაფრთხილებას აძლევს

ევროკომისია მზად არის, საფრანგეთს, "ეკონომიკური პატრიოტიზმის" გამო, უკანასკნელი გაფრთხილება მისცეს. საუბარია საფრანგეთის ეკონომიკის 11 დარგში უცხოური ინვესტიციების შეზღუდვის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებაზე. ამ გადაწყვეტილებით, კაზინოს, თავდაცვისა და ტელეკომუნიკაციების ობიექტების აქციების 33 პროცენტის შესაძენად, საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებაა საჭირო.

კანონი, საფრანგეთის ეკონომიკის ნაციონალიზაციის შესახებ, ძალაში 2005 წელს, პრემიერ დომინიკა დე ვილპენის დროს შევიდა. ევროკომისიამ საკუთარი პოზიცია არაერთხელ დააფიქსირა, რადგან ევროკომისიის ექსპერტები გადაწყვეტილებას თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დარღვევად და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიიჩნევდნენ.

შენიშვნა ბრიუსელმა საფრანგეთს ამჯერადაც შეჰბედა. თუკი საფრანგეთი კანონში შესაბამის ცვლილებას არ შეიტანს, საკითხს ევროკომისიის უმაღლესი სასამართლო განიხილავს. შედეგად საფრანგეთს, შესაძლოა, სერიოზული მოცულობის ჯარიმის გადახდამ მოუწიოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საით გაიწევს დრაკონისგან შევიწროებული დათვი





პირველი გვერდიდან

ცენტრალიზებული ეკონომიკის მოდელიდან საბაზრო მოდელზე გადასვლას მუდამ ახლავს თან ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის აღმოცენება (უფრო სწორად, აფეთქება). გამონაკლისი ამ მხრივ არც ჩინეთი გამხდარა, რომელმაც მსოფლიოს საბაზრო სისტემაზე გადასვლის ერთობ წარმატებული მაგალითი უჩვენა. მაგრამ, ამ წარმატებასთან ერთად, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩინეთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანაა, გასაგები გახდება ორგანიზებული დანაშაულის ის მასშტაბი, რომელმაც მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა მოიცვა.

ჩინური მაფიის გაძლიერებას ხელს უამრავი ფაქტორი უწყობს. ერთ-ერთი მათგანი ქვეყნის უმთავრეს პრობლემას - უმუშევრობას - უკავშირდება. დაუსაქმებელთა რაოდენობა ჩინეთში 200 მილიონს აღწევს. ცხადია, ეს უზარმაზარი არმია მშვენიერ რეზერვს წარმოადგენს მაფიისათვის, რომელსაც საქმე არ აკლია. თითოეულ მაფიოზურ ორგანიზაციაში დაახლოებით 30 ათასი კაცია გაწევრიანებული. მარტო ჰონგ კონგში 20-მდე ასეთი ორგანიზაციაა, რომელთა საქმიანობა მრავალ სფეროს მოიცავს - დაწყებული რუსი და უკრაინელი ქალების ტრეფიკინგით, იარაღით უკანონო ვაჭრობით დამთავრებული. მაფია კარგად იყენებს ინტერნეტს უკანონო ვაჭრობისათვის (ჩინეთში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა 120 მილიონს აღწევს). მაფიოზური ჯგუფები, როგორც წესი, რომელიმე ლეგალურ კომპანიას არიან ამოფარებულნი. უფრო მეტიც, მათი ხელმძღვანელები სამთავრობო სტრუქტურებშიც აღწევენ ხოლმე.

როგორც ახლახან ჩატარებული გამოკვლევები მოწმობს, პეკინი ჩინურ მაფიასთან საბრძოლველად რესურსებს არ იშურებს, მაგრამ ამ მაფიის მასშტაბები ჩინეთს უკვე მნიშვნელოვნად გასცდა. ეს ასევე არაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ ჩინელთა დიდ მიგრაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ასევე მზარდ ჩინურ ინვესტიციებს საზღვარგარეთ - ჩინურ კაპიტალს ჩინური მაფიაც მიჰყვება ხოლმე. 2002-2005 წლებში საზღვარგარეთ 10 ათასზე მეტი ჩინური საწარმო შეიქმნა. პეკინის მიერ მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის გამძაფრების პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ ორგანიზებული დანაშაულის ბოსებს თავიანთი საქმიანობა ჩინეთს გარეთ გაჰქონდეთ. ამ ექსპორტის შედეგები გამაოგნებელია: ჩინურმა მაფიამ იაპონიაში ადგილობრივი იაკუძა შეავიწროვა. ჩინელები აქ ჰეროინის ბიზნესის ორ მესამედს აკონტროლებენ და, საერთოდ, იაპონიაში ჩადენილი დანაშაულების ნახევარი ჩინელებზე მოდის. ჩინურმა მაფიამ ღრმად გაიდგა ფეხი ამერიკის როგორც ჩრდილოვან, ასევე ლეგალურ ეკონომიკაში და მნიშვნელოვნად ჩამოიტოვა უკან კოლუმბიური კარტელები. სერიოზული გამოძიება მიმდინარეობს იტალიაში აქაურ მაფიასა და ჩინელ განგსტერებს შორის არსებული კავშირების შესასწავლად. გამოძიება უკვე 22 ათას ჩინელს შეეხო, მათ ბოსებზე კი 250 საქმეა აღძრული.

მაგრამ ყველაზე დიდ საფრთხეს ჩინური მაფიის ექსპანსია რუსეთს უქმნის, რაც მთელი რიგი ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული. დიდი ხანია, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი რომ შორეულ აღმოსავლეთში ჩინელების მასობრივი მიგრაცია მიმდინარეობს. სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით, მათი რიცხვი, სულ მცირე, ნახევარი მილიონია, მაგრამ უფრო რეალურია სხვა რიცხვები - 2-3 მილიონი. ემიგრანტებს მაფიაც მოჰყვება, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის ამ რეგიონში ცენტრალური ხელისუფლება არც ისე ეფექტურია, ზემოთნახსენები ობიექტური მიზეზები ნათელი გახდება. თავად რუსი მკვლევარების მონაცემებით, აქ მოქმედი ჩინური ბიზნესების უმრავლესობა მაფიის მიერ კონტროლდება და მის კანონებს (ჩრდილოვანი ლიდერებისადმი სრული მორჩილება, დუმილის წესი, ურჩების სასტიკი დასჯა) ექვემდებარება.

ჩინური კაპიტალისა და მაფიის ექსპანსიის შედეგად შორეული აღმოსავლეთი პრაქტიკულად მოწყდა რუსეთის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს (ამის დასადასტურებლად სტატისტიკაც იკმარებს: თუკი ადრე რუსულ ბაზარზე ამ რეგიონში წარმოებული პროდუქციის 75% გადიოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 4%-ს შეადგენს) და აზიური ეკონომიკური გიგანტების (პირველ რიგში კი, ცხადია, ჩინეთის) სანედლეულო დამატებად იქცა. არნახულ მასშტაბებს იძენს კონტრაბანდა და ბრაკონიერობა, რომელიც შორეული აღმოსავლეთის ბუნებრივ სიმდიდრეებს აჩანაგებს. აქედან დიდი რაოდენობით გაედინება ზუთხი, ჟენშენი, ვეფხვის ტყავი და სხვა. ამასთან, თუკი თავიდან ამ ძვირფასი საქონლის მოპოვებაზე თავად ჩინელები მუშაობდნენ, ახლა ისინი მომაგრდნენ და შავ სამუშაოს ადგილობრივ მოსახლეობას ასრულებინებენ. პარალელურად, ჩინური მაფია იოლად პოულობს საერთო ენას რუს კოლეგებთან, რაც მას მუშაობას კიდევ უფრო უადვილებს. ბევრი ჩინელი რუსული სახელით ფორმდება და თავის ბიზნესსაც უფრო იოლად აფართოებს. სწორედ ასე ხდება ხე-ტყის დიდი ოდენობით გატანა ჩინეთში. ჩინელებმა კარგად აითვისეს რუსი მეწარმეებისათვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურებები, როგორიცაა გადასახადებისათვის თავის არიდება, რისი წყალობითაც მათი ბიზნესი კიდევ უფრო ძლიერდება.

თუკი ამ ექსპანსიამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო და რუსეთმა კიდევ უფრო დაკარგა კონტროლი თავის აღმოსავლეთ რეგიონზე, ეს მთელი ევრაზიის მასშტაბით სერიოზულ ძვრებს გამოიწვევს. დღეს აშკარაა, რომ მოსკოვი რატომღაც აშშ-ს გავლენის დაბალანსებას უფრო პრიორიტეტულ მიზნად მიიჩნევს, ვიდრე საკუთარი ტერიტორიის სრულფასოვან გაკონტროლებას. პეკინთან დაახლოება შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში და თვალის დახუჭვა შორეული აღმოსავლეთის პრობლემებზე რუსეთის უსაფრთხოების პოლიტიკის კიდევ ერთი პარადოქსია. თუკი რუსეთი ვერ ახერხებს, გააკონტროლოს თავისი აღმოსავლეთ რეგიონი ახლა, როცა გაძვირებული ნავთობის წყალობით მილიარდები უგროვდება, როგორ მოახერხებს ამის გაკეთებას, როცა ნავთობის ფასი დავარდება. არადა, ნავთობის გაიაფების პროცესი უკვე დაიწყო - ამისათვის საკმარისი გახდა ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო აჟიოტაჟის ჩაწყნარება. ხოლო, თუკი ეს აჟიოტაჟი საბოლოოდ ჩაცხრა, მაშინ "შავი ოქროს" ფასი 50 დოლარსაც ჩამოსცდება, რაც რუსეთს უკვე სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. ამის პარალელურად კი ჩინეთის ეკონომიკა არნახულად სწრაფი ტემპით ვითარდება და მასთან ერთად შორეულ აღმოსავლეთში მიგრაციაც და მაფიის ექსპანსია უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს.

ალმოსავლეთზე კონტროლის დაკარგვასთან ერთად, მოსკოვი შეეცდება, თავისი ზეწოლა დასავლეთით მდებარე მეზობელ რეგიონებზე გადაიტანოს. ამ მხრივ ყველაზე დიდი ზეწოლა, ცხადია, საქართველოზე, უკრაინასა და მოლდოვაზე მოვა. მოსკოვი უძლურია დრაკონის (ჩრდილოვანისაც კი) წინააღმდეგ, მაგრამ ყოფილი კოლონიების შევიწროების უნარი ჯერ კიდევ გააჩნია. ასე რომ, ყველაფერი წინაა. ყოფილი პატარა კოლონიებისაგან არაადეკვატურად დიდი მტრის ხატის შექმნით რუსეთს თავისი მოქალაქეების ყურადღება სხვაგან გადააქვს. რამდენ ხანს იმუშავებს ეს მეთოდი, რამდენ ხანს ექნება მოსკოვს ყოფილი კოლონიების შევიწროების საშუალება და რამდენი ხნით დახუჭავს იგი თვალს არსებულ სერიოზულ პრობლემებზე, ეს მომავლის საკითხია.

## დიდი ძვრები ავტო და ავიაინდუსტრიაში

გასულ კვირას "ჯენერალ მოტორსის" აქციონერებს დიდი იმედგაცრუება ელოდათ. წარუმატებლად დასრულდა კომპანიის მოლაპარაკება "რენოსა" და "ნისანთან." ამის გამო "ჯენერალ მოტორსის" აქციათა დამატებითი რაოდენობით შესყიდვაზე კერკ კერკორიანმა უარი განაცხადა. ავტოგიგანტის მმართველობაში მისი წარმომადგენელი ჯერი იორკი კი დირექტორთა საბჭოდან გავიდა. თუმცა, "ჯენერალ მოტორსი" ირწმუნება, რომ მთელი საბჭო - მათ შორის, იორკიც - "რენოსა" და "ნისანთან" მოლაპარაკებების დასრულებას უჭერდა მხარს. თუმცა, იორკის მიერ გაკეთებული კომენტარი ამას ეჭვქვეშ აყენებს. "მე საკმაოდ პესიმისტურად ვუყურებ კომპანიის ახლანდელ მოდელს და აზიელ კონკურენტებთან მისი ბრძოლის პერსპექტივებს," - განაცხადა იორკმა, რომელიც ერთ დროს "კრაისლერის" ხელმძღვანელობაში მუშაობდა და ავტომწარმოებელი კომპანიის კრიზისის ნიშნებს კარგად იცნობს. თუმცა, იმის მიხვედრას, რომ "ჯენერალ მოტორსი" კრიზისში იმყოფება, "კრაისლერში" მუშაობის გამოცდილება არ სჭირდება. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში კომპანიამ 3,2 მილიარდი იზარალა, რაც შარშანდელი 987-მილიონიანი ზარალის შემდეგ ერთობ მკვეთრი "პროგრესია." "რენო-ნისანის" ალიანსთან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ კომპანიის აქციები 7%-ით გაუფასურდა და თუკი ახლა ამ ამბით იმედგაცრუებულმა კერკორიანმა თავისი აქციათა პაკეტის (რომელიც "ჯენერალ მოტორსის" 9,9%-ს შეადგენს) თავიდან მოცილება გადაწყვიტა, ფასი კიდევ უფრო დაეცემა. სექტემბრის მონაცემებით, კომპანიის გაყიდვები 3%-ით დაეცა, მაშინ, როცა კიდევ უფრო მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფმა "ფორდმაც" კი თავისი გაყიდვების 4,7%-ით გაზრდა მოახერხა.

რაც შეეხება "აზიელ კონკურენტებს," რომლებიც იორკმა მოიხსენია, აქ პირველ რიგში "ტოიოტა" უნდა გამოვყოთ (იორკიც, ალბათ, სწორედ მას გულისხმობდა), რომლის გაყიდვებიც 20%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მოგებების მიხედვით "ტოიოტამ" უკვე გადაასწრო "ჯენერალ მოტორსს" და მალე, წესით, გაყიდული მანქანების რაოდენობითაც გადაასწრებს (რაშიც ამერიკული გიგანტი აქამდე ლიდერობს). მომხმარებელს იზიდავს "ტოიოტას" ეკონომიური და საიმედო მოდელები. ამერიკული ავტოგიგანტების მთავარ კოზირს კი ჯიპები და სატვირთო მანქანები წარმოადგენს, რაც საწვავის გაძვირების პირობებში დიდ ფუფუნებად იქცა. "ფორდის" გაყიდვების ზრდა მსუბუქი მანქანების ხარჯზე მოხდა, ხოლო სატვირთო მანქანების გაყიდვაში კი საგრძნობი კლება დაფიქსირდა. "ტოიოტა" მნიშვნელოვნად უსწრებს კონკურენტებს ჰიბრიდული მანქანების განვითარების მხრივაც, რაც იმას ნიშნავს, რომ იაპონური კომპანია წამყვან პოზიციებს მომავალშიც შეინარჩუნებს.

თუკი ავტობაზარზე რამდენიმე მსხვილ მოთამაშეს შორის მიდის კონკურენცია, ავიაინდუსტრია, დიდი ხანია, ორმა გიგანტმა გაინაწილა, რომელთა შორის ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს. 90-იანების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში ამ ბრძოლაში ერთგვარი უპირატესობა "ეარბასს" ჰქონდა, მაგრამ ბოლო დროს აშკარაა, რომ ევროპულ კონსორციუმს მისი ამერიკელი კონკურენტი ჯაბნის. "ბოინგი" კრიზისს 90-იანების დასაწყისშიც ასცდა იმის წყალობით, რომ პენტაგონისგან დიდძალ სამხედრო შეკვეთებს იღებდა (როგორც ცნობილია, აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი მსოფლიოში უდიდესია). შემდეგ კი კომპანიამ სამოქალაქო ავიაინდუსტრიაშიც მოიპოვა წარმატებები, რასაც "ეარბასის" მხრიდან რამდენიმე სერიოზული ჩავარდნაც დაემატა. აქედან პირველ რიგში აღსანიშნავი "ეი380"-ის წარმოებაში ჩაშვების დაგვიანებაა. ეს ე.წ. სუპერჯამბო უკვე წლევანდელ მარტში უნდა ჩამდგარიყო ავიაკომპანიების სამსახურში. შემდეგ მისი გამოჩენა დეკემბრამდე გადაიდო. ახლა კი ირკვევა, რომ "ეარბასის" ეს სიახლე, რომელზეც კომპანია დიდ იმედებს ამყარებს, მხოლოდ 2007 წლის ოქტომბერში გამოჩნდება.

ამ გადავადების გამო, "ეარბასის" მამობილი კომპანია "იეიდიესი" წელს დანაკარგის 4,8 მილიარდი ევროთი ზრდას ელის. უკვე მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა "ეარბასში" ეფექტურობის ამაღლების მიზნით. გადაწყვეტილია, რომ ახალ მოდელზე მუშაობის ციკლი 8 წლიდან 6 წლამდე ჩამოვიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, "ბოინგთან" კონკურენცია შეუძლებელი იქნება. თუმცა, როგორც ჩანს, ამ გეგმას ბევრი არც ისე ოპტიმისტურად უყურებს. პესიმისტებს შორის პირველმა ბრიტანულმა "ბიეიიმ" გამოიჩინა თავი, რომელმაც გადაწყვიტა, "ეარბასში" თავისი 20%-იანი წილი "იეიდიესს" მიჰყიდოს. ავიაკომპანიებმა, რომელთაც "ეი380" უკვე შეკვეთილი აქვთ, იმედგაცრუება გამოთქვეს გადავადების გამო. ამ შემკვეთებს შორის 16 ავიაკომპანიაა, მათ შორის ყველაზე დიდი შეკვეთა (43 ცალი ლაინერი) "ემირატებზე" მოდის. ამ კომპანიამ უკვე განაცხადა, რომ არაა გამორიცხული, თავის გეგმებს გადახედოს. "ეარბასს" კი დაგვიანებისათვის დიდძალი კომპენსაციის გადახდა მოუწევს, რაც კიდევ უფრო მეტ უპირატესობას მისცემს აღმავლობის გზაზე მდგარ "ბოინგს."

"ეარბასი" ირწმუნება, რომ ჯერჯერობით შეკვეთები არავის გაუუქმებია, მაგრამ არსებულ ვითარებაში ეს, ალბათ, მხოლოდ დროის საქმეა. ამ დაგვიანების გამო ავიაკომპანიებმა, შეიძლება, საერთოდ ზურგი შეაქციონ სუპერჯამბოებს და უფრო საშუალო ზომის ლაინერებზე გააკეთონ აქცენტი. ამ სეგმენტში კი "ბოინგს" საკმაოდ გამოკვეთილი უპირატესობა აქვს. საერთოდ, ავიაინდუსტრია საინფორმაციო ტექნოლოგიასავით სწრაფად მზარდი დარგი არ არის და სასწაულებს არავინ უნდა ელოდოს. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ სუპერჯამბოების ათვისებას ამდენი ხანი სჭირდება და რომ უპირატესობა ახლა "ბოინგის" მხარესაა, რომელმაც ვითარება უფრო რეალურად შეაფასა.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე










გასული კვირა ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლებით დასრულდა. გარდა იმისა, რომ წინა დღეების განმავლობაში დაფიქსირებული ზრდის შემდეგ ინვესტორებმა მოგების ფიქსაცია განიზრახეს, ინდექსთა კლება განაპირობა აშშ-ს შრომის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხვის 51 ადამიანით გაზრდის შესახებ, რაც ნავარაუდევ 125 ათასზე ნაკლები აღმოჩნდა. ამასთან, ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა General Motors-ის ღენაულტ-Nისსან-თან ალეანსში შესაძლო შესვლის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,14 პროცენტით, 11.850,21 პუნქტამდე შემცირდა. 0,28 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.299,99 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,27 პროცენტით, 1.349,58 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობი კვლავ 60 დოლარი/ბარელზე ნაკლები ღირს

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა და ნავთობის ღირებულება 60 დოლარი/ბარელის ფსიქოლოგიურ ნიშნულს ისევ ჩამოსცდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 59,83 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 59,76 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. მთლიანად, კვირის განმავლობაში ნავთობი საშუალოდ 4,2 პროცენტით გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასი კი კვლავ გაიზარდა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება, მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისის გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,327 დოლარი შეადგინა. სულ, გასულ კვირაში ბუნებრივი აირი 12,6 პროცენტით გაძვირდა.

"შავი ოქროს" გაიაფება ოპეკის გარუკვეველმა პოზიციამ განაპირობა. როგორც ცნობილია, ნიგერიამ და ვენესუელამ ნავთობის მოპოვება უკვე შეამცირა და გავრცელებული ინფორმაციით, კარტელის სხვა წევრები თითქოს მათთვის მიბაძვას აპირებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ამის გაკეთებას არ ჩქარობენ და საერთო შეთანხმებასაც ვერ მიაღწიეს. ამასთან, ბაზარე კვლავინდებურად გავლენას ახდენს აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დიდი მარაგის არსებობა და ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ დაძაბულობის კლება.

რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მისი ფასის ზრდა აშშ-ში მოსალოდნელი აცივების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ განაპირობა. სინოპტიკოსები ირწმუნებიან, რომ შემდეგი 10 დღის განმავლობაში აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და ცენტრალურ დასავლეთში ტემპერატურა საგრძნობლად მოიკლებს.

## ოქრო და ვერცხლი გაძვირდა, პლატინა და პალადიუმი კი გაიაფდა

პარასკევს, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, პირველად გასული კვირის განმავლობაში, ოქროსა და ვერცხლის ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, ოქრო 0,2 პროცენტით გაძვირდა და 1 უნციის ღირებულებამ 576,8 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმა კი 0,9 პროცენტით, 11,175 დოლარი/უნციამდე მოიმატა. რაც შეეხება პლატინას, იგი კვლავ, 0,5 პროცენტით გაიაფდა და 1 უნციის ღირებულებამ 1080,8 დოლარი შეადგინა, პალადიუმი კი 0,3 პროცენტით, 300,45 დოლარი/უნციამდე გაიაფდა. სულ, გასული კვირის განმავლობაში ოქრო 4,5 პროცენტით, ვერცხლი 3,2 პროცენტით, პლატინა 5 პროცენტით, პალადიუმი კი 5,1 პროცენტით გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, პარასკევს კვირის განმავლობაში პირველად ოქროზე ფასის ზრდა რამდენიმედღიანი გაიაფების შემდეგ შესყიდვებისადმი ინტერესის ტექნიკურმა ზრდამ და აშშ-ს საზღვერბს მიღმა მასზე მოთხოვნილების მატებამ განაპირობა. გარდა ამისა, არსებობს ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ ახალი გეოპოლიტიკური დაძაბულობის კერის წარმოშობის საშიშროება.



# ელის თუ არა რუსეთს ფულის იატაკქვეშა გადარიცხვის სისტემების აღმოცენება






პირველი გვერდიდან

როგორც წესი, რაიმე ოპერაციის განხორციელების აკრძალვის შედეგად ყოველთვის ჩნდება მისი იატაკქვეშა ანალოგი. საბანკო ფულადი ტრანსფერტების ალტერნატივა - ფულადი გზავნილების არაფორმალური სისტემა უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში "ჰავალას" სახელწოდებით არსებობს მსოფლიოში. არაბულ ჟარგონზე "ჰავალა" სწორედ ფულად გზავნილს ნიშნავს, ხოლო ჰინდის ენაზე - ნდობას. თავდაპირველად "ჰავალა" ინდოეთში გაჩნდა, ხოლო შემდგომში გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ძირითადად - ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და აზიაში, სადაც მას სხვადასხვა სახელწოდებებით იცნობენ. ჩინეთში მას "ფეი ჩენს" უწოდებენ, რაც "ფულის გადაფრენას" ნიშნავს, პაკისტანში - "ჰინდუს", ფილიპინებზე - "პადალას", ჰონ-კონგში -"ჰუი კუან", თუმცა პრინციპები მათ ისეთივე აქვთ, როგორც "ჰავალას". "ჰავალას" წარმოშობას ძველ დროში დიდ დისტანციებზე, აბრეშუმის გზისა თუ სხვა სავაჭრო მაგისტრალებზე, ფულის მნიშვნელოვანი თანხების გადატანისას დაყაჩაღების რისკისაგან თავის დაზღვევის სურვილმა შეუწყო ხელი. გასული საუკუნის 60-70 წლებიდან ამ სისტემამ ახალი დატვირთვა შეიძინა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა კიდეც. მისი გამოყენება განვითარებულ ქვეყნებში სამუშაოდ წასულმა ხალხმა დაიწყო სამშობლოში შემოსავლების ნაწილის გადასარიცხად. მართალია, თავად ეს მიზანი, ახლობლებისთვის საარსებო სახსრების გადარიცხვისა, სავსებით ლეგიტიმურია და, ამ თვალსაზრისით, "ჰავალა" კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება, თუმცა ამ ტიპის სქემის სპეციფიკა ბუნებრივად მიმზიდველს ხდის მას სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი წრეებისათვის. აღნიშნული ქსელით ფულის გათეთრების მიზნით სარგებლობენ ტერორისტული ორგანიზაციების წევრები, ნარკო-დილერები, ტრეფიკინგით დაკავებულნი, არალეგალური ემიგრანტები და პირები, რომლებიც გადასახადების გადახდას არიდებენ თავს.

"ჰავალას" ტიპის ქსელი, ძირითადად, ნდობის ფაქტორზეა დაფუძნებული, რადგანაც ოპერაციის განხორციელების დროს ფულის გადარიცხვის შესახებ არანაირი საბანკო საბუთი და ოპერაციის არანაირი ჩანაწერი არ ფიქსირდება. საჭიროა მხოლოდ სატელეფონო კავშირის არსებობა. უმეტეს შემთხვევაში გარიგების დადებისათვის საკმარისია საიდუმლო სიტყვის ცოდნა ან ტელეფონით მოსაუბრე პარტნიორის ხმის ცნობა. თანხების გადარიცხვა გაცილებით იაფად და დროის მინიმალური დანახარჯებით სრულდება, ვიდრე ოფიციალური საბანკო გზით. ფულადი სახსრების გადარიცხვა შემდეგი სქემით მიმდინარეობს: ფულის გადარიცხვის მსურველი ადამიანი ტელეფონით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით უკავშირდება "ჰავალას" ბროკერს - ე.წ "ჰავალადარს", რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ანალოგიური სანდო ბროკერების ფართო ქსელი გააჩნია. ბროკერი უკავშირდება თავის კოლეგას საზღვარგარეთ და გადასცემს ინფორმაციას იმ პირის შესახებ, რომელიც თანხის მიმღებია. ფულის მიმღების იდენტიფიკაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მიმღების ვინაობა, მისამართი ან სპეციალური კოდი, რომელიც, როგორც წესი, გასაგზავნი ფულის ბანკნოტზე მითითებული სერიული ნომრის ციფრებისაგან შედგება. კოდი გამგზავნმა და მიმღებმა მხარეებმა იციან და მისი ციფრები, ერთის გამოტოვებით, რიგ-რიგობით უნდა ამოიკითხონ. თუ მონაცემები დაემთხვა, გარიგება დასრულებულია: ფულადი გზავნილი განხორციელდა. შედეგად, რამდენიმე საათის განმავლობაში მიმღები ღებულობს თანხას, მიუხედავად გამომგზავნისაგან დაშორების მანძილისა. ყველაზე მიყრუებულ სოფელშიც კი, სადაც ბანკის ფილიალი არასდროს არსებობდა, "ჰავალას" თანამშრომელს შეუძლია, ფული მაქსიმუმ 24 საათში მიიტანოს.

რა თქმა უნდა, ასობით ასეთი ოპერაციის განხორციელების შემდეგ "ჰავალას" დილერებსაც გაუჩნდებათ ფულადი სახსრების სიჭარბე, ან პირიქით, დეფიციტი. ასეთ შემთხვევაში ისინი მსხვილი თანხებით ანგარიშსწორებას ოფშორული ფინანსური ცენტრების მეშვეობით, ფულადი ფორმით, სასაქონლო (ძირითადად, ოქრო) ფორმით ან მომსახურების ურთიერთჩათვლის საფუძველზე ახდენენ. მართალია, "ჰავალას" სისტემით, ძირითადად, წვრილი თანხები ირიცხება, თუმცა არც მილიონიანი გადარიცხვებია ამ სისტემისთვის შეუძლებელი. მსხვილი თანხების გადარიცხვის შემთხვევაში "ჰავალადარები" მარტო ვერ მოქმედებენ, უკავშირდებიან თავის ე.წ "კოლეგებს" და ქმნიან ჯგუფებს, რათა ერთობლივი სახსრების მობილიზებით შეასრულონ ტრანზაქცია. მიუხედავად იმისა, რომ "ჰავალას" ტრანზაქციების ზუსტი აღრიცხვა მათი ოფიციალური დოკუმენტური ჩანაწერების არარსებობის გამო შეუძლებელია, მათი სავარაუდო სიდიდე ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს აღწევს.

"ჰავალადარების" შემოსავალს როგორც საკომისიო გასამრჯელო, ასევე სხვადასხვა ვალუტაში საკურსო სხვაობა წარმოადგენს. ვინაიდან საკომისიო გასამრჯელო მინიმალურია და დაახლოებით თანხის 0,5-1 პროცენტს შეადგენს, "ჰავალას" ქსელი, ბანკებთან შედარებით, ზოგჯერ უფრო პოპულარული და მიმზიდველია.

გარდა ამისა, ოპერაციის განხორციელების სურვილის შემთხვევაში თქვენ არ მოგეთხოვებათ ფულადი სახსრების წარმოშობისა ან გადარიცხვის ოპერაციის დანიშნულების არანაირი საბუთი - ყველაფერი მხოლოდ ნდობის ფაქტორზეა დაფუძნებული.

ბოლო დროს ისლამისტური სამყაროს წარმომადგენლები, "ჰავალას" ლიკვიდაციის შეუძლებლობის გამო, მისი ლეგალიზაციის წინადადებებითაც გამოდიან. თავისთავად, "ჰავალას" სისტემაში უკანონო არაფერია, რაც მასთან სამართალდამცავთა ბრძოლას ართულებს. სამაგიეროდ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას და გამოიყენება კიდეც დამნაშავეთა სამყაროს მიერ. ბოლო წლებში "ჰავალას" ტიპის ორგანიზაციებთან ბრძოლა გააქტიურდა. აშშ-ს მთავრობას ჰქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ 2001 წელს ამერიკაში განხორციელებული ტერაქტები, შესაძლებელია, სწორედ "ჰავალას" ქსელის მეშვეობით ფინანსირდებოდა. ამავე წელს მათ დახურეს "ჰავალას" ტიპის ფირმის - "ალ-ბაკარას" წარმომადგენლობა, რომელიც სომალიში ფულად გზავნილებს ახორციელებდა. ფირმის თანამშრომლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს, საკმარისი მტკიცებულებების არქონის გამო, 2006 წელს კი საერთოდაც ამოიღეს ტერორისტთა სიიდან. 2002 წელს რუსეთის დედაქალაქშიც გაჩნდა ცნობები ამგვარი ოფისების არსებობის შესახებ. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, ემსახურებოდნენ ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოქალაქეების არალეგალური ფინანსური გადარიცხვების განხორციელებას. რუსეთში განლაგებული, "ჰავალას" კლიენტების 70 პროცენტს ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრები და მომუშავე პირები შეადგენდნენ. გასულ წლებში რუსეთის "ჰავალას" ფუნქციონირებით დაინტერესდა რუსეთის სახელმწიფო ნარკო-კონტროლის უწყება, რომელმაც რეიდის დროს 200 000 აშშ დოლარი, არარეგისტრირებული იარაღი, ყალბი საბუთები და ბეჭდები ამოიღო.

ამას მოჰყვა ოთხი ოფისის ლიკვიდაცია და რუსეთის კომერციული ბანკების რამდენიმე თანამშრომლის აყვანა, რომლებიც თანხების გადარიცხვასა და განაღდებაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. უნდა აღინიშნოს, რომ "ჰავალას" ზემოაღნიშნული ოფისი არა ბნელ სარდაფში იყო განლაგებული, არამედ მოსკოვის ცენტრალურ ნაწილში, ერთ-ერთ სასტუმროში განთავსდა და ჩვეულებრივი საფინანსო დაწესებულებისაგან, ლიცენზიის არარსებობის გარდა, არაფრით განსხვავდებოდა.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ ფულის გადარიცხვის ფარული სისტემები განვითარებას ყველაზე ადვილად პოულობენ არასტაბილური ფინანსური და პოლიტიკური სიტუაციის მქონე რეგიონებში. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით ყოველწლიურად საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხების გადარიცხვა ხორციელდება, საბანკო ფულადი გზავნილების შეწყვეტა ბუნებრივად წაახალისებს რუსეთში ანალოგიური ქსელის გაჩენასა და გავრცელებას. რუსეთში საქართველოს ათასობით მოქალაქე ცხოვრობს და მუშაობს, რომლებიც სხვადასხვა ანგარიშსწორების სისტემების მეშვეობით პერიოდულად გზავნიან სამშობლოში ფულად სახსრებს. ფულის გადაგზავნის ოფიციალური გზების გადაკეტვის შემთხვევაში, ისინი იძულებულნი გახდებიან, ფულის გადმორიცხვის ალტერნატიულ გზებს მიმართონ. ამის შედეგად, ფულადი თანხების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობა (მხოლოდ 2006 წლის იანვარ-აგვისტოში რუსეთიდან საქართველოში 218,6 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა) საბანკო სექტორის გვერდის ავლით ან მესამე ქვეყნის ტრანზიტული საბანკო სისტემის მეშვეობით დაიწყებს მოძრაობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში, საქართველოს გარდა, სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეებიც ეწევიან კომერციულ საქმიანობას და საკუთარ ქვეყნებში ასევე აგზავნიან საკუთარი შემოსავლის ნაწილს. ბუნებრივია, რომ ფულადი გზავნილების არაფორმალური ქსელის აღმოცენების შემთხვევაში მასში სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც აქტიურად ჩაებმებიან. შედეგად, მოვლენათა ასეთ განვითარებას უფრო ფართომასშტაბიანი შედეგები ექნება. რაც მთავარია, რუსეთში შესაძლოა განვითარდეს ისეთი არაფორმალური ფინანსური სისტემა, რომელსაც ანტიტერორისტული კოალიციის წევრებმა მსოფლიოს ყველა კუთხეში დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს. "ჰავალას" ტიპის ქსელის ფორმირების შემთხვევაში ძირითად საშიშროებას წარმოადგენს ამ გზით სწორედ ისეთი კრიმინალური საქმიანობის დაფინანსება, როგორიცაა ტერორისტული აქტები, ტრეფიკინგი, ნარკოინდუსტრია, იარაღით ვაჭრობა და მრავალი სხვა.

არაფორმალური ფულადი გზავნილების წინააღმდეგ წლების განმავლობაში წარმართულმა ბრძოლამ აჩვენა, რომ ასეთი სქემები განაგრძობს არსებობას და ფართოვდება კიდეც იქ, სადაც ამის მოთხოვნილება არსებობს, მიუხედავად გამკაცრებული კონტროლისა და აკრძალვებისა. ერთადერთი ეფექტური მექანიზმი ფულადი ტრანსფერტების ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევისა საბანკო მომსახურების გაიაფება და ხელმისაწვდომობის გაზრდაა. თუმცა რუსეთის მიერ ფინანსური აკრძალვების შემოღება სწორედ რომ საპირისპირო მიმართულებით მუშაობს და შედეგებიც, სავარაუდოდ, ადეკვატური ექნება. ამით ვერ შეჩერდება თანხების მოძრაობა რუსეთიდან საქართველოში. სამაგიეროდ, ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნება სხვადასხვა სახის კრიმინალური საქმიანობისა და ფინანსური მაქინაციებისათვის თვით რუსეთის ტერიტორიაზე.



## IUKOIL-ი როტერდამში ქარხანას ყიდულობს

ნავთობკომპანია IUKOIL-ის ხელმძღვანელობა Kuwait Petroleum International-თან როტერდამის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შესყიდვის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს. ქარხნის სიმძლავრე დღე-ღამეში 80 ათასი ბარელი ნავთობია. წინასწარი ინფორმაციით გარიგების პირობებს მხარეები თვის ბოლოსთვის შეათანხმებენ. კუვეიტის კომპანიამ ტენდერი 2006 წელს გამოაცხადა და სულ 15 წინადადება მიიღო. კომპანია LUKOIL-მა ტენდერში პროექტი 2006 წლის ივნისში შეიტანა. იმ შემთხვევაში, თუ გარიგება შედგება, რუსული ნავთობკომპანია კუვეიტის კომპანიის საერთო სტრატეგიას განსაზღვრავს, რაც პირველ რიგში ნავთობ მოპოვებისა და მისი გადამუშავების გაზრდაში მდგომარეობს. დღეისათვის კომპანია LUKOIL-ს ქვეყნის ფარგლებს გარეთ არაერთი კაპიტალდაბანდება აქვს განხორციელებული. 2005 წელს კომპანიის მოგებამ 56,2 მილიარდი დოლარი შეადგინა.

## Honda ბრიტანეთში ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის

კომპანია Honda-ს ევროპული ქარხანა, რომელიც დიდ ბრიტანეთში, ქალაქ სვინდონში მდებარეობს, ავტომობილების წარმოების გაზრდას აპირებს. კომპანიის ხელმძღვანელობა უახლოეს პერიოდში კიდევ 700 სამუშაო ადგილს შექმნის და ახალ თანამშრომლებსაც აიყვანს.

წელსვე, კომპანია HONDA დიდ ბრიტანეთში Honda Civic-ის 190 ათასი ავტომობილის გამოშვებას გეგმავს. ეს, ერთ-ერთი იმ ხეჩბეკთაგანია, რომელიც მხოლოდ ბრიტანეთის ქარხნებში იწარმოება. 2007 წლიდან კი სვინდონის ქარხანა ავტომობიულების წარმოებას 250 ათასამდე გაზრდის.

ცოტა ხნის წინ, კომპანია Honda-მ ბრიტანეთში მოღვაწეობის 20 წლის იუბილე აღნიშნა. ქარხნის არსებობის მთელი ამ პერიოდის მანძილზე მშენებლობის ინვესტიციის საერთო თანხამ 2,5 მილიონი დოლარი შეადგინა.




## ამინდი

| | 9/10 | 10/10 | 11/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 15 | 13 | 14 |
| რიგა | 15 | 17 | 15 |
| ვილნიუსი | 12 | 16 | 13 |
| მოსკოვი | 11 | 11 | 11 |
| მინსკი | 12 | 16 | 12 |
| პარიზი | 17 | 18 | 19 |
| რომი | 23 | 25 | 24 |
| ლონდონი | 15 | 20 | 18 |
| მადრიდი | 22 | 23 | 17 |
| ბონი | 18 | 20 | 20 |
| ვარშავა | 17 | 17 | 16 |
| ათენი | 20 | 18 | 18 |
| ბერნი | 21 | 20 | 22 |
| ამსტერდამი | 15 | 17 | 17 |
| ოსლო | 11 | 15 | 14 |
| ანკარა | 26 | 23 | 21 |
| ვარნა | 15 | 13 | 16 |
| დელი | 41 | 40 | 40 |
| ტოკიო | 27 | 28 | 26 |
| კოპენჰაგენი | 12 | 16 | 12 |
| ბაქო | 25 | 22 | 21 |
| ერევანი | 28 | 23 | 25 |
| ასტანა | 9 | 0 | -5 |
| ჰელსინკი | 9 | 10 | 12 |
| დუბლინი | 12 | 13 | 12 |
| ლისაბონი | 30 | 25 | 22 |
| პრაღა | 17 | 18 | 16 |
| სოფია | 12 | 13 | 12 |
| ბუდაპეშტი | 20 | 21 | 21 |
| ბუხარესტი | 21 | 21 | 19 |

## სომხეთი საქართველოსთვის რუსეთის მიერ გამოცხადებული ბლოკადის გამო ისჯება

რუსეთის მიერ საქართველოსთვის გამოცხადებული ბლოკადის გამო სერიოზულად შეშფოთებულია სომხეთი, რადგან ამ სანქციებმა შესაძლოა სომხეთი იზოლაციაში მოაქციოს. სომხეთის პარლამენტის დეპუტატის ჰეირა კარაპეტიანის განცხადებით, სომხეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები სერიოზულად ზარალდებიან საქართველოს შემოვლით ტვირთების გაგზავნის გამო. მისივე განცხადებით, 20 ტონა ტვირთის საქართველოს შემოვლითი გზით გაგზავნა 2,500 დოლარით მეტი ჯდება. სომხეთის ტვირთების დიდი ნაწილი საქართველოს გავლით გადის რუსეთში, ვინაიდან აზერბაიჯანს და თურქეთს ყარაბახის პრობლემის გამო სომხეთისთვის საზღვრები ჩაკეტილი აქვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში maXTop-ის უახლესი კომპიუტერი შემოდის

საქართველოს ბაზარზე 4-ბირთვიანი პროცესორით აწყობილი კომპიუტერები ნოემბრისთვის გამოჩნდება. **"უახლესი თაობის კომპიუტერები განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური კომპიუტერული თამაშების მომხმარებლისთვის, ანიმაცური და გრაფიკული გამოსახულებებზე მომუშავე სპეციალისტებისთვის,"** - განაცხადა "maXTop m"-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ ლევან გიორგაძემ. მისი ინფორმაციით, კომპანიამ წელს ქართველ მომხმარებელს შესთავაზა 2-ბირთვიანი პროცესორით აწყობილი ახალი თაობის კომპიუტერები, რომლის ფასი 600-700 აშშ დოლარია. ამ კომპიუტერს სპეციფიური კლიენტისთვისაა, რომელთა შორისაა დიზაინერები, არქიტექტორები, მშენებლები. გიორგაძის განცხადებით, "maXTop m" ადგილზე უზრუნველყოფს მაღალტექნოლოგიური კომპიუტერების აწყობას და ასევე ახორციელებს maXTop-ის კომპიუტერების დისტრიბუციას. კომპანია 4 მიმართულებით (ინდივიდუალური საოჯახო მოხმარების, საოფისე, სათამაშო, გრაფიკა) მუშაობს. "maXTop m" ოფიციალური პარტნიორია acer-ის, რომელიც მსოფლიოში სიდიდით მე-4 ვენდორია კომპიუტერული ტექნიკის წარმოებაში. acer აწარმოებს ნოუთბუქებს, სამაგიდო კომპიუტერებს, სერვერებს, თხევადკრისტალურ მონიტორებს, ტელევიზორებს, პერიფერიულ მოწყობილობებს. კომპანია 1976 წელს დაარსდა, მის ქსელში 5 600 ადამიანია დასაქმებული და მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობს. 2005 წლისთვის კომპანიის ბრუნვამ 9,7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ლევან გიორგაძის ინფორმაციით, "maXTop m"-ი acer-ის ერთადერთი ავტორიზირებული პროვაიდერია საქართველოში. მისი ინფორმაციით, გაყიდვების მაჩვენებლით კომპანია ადგილობრივ ბაზარზე წამყვან ხუთეულშია, რომელთა შორისაცაა "ალგორითმი", "ორიენტლოჯიკი" და "იუ ჯი თი". "maXTop m" კომპიუტერების ღირებულება 350$-დან 1 800 $-მდეა. **ჯიბისი**

## შ.პ.ს. "ჰამაკი" საქართველოს ბაზარზე ციფრულ მუსიკალურ საკრავებს iPod გაუმჯობესებული პროგრამით წარმოადგენს

შ.პ.ს. "ჰამაკი" საქართველოს ბაზარზე ციფრული მუსიკალური საკრავებს iPod გაუმჯობესებული პროგრამით წარმოადგენს. **"ამიერიდან iPod-ის ეკრანი 60%-ით უფრო ნათელია (brightness adjustable). 320x240 გარჩევადობა 640x480-ით შეიცვალა. ამ გარჩევადობის მხარდაჭერა არსებულ 5G მოდელებსაც შეუძლიათ სოფტის აპდეიტის შემდეგ. 60-გიგაბაიტიან მოდელს ჩაენაცვლა 80-იანი და ბატარეიდან მუშაობის ხანგრძლივობა უფროს მოდელში video playback რეჟიმში 6,5 საათია. პროგრამული გაუმჯობესებებიდან აღსანიშნავია search ფუნქცია,"** - განაცხადეს "ამაკში", რომელიც "aple"-ის ოფიციალური დილერია საქართველოში. კომპანიამ ახალი ტექნოლოგიები წარადგინა Elcomm Caucasus 2006 გამოფენაზე, რომელიც საგამოფენო ცენტრ Expo Georgia-ში გაიმართა. სტენდზე წარმოდგენილი იყო Apple-ის ახალი პროდუქცია - iMac 24", ახალი Mac mini, Apple Cinema Display, MacBook, MacBook Pro, ახალი iPod nano-ები და iPod-ის აქსესუარები. iPod-ის ღირებულება 99$-იდან 650$-დეა და მისი მოცულობა 512 მბ-დან 80გბ-დე. **ჯიბისი**